

ქეთევან მანია

**იაკობ გოგებაშვილი
და ქართველთბა**

**თბილისი
2020**

ქეთევან მანია

იაკობ გოგებაშვილი და
ქართველობა
ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით

თბილისი
2020

Ketevan Mania

Iakob Gogebashvili and Georgianness

With the representation of the Print Media

Tbilisi

2020

ნაშრომში ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში წარმოდგენილია იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების რეპრეზენტაცია. ნაჩვენებია თუ როგორ აქცია ი. გოგებაშვილმა ბეჭდური მედია იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად ეროვნული სულისკვეთების მკითხველთა ერთობის შექმნის მიზნით და როგორ იწვევდა სამოღვაწეოდ სრულიად ქართველობას საკუთარი იდენტობრივი მახასიათებლების – მამულის, ენის, სარწმუნოების, ისტორიული მახსოვრობის გადასარჩენად.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მარიამ ჩხარტიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ოთარ ჟორდანია**

© ქ. მანია. 2020.

გამომცემლობა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

შინაარსი

შესავალი	7-11
პირველი თავი. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება- მოღვაწეობის შესწავლის ისტორიიდან.....	12-26
მეორე თავი. ბეჭდური მედია და ქართველობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით...	27-36
მესამე თავი. მამული, მამულიშვილობა, იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით ..	37-73
მეოთხე თავი. დედა ენა როგორც ქართველობის სიმბოლო.....	74-153
მეხუთე თავი. ქართველთა რელიგიური იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით	154-167
მეექვსე თავი. ისტორიული მახსოვრობა და ქართული იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით	168-187
ბოლოთქმა	188-194
დამოწმებული ლიტერატურა	195-203
Iakob Gogebashvili and Georgianness. With the representation of the Print Media (Summary)	204-213

შესავალი

განუზომელი ამაგი დასდო ქართველ ერს იაკობ გოგებაშვილმა. ქართველობა „დედა ენით“ დაიცვა, „დედა ენით“ აღძრა ხალხში ნაციონალური სენტიმენტები.

პერიოდი, როდესაც ი. გოგებაშვილი გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე, ურთულესი ხანაა საქართველოს ისტორიაში. დიდი განსაცდელის წინაშე იდგა ქართული იდენტობა. რუსულმა მმართველობამ თავისი იმპერიალისტური მიზნები მთელი სიმძაფრით გამოავლინა საქართველოს მიმართ, გადაშენებით ემუქრებოდა ყოველივე ქართულს – ენას, მამულს, რწმენას, კულტურას, ტრადიციას. კოლონიალურმა პოლიტიკამ დიდი გავლენა მოახდინა ეროვნულ ცნობიერებაზე – მკვეთრად დაეცა ქართველთა თვითშეგნება, იმდენად, რომ პირად ინტერესს ყოველგვარ საზოგადო საქმეზე მაღლა აყენებდნენ. ინდიფერენტიზმს მყარად ჰქონდა გადგმული ფესვები და საერთო ეროვნული საკითხის გარშემო ერთობის შედგენა ურთულეს საკითხს წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაში ქართული ინტელიგენციის უმთავრესი საზრუნავი გახდა საკუთარი ვინაობის დაცვა. ქართველმა სამოციანელებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ბეჭდური მედია იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად აქციეს და მისი საშუალებით დაიწყეს აქტიური პროპაგანდა ეროვნული სულისკვეთების მკითხველთა ერთობის დასარაზმად.

ი. გოგებაშვილი ინტენსიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. თავად არაჩვეულებრივად გვაწვდის თავისი სამაგალითო მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციას:

რას ვიცავდი და როგორ ვიცავდი ჩემის ორმოცი წლის სალიტერატურო მოღვაწეობაში, ეს კარგად იციან მოსწრებულმა მკითხველებმა. ვიცავდი უმთავრესად: თვითმმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედანაზე, ქართულის ეკლესიის განთავისუფლებას, ანუ ავტოკეფალიას, ქართულის ტერიტორიის გადასვლას ქართველის გლეხების ხელში და სხვ. ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გაბედულებით, ერთიანი მიმართულებით და შინაარსით. და ვერც ერთი ცილისმწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალს ნაწერებში თუნდაც მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას. მე გამოვედი საზოგადო ასპარეზზე შემუშავებული პროგრამით, ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტის ოდენადაც არ მიდალატნია არც ერთხელ, არას დროს. მე არას დროს არ დამვიწყებია, თუ რისი შემძლეა ჩვენი პატარა ერი. "მაქსიმუმი შესაძლებლობებისა", ასეთი იყო ჩემი დევიზი, და არას დროს შეუძლებელზე ჩვენს ერს არ ვაქეზებდი, რადგანაც ცაში წეროების დევნა საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ყველა შინაური ფრინველიც კი ხელიდან გამოეცალოს ხალხსა და თვითონაც სიკვდილის გზას დაადგეს (საქართველოს მოამბე 1909: 14-16).

ნათელია, რომ ხალხის სამსახურში დგომა ამოძრავებდა ი. გოგებაშვილს, იქვე აყალიბებს ამგვარი სამსახურის მიზანს: „საზოგადოება მაგალითებით ცხოვრობს. იგი ჰზამავს კარგ მაგალითებსაცა და ცუდსაც“ (საქართველოს მოამბე 1909: 14-16).

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ი. გოგებაშვილის სამაგალითო ღვაწლი ქართველობის შენარჩუნებისათვის ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით. ანალიზი მოცემულია

განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომით, ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში¹. ძირითადი აქცენტები გაკეთებულია საზოგადოებრივ აღქმებზე, გრძნობებზე, სიმბოლოებზე, ღირებულებებზე.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობა. პუბლიკაციები შეეხება ისტორიას, ლინგვისტიკას, პედაგოგიკას. ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებზეც, ვინაიდან სოციალური თუ ეკონომიკური საკითხების გადაჭრა მნიშვნელოვანი იყო ეროვნული საკითხების გადაწყვეტის გზაზე. ეს პუბლიკაციები გამოქვეყნებულია იმდროინდელ ბეჭდურ მედიაში („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მომხმე“, „კვალი“, „საქართველო“, „წყარო“, „ისარი“, „განათლება“, „შრომა“, „სახალხო გაზეთი“, „მეგობარი“, „Тифлисский Вестник“, „Новое Обозрение“ ...).

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების ანალიზს. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალე წინამდებარე გამოკვლევის პირველ თავში წარმომედგინა დაგროვილი მდიდარი ლიტერატურის მიმოხილვა. საკითხის ისტორიოგრაფიული ანალიზით გამოირკვა, რომ არსებული კვლევები ძირითადად ობიექტივისტურ ფაქტორებს ეფუძნება, სუბიექტივისტური

¹ ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ბრიტანელი მეცნიერი ე. სმითი. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის თეორიული საფუძვლები ქართული სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა მ. ჩხარტიშვილის (ჩხარტიშვილი 2004) და ლ. პატარიძის (პატარიძე 2008) თარგმანებით.

ფაქტორები კი ყურადღების მიღმაა დარჩენილი. თანამედროვე მეცნიერული მიდგომა განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მკვლევართ იდენტობრივი საკითხების შესწავლისას, მართალია, არ გამორიცხავს ობიექტივისტური ფაქტორების როლს, თუმცა სუბიექტივისტურ ფაქტორებს ანიჭებს უპირატესობას. სწორედ, ამგვარ ანალიზს ვთავაზობ მკითხველს ჩემს ნაშრომში. საკითხის ამ კუთხით კვლევის მცდელობა წარმოდგენილია ჩემს რამდენიმე ქართულ თუ უცხოენოვან პუბლიკაციაში: ლინგვისტური იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით (მანია 2016: 172-187); მამული, მამულიშვილობა, იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით (მანია 2017/2018: 94-103); Deda Ena as a symbol of Georgian identity according to Iakob Gogebashvili's Letter (მანია 2017: 225-238).

რადგან ნაშრომი პუბლიცისტური მემკვიდრეობის ანალიზს ეფუძნება, ამის გათვალისწინებით, მეორე თავში წარმოდგენილია ი. გოგებაშვილის შეხედულებები ბეჭდური მედიის როლზე ქართველობის შენარჩუნებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, XIX ს-ის მეორე ნახევარში დიდი განსაცდელი დაუდგა ქართულ იდენტობას, ტერიტორიის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ქართველობა. ტერიტორიის ფლობა კი აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს იდენტობის არსებობისათვის. ამ მხრივ ი. გოგებაშვილის ღვაწლს ეძღვნება მესამე თავი – მამული, მამულიშვილობა, იდენტობა ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით.

რეაქციის ხანაში სასტიკ დევნას განიცდიდა იდენტობის ენობრივი მახასიათებელიც. მეოთხე თავში განვიხილავ ენობრივ იდენტობას როგორც ქართველობის სიმბოლოს.

ასევე, განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა იდენტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე რელიგიური მახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რუსული მმართველობის პირობებში ქრისტიანობას როგორც იდეოლოგიას საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აცლიდა ქართულ იდენტობას. აღნიშნულის გათვალისწინებით მეხუთე თავში მოცემულია რელიგიური იდენტობის ანალიზი ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით.

მეექვსე თავში შევხები ისტორიული მახსოვრობის როლს ქართული იდენტობის შენარჩუნებისათვის ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით.

აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო წიგნის რედაქტორებს: პროფ. მარიამ ჩხარტიშვილს და პროფ. ოთარ ჟორდანიას ნაშრომის გულდასმით გაცნობისა და პროფესიული რჩევებისათვის.

პირველი თავი.
იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის
შესწავლის ისტორიიდან

ი. გოგებაშვილის ღვაწლი და დამსახურება სპეციალურ ლიტერატურაში მრავალი კუთხით არის წარმოჩენილი. წინამდებარე თავში შევეცდები წარმოვადგინო ამ ნაშრომების ისტორიოგრაფიული რეპრეზენტაცია.

ერთ-ერთი პირველი ნაშრომი 1900 წელს ი. გოგებაშვილს მიუძღვნა ზ. ჭიჭინაძემ. თავის ნაშრომში ზ. ჭიჭინაძე ხაზგასმით მიუთითებს „დედაენის“ როგორც გამაერთიანებელი ფაქტორის მნიშვნელობას ქართული იდენტობისათვის:

„დედა-ენაში“ აღადგინა დაცემული დედა ენა ქართველთა. „დედა-ენაში“ შეკრიბა ქართველ ტომის მონათესავეთა ყველა სიტყვები, ერთი წიგნი შეადგინა და დღეს ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემის და ხეობის მონათესავენი ერთის ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით სამოქალაქო ქართული ენა იფინება... (ჭიჭინაძე 1900).

1913 წელს გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის დაკრძალვის დღეს გამოთქმული აზრები სახელწოდებით „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“ (ბოცვამე 1913).

ი. გოგებაშვილის სიცოცხლეშივე, 1910 წელს განხორციელდა მისივე წერილების პირველი კრებული პუბლიკაცია (გოგებაშვილი 1910). კრებულს წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა. კრებულში შესული მასალები მრავალფეროვნებით ხასიათდება და ქრონოლოგიური თვალსაზრისით მოიცავს 1866-1910 წლებს. პუბლიკაციების თემატური მრავალფეროვნება არსებული ვითარებით იყო განპირობებული. როგორც თავად აღნიშნავს წინასიტყვაობაში, წერილები შეეხებოდა „თითქმის ყველა საარსო საკითხს ქართველის ხალხის არსებობისას“.

1940 წელს დაბადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა სპეციალური კრებული, სადაც წარმოდგენილია მისი ცხოვრება-მოღვაწეობის, პოლიტიკური მოძღვრებისა და მხატვრული შემოქმედების მეცნიერული ანალიზი (გოგებაშვილი 1940ა). რამდენჯერმე განხორციელდა ი. გოგებაშვილის შემოქმედების პუბლიკაცია ტომებად თუ ცალკეული გამოცემების სახით. გამოიცა რჩეული ნაწერების ოთხტომეულის მეორე ტომი გ. თავზიშვილის რედაქციით (გოგებაშვილი 1940ბ), თხზულებანის ერთტომეული დ. ლორთქიფანიძის წინასიტყვაობით (გოგებაშვილი 1952), თეორიული და პოლიტიკური წერილების ათტომეულის პუბლიკაცია გ. თავზიშვილის და დ. ლორთქიფანიძის რედაქციით (გოგებაშვილი 1954-1965). ათტომეული შეადგინა და კომენტარები დაურთო ვ. ქაჯაიამ. ათტომეულის მეათე ტომი მიემდგნა ი. გოგებაშვილის ბიბლიოგრაფიას (გოგებაშვილი 1965). გამოიცა აგრე-

თვე, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი ერთ ტომად (გოგებაშვილი 1977) და რჩეული თხზულებები ხუთ ტომად, შემდგენლები: ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, გ. სიხარულიძე, ლ. ქაჯაია (გოგებაშვილი 1989-1990).

გამოქვეყნდა ასევე, ი. გოგებაშვილის პირადი მიმოწერა, დოკუმენტური მასალის ნაწილი (იოვიძე 1951), ეპისტოლარულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა (გოზალიშვილი 1990) და დაუმუშავებელი საარქივო მასალები (გამოცემას ერთვის ი. გოგებაშვილის თანამედროვეთა მანამდე გამოუქვეყნებელი მოგონებები) (ზოცვაძე 1991). ეპისტოლარულ-ლიტერატურული წყაროების საფუძველზე წარმოჩენილიქნა ი. გოგებაშვილის ღვაწლი და დამსახურება, მისი ურთიერთობა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან, ე. თაყაიშვილთან, ა. ცაგარელთან, ა. ხახანაშვილთან, ნ. ლომოურთან, ე. ნინოშვილთან, თ. სახოკიასთან.

1960 წელს ი. გოგებაშვილის 120-ე და 1990 წელს 150-ე წლისთავის აღსანიშნავად განხორციელდა საიუბილეო კრებულების პუბლიკაცია (ნიორაძე 1960; თითმერია, ჩილაჩავა 1990). 1990 წელს საიუბილეო კრებულში „იაკობის სამრეკლო“, ი. გოგებაშვილზე მკვლევართა წერილების გარდა, შესულია საყურადღებო მასალა 1913 წელს გამოცემიდან „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“. ჩატარდა 160-ე (2000) და 170-ე (2010) წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა საიუბილეო კრებულებში (გოგებაშვილი 2000; ახალაძე 2011).

მრავალრიცხოვანი გამოკვლევები მიეძღვნა ი. გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის გაშუქებას სამეცნიერო ლიტე-

რატურაში. აღსანიშნავია დ. ლორთქიფანიძის (ლორთქიფანიძე 1948), გ. თავზიშვილის (თავზიშვილი 1949; 1952; 1960), ს. აბულაძის (აბულაძე 1950) ნაშრომები. ყურადღება მიექცა თემატური თვალსაზრისით ი. გოგებაშვილის შემოქმედების ანალიზს. ამგვარად შესწავლილ იქნა ხალხური პოეზიის (ჩიქოვანი 1975: 246-257), საქართველოს გეოგრაფიის (გურგენიძე 1952), ბუნების დაცვა-გამოყენების (ობოლაძე, ქაჯაია 1979) და ბუნებისმეტყველური განათლების აუცილებლობის (კეცხოველი 1990: 123-131) საკითხები.

საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ი. გოგებაშვილის მოღვაწეობის შესწავლას ვ. რამიშვილმა. მონოგრაფიაში განხილულია ი. გოგებაშვილის დამსახურება ქართული მეცნიერული პედაგოგიკის, დედაენისა და რუსული ენის მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოების შექმნაში, ქართული კლასიკური საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბებაში, ეროვნული სკოლის საფუძვლების შემუშავებაში, ახალი სალიტერატურო ენის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნასა და მოღვაწეობაში (რამიშვილი 1993).

მრავალი ასპექტით აქვს გაანალიზებული ი. გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა გ. გოგოლაშვილს თავის არაერთ ნაშრომში „დედაენა – წიგნთაწიგნი“, „დედაენა – ძეგლი სამარადისო“, „სიბრძნე იაკობისა“ (გოგოლაშვილი 2001; 2011ა; 2012; 2014). მკვლევარი მრავალმხრივ წარმოაჩენს მის ღვაწლს: ქართველური ენობრივი სივრცე ი. გოგებაშვილის თვალთახედვით, ბრძოლა დედა ენის გადარჩენისათვის, დედა ენის თანამედროვე მდგომარეობა და სხვა. იგი ხაზგასმით მიუ-

თითებს თავის ნაშრომებში ი. გოგებაშვილის უდიდეს დამსახურებას ქართველთა თვითშეგნების ამაღლებაში „მან ქართველობას გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა ოთხი ეროვნული ბურჯისა მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება“. აქვე მიუთითებს მკვლევარი, რომ ჩვენს ქვეყანაში, ვარდების რევოლუციის შემდგომ განხორციელებულმა რეფორმებმა ასახვა ჰპოვა განათლების სისტემაშიც. სკოლებიდან ამოღებულ იქნა ი. გოგებაშვილისეული „დედა ენის“ სწავლება. რეფორმისტები მიუთითებდნენ, რომ სახელმძღვანელო მოძველებულია და მოითხოვდა ჩანაცვლებას ახლებური სახელმძღვანელოთი, ან უნდა მომხდარიყო „დედა ენის“ გათანამედროვეება, რაც თავისთავად არ აღმოჩნდა ადვილი (გოგოლაშვილი 2014: 9). ი. გოგებაშვილი ხომ ოცი წელი მუშაობდა და უღრმავდებოდა ბავშვებისთვის ადვილალსაქმელი და მისაღები გამხდარიყო პირველდაწყებითი სახელმძღვანელო.

სწავლების რეფორმისტული მიდგომა შეეხო წერის მეთოდსაც. აღინიშნა, რომ ი. გოგებაშვილის წერის მეთოდების თანამედროვე სასწავლო-მეთოდოლოგიურ მიდგომასთან შედარებითი ანალიზით წერის კულტურა არ აღმოჩნდა პრიორიტეტული და მას ნაკლები დრო ეთმობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში (ფიფია 2011: 54-58). მკვლევარი აქ იმოწმებს ვ. რამიშვილის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ი. გოგებაშვილისეული წერის სწავლების სისტემა ესთეტიკური ღირებულებით განსაზღვრავდა პიროვნების ფსიქო-ფიზიოლოგიური სინამდვილის ამსახველ უნარს (რამიშვილი 1990: 227).

დღეისათვის, ქართული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის (მათ შორის, გ. გოგოლაშვილის და სხვათა) დაუღალა-

ვი მუშაობის შედეგად, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ 1912 წლის გამოცემის (ქართველი ენათმეცნიერებისგან შექმნილი სახელმწიფო კომისიის მიერ ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული) ადაპტირებული სახელმძღვანელო დაამტკიცა (2019) სკოლებში შესატანად (მხოლოდ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ არჩევითი იქნება სხვა ექვს სახელმძღვანელოსთან ერთად).

დავუბრუნდები ძირითად თემას.

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილ იქნა ასევე, ი. გოგებაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებების ანალიზი. მ. გაფრინდაშვილი თავის ნაშრომში „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, საკითხის კვლევას გვთავაზობს ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობის, მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე (გაფრინდაშვილი 1959: 338-470). გაანალიზებულ იქნა ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციისა და მამულიშვილების აღზრდის საკითხები ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობაში (ბლაგიძე 1990). ი. გოგებაშვილის შეხედულებები აჭარის, ბათუმის პირველი ქართული სკოლის შესახებ, ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხთან დაკავშირებით განხილულია გ. ნიორაძის (ნიორაძე 1950) და ა. გობრონიძის ნაშრომში (გობრონიძე 2000).

არაერთ მკვლევარს აქვს შესწავლილი ი. გოგებაშვილის ენობრივი საკითხების კვლევისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილები, რომელთა შორის აღსანიშნავია: შ. ძიძიგურის „იაკობ გოგებაშვილი და ქართული საერთო-სახალხო ენა“

(მიდიგური 1952); ზ. ჭუმბურიძის „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენის საკითხები“ (ჭუმბურიძე 1956: 182); ი. ქავთარაძე „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა“ (ქავთარაძე 1956); ი. მეგრელიძის „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა“ (მეგრელიძე 1973, 1988). ასევე ენობრივ საკითხებს ეხებიან თავიანთ მონოგრაფიულ გამოკვლევებში გ. გოგოლაშვილი, ვ. რამიშვილი და სხვები.

მსჯელობს რა დედაენის მნიშვნელობის შესახებ ვ. რამიშვილი, აღნიშნავს

იაკობ გოგებაშვილმა გონების თვალთ გაზომა დედაენის ზემოქმედების ძალა და მასშტაბი პიროვნების სულიერი ცხოვრების ფორმირებაში და თავისი კონცეფცია სისტემის სახით ჩამოაყალიბა. ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად მის პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ მოძღვრებას. მისთვის დედაენა ერის ბურჯია, ეროვნების არსებითი ნიშანია. დედაენა არამხოლოდ ურთიერთობის საშუალებაა, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრების შემოქმედია, ვინაიდან ეროვნული კულტურის მთელი საგანძური ყველაზე სრულყოფილად, რეალურად თუ პოტენციურად დედაენაშია ჩაქსოვილი, ასახული, შენახული. ამიტომ იაკობ გოგებაშვილი, როცა დედაენის რაობასა და როლზე მსჯელობს, მარტო პედაგოგიკური მიზნებით როდი იფარგლება, დედაენის ბედს უკავშირებს ერის ბედს, ხალხის განათლებისა და გამოფხიზლების, ეროვნული კულტურის აღორძინების საკითხებს. იაკობ გოგებაშვილს ღრმად სწამს, რომ ერის სულიერი ცხოვრება დედაენაზე აღზრდა-განათლების გარეშე ვერ აღორძინდება (რამიშვილი 1993: 15).

ფრიად საყურადღებოა ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება აფხაზური ენისადმი, საერთოდ, აფხაზთა მიმართ. მისი პუბლიცისტური წერილების ანალიზით მძაფრი დაპირისპი-

რება გამოვლინდა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით იმდროინდელ საზოგადოებაში – ერთნი აფხაზურ-ქართული ისტორიული კავშირის მომხრეები იყვნენ, მეორენი – მოწინააღმდეგეები. ა. ნიკოლეიშვილის აზრით კი, ი. გოგებაშვილი ქართველთა და აფხაზთა ძველებური ერთობის შესანარჩუნებლად ახლებურ ტაქტიკას მიმართავს, რომლის გამოხატულებას წარმოადგენს აფხაზური დედაენის შედგენა-დაბეჭდვის მხარდაჭერა სიტყვით და საქმით (ნიკოლეიშვილი 2002: 103-109).

ი. გოგებაშვილის დამოკიდებულებას აფხაზური ენის მიმართ განიხილავს თ. გვანცელაძე. მისი თვალსაზრისით, ი. გოგებაშვილს იმის შიში ჰქონდა, რომ იმპერია უკან არ დაიხევდა და გამოიყენებდა ქართველთა ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას აფხაზურ ენაზე ღვთისმსახურების დაწესებისა და შესაბამისი ლიტერატურის თარგმნის მიმართ, უარს არ იტყოდა წამოწყებულ პროვოკაციაზე და შეეცდებოდა აფხაზთა შორის იმ აზრის გავრცელებას, რომ აფხაზი ხალხის კულტურულ წინსვლას ხელს ქართველები უშლიანო. მკვლევრის აზრით, ამიტომაც მივიდა ი. გოგებაშვილი იმ დასკვნამდე, რომ „თუ ქართველები ხელის შეშლის მაგიერ დაეხმარებოდნენ მოძმე ერს საკუთარი დედაენის პატრონობაში, ეს ამ ხალხებს შორის ურთიერთობას დაათბობდა, თანაც იმპერიას ჩაეშლებოდა აფხაზთა გარუსების გეგმა – დედაენის გამოყენების სფეროს გაფართოება გაუძლიერებდა აფხაზებს ეროვნულ თვითშეგნებას და მათი გარუსება გაძნელდებოდა. გარუსებულ აფხაზს ეროვნული იდენტობის მყარ პოზიციაზე მდგომი აფხაზი აჯობებდა“ (გვანცელაძე 2011: 7-10).

საინტერესოდაა განხილული ი. გოგებაშვილის დეაწლი კ. ტოტოჩავას ნაშრომში „იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებები“, სადაც წარმოდგენილია როგორც დიდი პოლიტიკური მოაზროვნე (ტოტოჩავა 2000). მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის პოლიტიკური ვითარების შესახებ ი. გოგებაშვილის შეხედულებებზე საუბრობს აგრეთვე, ბ. კვარაცხელია. იგი ცდილობს აფხაზი მკვლევრის ს. ლაკობას დაუსაბუთებელი შეხედულებების (თითქოს ი. გოგებაშვილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც წამოაყენა ქართველების მიერ აფხაზეთის კოლონიზაციის პროგრამა) უარყოფას ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების საფუძველზე (კვარაცხელია 2011: 12-28). აფხაზეთის საკითხს ი. გოგებაშვილის ნააზრევში განიხილავს აგრეთვე ე. ჯავახიშვილიც (ჯავახიშვილი 2013: 43-50). თუმცა წერილები, რომელსაც ავტორი შეეხება, უკვე განხილული აქვთ ზემოხსენებულ მკვლევრებს. როგორც ჩანს ავტორი არ იცნობს საკითხის გარშემო უკვე არსებულ გამოკვლევებს, ამას ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში საკითხის კვლევასთან დაკავშირებული ნაშრომების დაუმოწმებლობა. აღნიშნული მაგალითი კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საკითხის კვლევისას ისტორიოგრაფიული ანალიზი.

განხილულ იქნა ი. გოგებაშვილის შეხედულებები ისტორიის მნიშვნელობის შესახებ. იმ ურთულეს პერიოდში, როდესაც მოღვაწეობა უწევს სამოციანელებს და მათ შორის ი. გოგებაშვილს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიის სწავლება/პოპულარიზაციას ხალხში. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აღსაზრდელებში ეროვნუ-

ლი ცნობიერების, მოქალაქეობრივი შეგნების განსავითარებლად ისტორიული ცოდნის მიღების აუცილებლობას. არც ამ მხრივ ანალიზი დარჩენილა მკვლევართა ყურადღების მიღმა (მალაზონია 2011: 99-107).

არაერთი მეცნიერი შეეხო ი. გოგებაშვილის რელიგიური შეხედულებების შესწავლას. საბჭოთა ეპოქაში ი. გოგებაშვილის რელიგიისადმი დამოკიდებულება პოლიტიკური კონტექსტით იყო ახსნილი. მკვლევართა ნაწილის აზრით, ი. გოგებაშვილის რელიგიური შეხედულებები, მისი კრიტიკული წერილები ქართული ეკლესიის შესახებ იდეოლოგიზებურ ხასიათს ატარებდა და პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. მკვლევართა ნაწილი კი ი. გოგებაშვილს მატერიალისტად ასახელებდა და არგუმენტად იმოწმებდა კიევში გატარებულ წლებს, როდესაც დარვინის მოძღვრებით იყო გატაცებული. თუმცა, ამავდროულად აღინიშნა ი. გოგებაშვილის რელიგიურ შეხედულებებზე განსხვავებული მსჯელობაც. გამოირკვა, რომ ქართული ქრისტიანული ეკლესია მისთვის წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან ძალას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ხალხის თვითცნობიერების საქმეში. ქართულ ეკლესიას ი. გოგებაშვილი სამართლიანად თვლიდა ქართული კულტურის – დამწერლობის, ლიტერატურის, ხელოვნების აღმოცენების საქმის ერთ-ერთ საძირკვლად (ობოლაძე 1977: 39-53). პოსტსაბჭოურ ეპოქაში, როდესაც მეცნიერება განთავისუფლდა იდეოლოგიური დევნიდან, ი. გოგებაშვილის რელიგიური თვალსაზრისების სათანადო შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. საყურადღებო შეხედულებები გამოითქვა ი. გოგებაშვილის რელიგიურ და ზნეო-

ბრივ მოსაზრებებზე. კ. ტოტოჩავას შენიშვნით, ი. გოგებაშვილი ზნეორივი ნორმების ფორმირებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქრისტიანული სარწმუნოებას, საიდანაც დასაბამს იღებს ეთიკა და მაღალი ზნეობა (ტოტოჩავა 2000: 174-204). აღნიშნა, რომ შეუცვლელია ი. გოგებაშვილის რელიგიური შეხედულებების როლი ერის თვითცნობიერების და თვითდამკვიდრების საქმეში (კარანაძე 2010: 5-10) და ის ერი, რომელიც შეეცდება ადამიანთა ცნობიერებიდან სარწმუნოების განდევნას და უცხო, ქართველი ერის ტრადიციებისათვის მიუღებელი ბრძოლის იდეოლოგიზებული თეორიებით სხვადასხვა ძალების დაპირისპირებას, ასეთი საზოგადოება განსაცდელს ვერ ასცდება (ჯაფარიძე 2010: 65-67).

სათანადო ყურადღება მიექცა სამეცნიერო ლიტერატურაში ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების შესწავლას, რომელთა შორის საყურადღებოა დ. ლორთქიფანიძის (ლორთქიფანიძე 1949), გ. თავზიშვილის (თავზიშვილი 1952), უ. ობოლადის (ობოლაძე 1977) გ. გოგოლაშვილის (გოგოლაშვილი 2014) და სხვათა ნაშრომები. აღნიშნულ შრომებზე ზემოთ უკვე მქონდა საუბარი. ამჯერად შევჩერდები თემატური თვალსაზრისით საინტერესო ზოგიერთ სხვა კვლევაზე. აღსანიშნავია, ა. სპარსიაშვილის ნაშრომი, რომელშიც წარმოჩენილია თუ როგორ მიანიჭა იაკობმა ქართულ სიტყვიერ და მუსიკალურ ფოლკლორს მამულიშვილის აღზრდის ძალა, თუ როგორ ცდილობდა ხალხური შემოქმედების ნიმუშების აქტიური გამოყენებით მშრომელი ხალხის ზნეობრივ და გონებრივ ამაღლებას (სპარსიაშვილი 1990). სპეციალური შესწავლის საგანი გახდა ი. გოგებაშვილის მოსაზრებები ესთეტიკური აღზრდის,

ქართული მუსიკის როგორც აღზრდის და ესთეტიკური ამაღლების საშუალების შესახებ. გამოვლინდა, რომ ი. გოგებაშვილის ესთეტიკურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისები, პედაგოგიურ შეხედულებებთან ერთად, არ გადავიდა კოსმოპოლიტიზმსა და უცხო ენისადმი მიმბაძველობაში. აღნიშნული მიდგომით, მან სახე შეუნარჩუნა დიდაქტიკური აზროვნების ქართულ ნაკადს და მყარ გზაზე დააყენა სკოლის განვითარების ტენდენციები მთელი მომდევნო საუკუნეების განმავლობაში (ალავიძე 2011: 29-36). რაც შეეხება მუსიკას, საყოველთაოდ აღიარებულია ადამიანის გრძნობებზე მუსიკის ზემოქმედების ძალა. ამიტომაც ი. გოგებაშვილი აუცილებლად მიიჩნევდა მუსიკის საფეხურობრივად ათვისებას და ცდილობდა სკოლებში ხალხური მუსიკისადმი ინტერესის და სიყვარულის გაღვივებას (რეხვიაშვილი 2011: 95-98). ასე რომ, ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მრწამსი ხალხურობის პრინციპზე იყო აგებული. ხალხურობის იდეის ი. გოგებაშვილისეული გაგება იმ სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობდა, რაც განათლების სოციალურ და კულტურულ შინაარსს განაპირობებს (ბუხუღეიშვილი, ცუცქირიძე 2011: 221-229). ისტორიულ საბავშვო მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?!“ იგი ჯადოსნური იავნანათი იჭრება ბავშვის სულის სიღრმეში და მეხსიერებაში აღვიძებს მიძინებულ ტკბილ მშობლიურ გრძნობას, რომელიც ცოცხლადაა შენახული ადამიანის სულში და მშობლიურ ემოციურ გარემოში ისევ გაღვივდება, გაიღვიძებს და მთელი ძალით იფეთქებს. ვ. რამიშვილის აზრით, ასეთი განუსაზღვრელი ძალა და გამძლეობა აქვს მშობლიურ გრძნობას, დედაენას, დედა-ენაზე ხორცშესხმულ ტკბილ ჰანგებს

(რამიშვილი 1982: 430-441). საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს ფსიქოლოგი ზ. ხოჯავა ი. გოგებაშვილის ფსიქოლოგიურ შეხედულებებზე ისევე „იავნანამ რა ჰქმნას“ მიხედვით (ხოჯავა 1990). გამოირკვა, რომ ფსიქოლოგიურ მიმართულებათაგან ყველაზე მეტად მოთხრობა სიახლოვე ავლენს განწყობის თეორიასთან, ი. გოგებაშვილმა ინტუიტიურად მიაგნო განწყობის დიდ როლს ადამიანის მოქმედებაში. ი. გოგებაშვილის სხვა მოთხრობის „ხატის მიზეზის“ საფუძველზე ავტორისეული ფსიქოლოგიზმები გამოვლენილი აქვს თ. ჯავახიშვილსაც (ჯავახიშვილი 2011: 208-21).

განსხვავებული მოსაზრებები აღინიშნა მოზარდის ზნეობრივ აღზრდაში რელიგიის მნიშვნელობის შესახებ ი. გოგებაშვილის გამოთქმულ შეხედულებებზე. ზოგი მკვლევარი უარყოფდა ი. გოგებაშვილთან ზნეობრივი აღზრდის რელიგიური იდეის არსებობას და მიიჩნევდა, რომ პატრიოტულმა აღზრდამ დაიკავა მისი ადგილი (ყიფშიძე 1940: 47). მართალია, ი. გოგებაშვილი უპირატესობას ანიჭებდა პატრიოტულ აღზრდას, მაგრამ არ გამორიცხავდა ქრისტიანული სარწმუნოების როლს ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით. ამ მხრივ, დიდი ქართველი პედაგოგის შეხედულებები გაანალიზებული აქვს გ. კვანტალიანს და დ. გურგენიძეს (კვანტალიანი 1990: 45-47; გურგენიძე 1990: 31). ი. გოგებაშვილის შეხედულებები რელიგიურ აღზრდაზე, მისი დამოკიდებულება რელიგიასთან, ქართული ეკლესიის წარსულსა და აწმყოსთან წარმოდგენილია ნ. ფირცხალავა, ნ. ნარიშანიძის ერთობლივ სტატიაში. მკვლევართა აზრით, ი. გოგებაშვილს მოზარდი თაობის პროფესიული განათლება მიაჩნდა ცხოვრებისათვის

მომზადების ძირითად გზად და რეალური და კლასიკური განათლების ზომიერად შეხამებას თვლიდა საჭიროდ (ფირცხალავა, ნარიმანიძე 1998: 37-47). ზნეობრივ აღზრდაში მტკიცე სარწმუნოებრივი საფუძვლის აუცილებლობასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილის მოსაზრებებზე მსჯელობს ნ. ჭამპურიძე (ჭამპურიძე 2001: 194-202).

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დასვა საკითხი ი. გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა განსხვავებული შეხედულება. ე. ჭელიძე მიიჩნევს, რომ ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიისადმი იყო კრიტიკული, ამის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი წმინდანად შერაცხვა (ჭელიძე 2011). არგუმენტად მოიხმობს ციტატებს ი. გოგებაშვილის შემდეგი წერილებიდან: „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“ (გოგებაშვილი 1955: 525-532), „ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის“ (გოგებაშვილი 1955: 159-161), „დღევანდელი მომენტი ქართველთა და სომეხთა ეკლესიისა“ (შრომა 1906, №51). ამ წერილებიდანაც თვალსაჩინოდ იკვეთება ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, მაგრამ ვფიქრობ ამ საკითხის ანალიზი, მისი ორი ან სამი წერილის განხილვით არ უნდა შემოიფარგლოს. ი. გოგებაშვილი ამ საკითხს მრავალ სხვა სტატიაში ეხება და მათი საერთო ანალიზით უნდა იქნას დასკვნა გამოტანილი. ი. გოგებაშვილის ტექსტის არასწორი გაგების, საკითხისადმი არაპროფესიონალური მიდგომის მაგალითად ასახელებს გ. გოგოლაშვილი ე. ჭელიძის მსჯელობებს, მათ შორის უცხო ენების თაობაზე. მიუთი-

თებს, რომ ი. გოგებაშვილი ბერძნულს კი არ ებრძვის, როდესაც საუბრობს ბერძნულის გაუქმების აუცილებლობაზე, რაზეც ხაზგასმას აკეთებს ე. ჭელიძე, არამედ ქართულს იცავს. სათანადო არგუმენტებით უარყო მისი შეხედულებები მართლმადიდებელი ეკლესიის ცნებასთან და აღმსარებლობათა განურჩევლობასთან დაკავშირებით. „უეჭველი ეროვნული და რელიგიური მოთმინება, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება დაედო საფუძვლად ქართულ ხასიათს უძველესი დროიდან და მოდგმიდან მოდგმას გადაეცა... აი ღირსეული და მისაბადი მაგალითი“ (გოგობაშვილი 2011ბ: 29-32). სარწმუნოებრივი თვალსაზრისით სომეხთა დამოკიდებულება იწვევდა ი. გოგებაშვილის აღფრთოვანებას, ეს უნდა გამხდარიყო მისაბადი. ეს იყო მისი წერილის დედააზრი. ჩემი ნაშრომის ერთ-ერთი თავი სწორედ რელიგიური იდენტობის ანალიზს შეეხება ი. გოგებაშვილის წერილების მიხედვით, თვალსაჩინოდ იკვეთება ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. მისი კრიტიკა მიმართულია რუსეთის სინოდარულ კანტორას დაქვემდებარებული ეკლესიისადმი და რუსული რეჟიმის მიერ გადაგვარებული სასულიერო პირების წინააღმდეგ. ეს იყო მწარე რეალობა. ამ კრიტიკით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მნიშვნელობას და მისი მოპოვების აუცილებლობას ქადაგებდა. ეს ფაქტი ერთგვარი დადასტურებაა იმისა, რომ ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილები მხოლოდ სამაგალითო ისტორიების ასახვით არ შემოიფარგლება, არამედ კრიტიკული წერილებიც აქვს გამოქვეყნებული.

ი. გოგებაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო ქართული საზოგადოებისთვის „ყველამ რაღაც დიდი დანაკლისი იგრძნო, როგორღაც გამეჩხერდა ჩვენი – საზოგადო საქმისთვის თავდადებული ხალხი, რაღაც აბიზინებული ლამპარი ჩაქრა და დაბნელდა საქართველო“ – წერს ი. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო თ. ლლონტი² თავის გამოსათხოვარ სიტყვაში, რომელიც ასე დაასათაურა „ლამპარი ეროვნული თვითცნობიერებისა“ (ლლონტი 1913: 64).

მართლაც რომ გამეჩხერდა ქართული საზოგადოება. საუკეთესო შვილები ნელ-ნელა ინაცვლებდნენ სამარადისო განსასვენებელში. ამჯერად ი. გოგებაშვილი დააკლდა საქართველოს, რომელმაც დაგვიტოვა სანიმუშო მოღვაწეობის იშვიათი მაგალითი.

მეორე თავი.

ბეჭდური მედია და ქართველობა

²თევდორე ლლონტი (1888-1937) – სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი. 1918-1921 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოს, და დამფუძნებელი კრების წევრი. 1919 წელს გაზეთ „ზვირთის“ დამაარსებელი. 1919-1921 წლებში გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქტორი. 1937 წელს დახვრიტეს „ხალხის მტრის და სამშობლოს მოღალატის“ სახელით. (ბიოგრაფიული ლექსიკონი. საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007230/>).

იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით, ბეჭდური მედია უწყობს ხელს ეროვნული მასშტაბის მკითხველთა საზოგადოების ჩამოყალიბებას.

XIX ს-ში რუსული მმართველობის შედეგად დენაციონალიზაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ქართველობა. საგანმანათლებლო სივრცის რუსიფიკაციამ, და არა მარტო საგანმანათლებლო სივრცის, სახელმწიფო ენად რუსულის შემოღებამ, აღმამფოთებელი შედეგები გამოიღო ქართული იდენტობისათვის. ასეთ ვითარებაში ქართული ბეჭდური მედიის უმთავრეს მიზნად იქცა მკითხველთა განათლების ამალგებაზე ზრუნვა, რაც განაპირობა ჩვენში საზოგადოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით არსებულმა მდგომარეობამ და აგრეთვე, იმ გარემოებამ, რომ მხოლოდ შესაბამისი განათლებით აღჭურვილ საზოგადოებას შეუძლია ნაციონალური იდეალების განხორციელება. გარდა იმისა, რომ ქართველი ეროვნული მოღვაწეები ბეჭდური მედიის საშუალებით ზრუნავდნენ ხალხის განათლების ამალგებაზე, ხელს უწყობდნენ ნაციონალური გრძნობით შეკავშირებული მკითხველთა ერთობის შექმნას. ამგვარი განსაკუთრებული როლი იკისრა მედიამ ქართული იდენტობის ისტორიაში. ქართველი პუბლიცისტები აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ბეჭდურ მედიაში საყოველთაო ეროვნული გრძნობების გასაღვივებლად. თავიანთი მიზნის მისაღწევად ხშირად მსჯელობენ იდეოლოგიურ ღირებულებებზე, იდენტობრივ მახასიათებლებზე. წამოწყებულია სამშობლოს

სიყვარული, ეროვნული სიამაყე, ეროვნული ფასეულობების დაცვის აუცილებლობა. ბეჭდური მედიის როლს ქართველთა ნაციონალური გამოვლიანების პროცესის ასახვაში, მიემდვნა რამდენიმე ნაშრომი მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით. გამოქვეყნდა ჩვენი ერთობლივი გამოკვლევა წიგნის სახითაც (ჩხარტიშვილი, მანია 2011). ამჯერად ბეჭდური მედიის დანიშნულებაზე ვიმსჯელებ ი. გოგებაშვილის პუბლიკაციების მიხედვით.

ქართველ სამოციანელებს ცენზურის მკაცრ პირობებში უწევდათ პუბლიცისტური მოღვაწეობა, რითაც იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ისინი ფსევდონიმებით აშუქებდნენ მასალებს. იაკობ გოგებაშვილიც არაერთი ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს მედიაში: იაკობ სიმონიძე (ეს იყო მისი ნამდვილი სახელი და მამის სახელისგან შედგენილი ფსევდონიმი. „ივერია“ 1894, №263), ნაცნობი, გ-სი, ამერელი შვილი, ხუმარა, ამერი, დროებით აბასთუმნელი, ნ. კალმახელიძე-სა, სიმ-ძესა, ვარიანელსა, ხუმარასა, მარუშიძესა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბეჭდური მედია აწვდის ინფორმაციას მკითხველებს საზოგადოებრივი ცნობიერების მხრივ არსებული არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ. ი. გოგებაშვილმა გამოარკვია, რომ იმ დროისათვის ფაქტობრივად ერთადერთ გაზეთ „ივერიას“ არცთუ ბევრი მკითხველი ჰყავდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაზეთზე მოთხოვნილებაც სხვადასხვაგვარი იყო. ეს მონაცემები, ავტორის აზრით, საინტერესოა, ერთის მხრივ, ჩვენი ქვეყნის გონების მოძრაობის ხარისხის წარმოსაჩენად; მეორე მხრივ, იმის გასარ-

კვევად თუ რომელი კუთხეა ჩამორჩენილი განათლების თვალსაზრისით.

ყველაზე მცირე მკითხველი „ივერიას“ რედაქტორის მშობლიურ კუთხეში, კახეთში ჰყოლია. ასეთი შედეგის მიზეზად დასახელებულია შინაგანი მოთხოვნილების ნაკლებობა, ვინაიდან კახეთში ასევე ნაკლები ყოფილა სასკოლო წიგნებზე მოთხოვნილებაც. ასევე მცირე მკითხველი ჰყოლია „ივერიას“³ ქუთაისის გუბერნიაში, ზუგდიდში, ბათუმში. თუმცა, შენიშნულია, რომ ქართულ წიგნებზე ზუგდიდში დიდი მოთხოვნილება იყო. აქ დიდი და პატარა გონებრივ საზრდოს ეტანებაო, – აღფრთოვანებით აღნიშნავს ავტორი და დასძენს, კარგი იქნებოდა, რომ ქუთაისსა და ბათუმს ზუგდიდიდან აეღოთ მაგალითი.

ცხადია, ეს აქცენტი ზუგდიდზე არ არის შემთხვევითი. 80-იან წლებში, როგორც ცნობილია, ცარიზმის პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას საქართველოში წარმოადგენდა დანარჩენი ქართველობისაგან მეგრელების მოწყვეტა. ამას ის, უპირველეს ყოვლისა, ამ კუთხეში ქართული ენის ამოძირკვით ცდილობდა. ამიტომაც ი. გოგებაშვილი საჭიროდ მიიჩნევდა ქართული წიგნის კითხვის თვალსაზრისით ზუგდიდი გამორჩეულობის ხაზგასმას.

³გაზეთს 600-მდე ხელისმომწერი ჰყოლია: თბილისში 115, ქუთაისში 112, გორში 72, თელავში 26, ბათუმში 25, ყვირილაში 15, ხონში 15, სიღნაღში 14, ახალსენაკში 14, ოზურგეთში 11, ახალციხეში 10, ფოთში 10. იმერეთში სულ 247, ქართლ-კახეთში და ახალციხისკენ 283, ბაქოსკენ 18, ერევნისკენ 13, რუსეთისკენ 32. სამზღვარ გარეთისკენ 3 (ივერია 1886, №282)

ყველაზე მეტი დაინტერესება „ივერიით“ გამოვლენილა ქართლში, რომელიც ასევე გამორჩეული ყოფილა ქართულ ლიტერატურაზე მოთხოვნილებითაც და აქაური თავად-აზნაურობის მონდომებითაც, რომელსაც სწავლა-განათლების შემწეობისათვის 20 000 თუმანი გაუღია, მაშინ, როცა ამ თვალსაზრისით ლიხთიმერი ლაპარაკსაც ვერ ბედავს, ხოლო კახეთი 2000 თუმანს თუ იმეტებსო. საყურადღებოა, რომ ამ დროისათვის რუსეთის უნივერსიტეტებში შვიდი ქართველი ყოფილა პროფესორად და თითქმის ყველა ქართლელი. თუმცა ქართლი გამორჩეული ყოფილა გაზეთის ხელმძღვრებით და ლიტერატურის მოთხოვნილებითაც, მაგრამ საერთო სურათის გამორკვევით თვალსაჩინო გახდა ქართველთა გონებრივი მოძრაობის სავალალო მდგომარეობა. კორესპონდენტი გულისტკივილით კითხულობს:

„რას გააწყობს რამდენიმე ასი ცვარი წყლისა უდაბურს სახარაში? რა სულის ჩადგმა შეუძლია ლიტერატურისათვის ამ პაწია გუნდს მკითხველებისა?“ (ივერია 1887, №3).

ი. გოგებაშვილი მსჯელობს ქართველთა კითხვისადმი ინტერესის გაღვივების აუცილებლობაზე. ამ დროისათვის საქართველოში არც ერთი ქართული ჟურნალი გამოდიოდა, მხოლოდ ერთადერთი გაზეთის ამარა იყო დარჩენილი საზოგადოება. გულისტკივილით მოიხმობს ი. გოგებაშვილი სხვა ქვეყნის მაგალითს, ისეთი ქვეყნისას რომელსაც არც ჩვენსავით მდიდარი კულტურა აქვს, არც ისეთი სასახელო ისტორია როგორც საქართველოს, არც რიცხვით არის ჩვენზე მეტი (მაგ. ესტები რუსეთის ბალტიის გუბერნიაში), მაგრამ ოცი პერიოდული გამოცემა აქვს. ეძიებს პერიოდული ლიტერატურის

ჩამორჩენილობის მიზეზებს და პირველ რიგში ასახელებს საზოგადოებრივი მოთხოვნილების არ არსებობას, რაც მისივე მითითებით განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ ჩვენი საზოგადოება პატარაობიდანვე არ იყო მიჩვეული რეგულარულ კითხვას. ბავშვობის პერიოდი კი ყველაზე განსაკუთრებული პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ამ მხრივ პუბლიკაცია ერთგვარ მოწოდებას წარმოადგენს – მთელი საზოგადოება უნდა ჩაერთოს მომავალი თაობის თავიდანვე სწორ გზაზე დაყენების საქმეში, რათა მივიღოთ ჩვენი ხალხის წარმატება და წინმსვლელობა. საამისოდ კი დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევა საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის“ დაარსება.

თუ თქვენ შვილს პატარაობიდანვე მარჯვედ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებნი მიიზიდავენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვივებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნის კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორც წყალი თევზისთვის, ჰაერი ფილტვებისთვის.

ამ შედეგზე გასვლით კი საბავშვო ჟურნალი საუკეთესო ხიდის როლს შეასრულებს სასკოლო სახელმძღვანელოს შემდგომ პერიოდული ლიტერატურის კითხვის ინტერესის გასაღვივებლად (ივერია 1889, №262).

ახალგაზრდა თაობის აღზრდაში, სამწერლობო ლიტერატურასთან და სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად,

სწორედ, ბექდურ მედიას უნდა შეესრულებინა განსაკუთრებული როლი ეროვნული ერთობის შექმნაში.

ბექდური პროდუქციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს ი. გოგებაშვილი სტატიაში „განმარტებითი წერილი სწავლების პლანისა რომელიც მიღებულ უნდა იქმნას სამეურნეო სკოლაში ს. წინამძღვრიანთკარს“. ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სასწავლო გეგმის დამტკიცებაში პერიოდული გამოცემების როლზე:

„ეს არის შედეგი ქადაგებისა, რომელიც ისმოდა როგორც ქართულს, ისე რუსულზედ ადგილობრივ საუკეთესო პერიოდული გამოცემების ფურცლებზე...“ (ივერია 1883, №107).

მართალია, ჩვენში საჯარო კულტურის განვითარების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა ყოფილა, მაგრამ ამონარიდიდან თვალსაჩინოა, რომ „ჟურნალ-გაზეთობას“ ჰყავს თავისი მკითხველი როგორც მაღალ საზოგადოებაში, ასევე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებში. შედეგზე საუბარი გვამღევს სწორედ ამგვარი დასკვნის საშუალებას. მკითხველები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ხელისუფლებისათვის, რამაც იქონია ზეგავლენა სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე. სასწავლო გეგმის დამტკიცება კი მნიშვნელოვანი წარმატება იყო ეროვნული ბრძოლის გზაზე, ვინაიდან გეგმის მიხედვით სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო ს. წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში. ეს არის ნაციონალური მეხსიერების შექმნის საყურადღებო მაგალითი, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავის მხრივ ბექდურმა მედიამ.

ზემოთ ვისაუბრეთ თუ რამდენად მცირე იყო ქართველთა წიგნით დაინტერესება XIX ს. 80-იან წლებში. გავიდა დრო და ინტელიგენციის დიდი მუშაობის შედეგად, პრესის და მათ შორის „ივერიის“ აქტიური ჩართულობით საყურადღებო შედეგს იტყობინება გაზეთის ფურცლებიდან ი. გოგებაშვილი. ამის ნათელი დადასტურებაა ი. გოგებაშვილის „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ გამოცემის ტირაჟი, რომლის შესახებაც ვიტყობთ გ. წერეთლისადმი მიძღვნილ ფელეტონიდან „კიდევ ერთი ინსინუაცია“. წერილით ი. გოგებაშვილი ეხმაურება გ. წერეთლის თანამდებობით სარგებლობაზე გაკეთებულ ცილისწამებლურ მინიშნებას – „სამოსწავლო გამგეობის წევრი არ ვარ, ჩემი სახელმძღვანელოებით დიდი პენსია გავიჩინო წელიწადში და ვინმე ჩემი მაქებართაგანი მასწავლებლად გავამწესებინო“. საპასუხო ფელეტონში ი. გოგებაშვილი თავისი წიგნების გამოცემის ისტორიის შესახებ აწვდის ინფორმაციას მკითხველებს. თუმცა გამოხმაურება საყურადღებოა ქართული საზოგადოების წიგნებით დაინტერესების თვალსაზრისითაც. წერილი დაიბეჭდა 1894 წელს 142-ე ნომერში. გამოქვეყნებამდე ხუთი წლით ადრე (ალბათ 1889 წელს – ქ.მ.), „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს ი. მაჩაბელს (სახსრის შემცირების გამო) თხოვნით მიუმართავს ი. გოგებაშვილისთვის, იქნებოდა თუ არა თანახმა იმავე პირობით გამოეცა „საზოგადოებას“ „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ რა პირობითაც გრიქუროვი გამოსცემდა. ამით დახმარებას გაუწევდა და მცირეოდენი სახსარი გაუჩნდებოდა „საზოგადოებას“. ი. გოგებაშვილი თანხმობას აცხადებს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გამოსცეს მისი წიგნები. თუ მანამდე გამომცემელნი

„დედა-ენას“ ბეჭდავდნენ ოცი ათასზე მეტს და „ბუნების კარს“ ექვსი ათასზე მეტს, ახლა საქმის გასაადვილებლად და ხარჯის შესამცირებლად „საზოგადოებას“ ტირაჟის შემცირება შესთავაზა. ამიერიდან თორმეტი ათასი „დედა ენა“ და ოთხი ათასი „ბუნების კარი“ იბეჭდებოდა (ივერია 1894, №192). 1897 წლის 70-ე ნომერში კი იუწყება რომ „დედა ენა“ იყიდება ათი ათას ცალამდე (ივერია 1897, №70).

1895 წლის ივლისის თვეში ი. გოგებაშვილს „ივერიის“ საშუალებით მიუძღრთავს ქართული წიგნების გამომცემელი და გამყიდველი ფირმებისთვის, რათა მათ შეერთებული ძალით განეხორციელებინათ მისი საყმაწვილო და სახალხო წიგნების გამოცემა. მალე, მესამე დღესვე მოსვლია გამოხმაურება ი. გოგებაშვილს და ექვსი ათასი ცალის დაბეჭვდა შეუკვეთიანთ გამომცემლებს, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია წიგნზე მოთხოვნილების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ი. გოგებაშვილი ზრუნავს წიგნის სახალხო გამოცემად გადაქცევაზე. გამოცემა რომ მეტად საინტერესო გახდეს ყმაწვილებისა და ხალხისათვის, აუცილებლად მიიჩნევს მის დასურათებას, რომელიც ხელს შეუწყობდა საყმაწვილო და სახალხო წიგნების გავრცელებასაც, ვინაიდან სურათი თვალსაჩინოს ხდის წიგნის შინაარსს. ეს შეერთებული გამომცემა მნიშვნელოვნად მოემსახურებოდა განათლების გავრცელების საქმეს და სახალხო და საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებას ქართულ ენაზე. დასურათებული სახით გამოქვეყნებულა ი. გოგებაშვილის შემდეგი წიგნები: „იავნანამ რა ჰქმნა“, „თავდადებულნი ქართველნი“ პირველი და მეორე წიგნი, თამარ მეფე (ივერია 1895, №167). ამასთან საყურადღებოა

ი. გოგებაშვილის გადაწყვეტილება დაბეჭდოს 6000-ის ნაცვლად 3600 ცალი და მიმართავს ხსენებულ ფირმებს ხელი მოუმართონ ბ-ონ ივანე როსტომაშვილს (მიუხედავად იმისა კრიტიკულ წერილებს უძღვნის მის სახელმძღვანელოებს „ივერიაში“), რომელიც შეუდგა აგრეთვე სახალხო სურათებიანი წიგნის გამოცემას. ამით გამოხატავს კეთილშობილურ დამოკიდებულებას სხვათა მიმართ – მათაც მიეცეს შესაძლებლობა შეიტანონ წვლილი საზოგადო სასარგებლო საქმეში (ივერია 1895, №205).

ქართველთა გონებრივი ამოქმედების თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს გვაწდის ი. გოგებაშვილის წერილში „კასსა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის“. რთულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ მცირეოდენ სანუგეშო მოვლენათა შორის ასახელებს მწიგნობრობის განვითარებას. ერთი ათად იმატა ჩვენში მწიგნობრობის სიყვარულმა.

თუ ოცის წლის წინად ერთად ერთს ქართულს პერიოდულს გამოცემას „დროებას“ ჰყავდა მხოლოდ 300-400 ხელის მომწერელი, ამჟამად ოთხს ქართულს პერიოდულს გამოცემას ყოველ წლივ იბარებს სამი ათასამდე ქართველი, თუ იმ დროს ქართული სახელმძღვანელოები წელიწადში გადიოდა ოთხი-ხუთი ათასი, ახლა იფინება ოცდაათი ათასი. მაშინ მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში მოქმედებდა თითო-ოროლა სტამბა ახლა-კი ამ ორს ჩვენს დედაქალაქში გამრავლებულს საქმეებს ძლივს ასდის თხუთმეტი სტამბა... (ივერია 1900, №118)

ავტორი ხალხის გონებრივი ამოქმედების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ასახელებს სახალხო მასწავლებლების დამსახურებას, რომლებმაც გაავრცელეს წერა-კითხვა

და მოუშზადეს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს ახალი მკითხველები.

„ჟურნალ-გაზეთობის“ მნიშვნელობაზე და მხარდაჭერა-დახმარების აუცილებლობაზეა ყურადღება გამახვილებული წერილში „შენიშვნა მოამბეზედ“.

თუ გაზეთი მარჯვედ და ცოცხლად მოქმედობს, იგი აფხიზლებს საზოგადოებას, მოძრაობაში მოჰყავს, მის წარმატებას ეხმარება; მაგრამ სალიტერატურო სამკვიდროს-კი იგი არ შეადგენს. საშვილიშვილო შენობის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჟურნალსა, რომლის ყოველი ნომერი ისევე ხანგრძლივად არსებობს, როგორც წიგნი. ყოველთვიური ჟურნალი ყოველწლივ ამდიდრებს ლიტერატურას თორმეტი ახალი წიგნით, რომელიც ას წლობით სცოცხლობს და გონებრივს საზრდოს აძლევს ერსა დიდი ხნობით (ივერია 1896, №67).

ჟურნალის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე აქცენტირებით ი. გოგებაშვილი მოუწოდებს მკითხველ საზოგადოებას აქტიური თანადგომა გაუწიონ „მოამბეს“, რათა არსებობა გააგრძელოს და ღირსეულად შეასრულოს თავისი დანიშნულება. წინააღმდეგ შემთხვევაში „შესაძლებელია ერთად-ერთი ყოველდღიური ჟურნალი, ერთად-ერთი დედაბოძი სერიოზული პერიოდულის ლიტერატურისა, საუკუნოდ გამოგვესალმოს“ (ივერია 1896, №67).

აღნიშნული პუბლიკაციებით თვალსაჩინოა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ი. გოგებაშვილი ბეჭდური მედიის როლზე მსჯელობას, ვინაიდან მედია-საშუალებებს უნდა შეესრულებინა შუალედური რგოლი ნაციონალური გრძნობით შეკავშირებული მკითხველთა ერთობის შექმნაში.

მესამე თავი.
მამული, მამულიშვილობა, იდენტობა
იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური
წერილების მიხედვით

იდენტობის აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენს სამშობლო მიწა, მამული, რომელსაც ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ბრიტანელი მკვლევრის, ე. სმითის დაკვირვებით, აქვს „საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისთვის საერთო უფლება-მოვალეობანი” (ჩხარტიშვილი 2004: 36). ე. სმითი მიუთითებს, ნაციების საკრალურ საფუძვლებზეც. მისი შეხედულებით საკრალურობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სამშობლო მიწის, როგორც წმინდა მიწის, განცდა, რომელიც უკავშირდება საერთო ბედისწერას, ქვეყნისათვის თავშეწირულ გმირებს, რომელთა ხსოვნის რიტუალური გააქტიურება ერთობის წევრთა ცნობიერებაში ნაციონალისტ ლიდერთა მუდმივ საზრუნავს შეადგენს. ერთობის

ნაციონალიზაციის პროცესში ხდება წმინდა მახსოვრობათა ტერიტორიალიზება და გმირული ისტორიული ეთნოლანდ-შაფტების ჩამოყალიბება (ჩხარტიშვილი 2004: 59-60).

XIX ს. II ნახევარში ტერიტორიული მოცემულობის თვალსაზრისით, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველო. შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო მამულის, სამშობლო ტერიტორიის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა ქართული იდენტობა. ქართული მიწები უცხო იდენტობის ხელში გადადიოდა. ამ საშინელ მოვლენას ქართველმა სამოციანელებმა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, საადგილმამულო ბანკის დაარსებით მოუღეს ბოლო და მოახერხეს ქართული მიწის ქართველთა ხელში შენარჩუნება. უფრო რთული სურათი შეიქმნა ტერიტორიული თვალსაზრისით პოლიტიკური ვითარების შედეგად. დაიწყო, 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, აფხაზთაგან დაცლილი ქართული მიწა-წყლის კოლონიზაციის პროცესი. ამავე დროს რუსულმა მმართველობამ დიდი გავლენა მოახდინა ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაზე – მკვეთრად დაეცა ქართველთა თვითშეგნება, ჭეშმარიტი მამულიშვილის პოვნა, ი. გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიოგენეს ფარნითაც კი შეუძლებელი იყო.

ქართული ინტელიგენციის უმთავრესი საზრუნავი მამული და საკუთარი ვინაობის დაცვა გახდა. საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, აქტიური იდეოლოგიური პროპაგანდა იყო აუცილებელი ხალხში მამულიშვილური გრძნობების აღძვრა/გაღვივების მიზნით. სამოციანელებმა ამ მიმართულებით გაშალეს საქმიანობა და მიზნის მიღწევის უმთავრეს საშუალებად ბეჭდური მედია აქციეს. მედია მასალებით საერთო

სატკივარის გარშემო რაზმავდა მკითხველ ერთობას, აძლიერებდა მკითხველებში იდენტობის განცდას, მოუწოდებდა მათ ეროვნული იდეალებისთვის ბრძოლა-თავგანწირვისაკენ. ინტენსიურად იყო ჩაბმული ი. გოგებაშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

„ტერიტორიის ხელიდან გამოცლა და დაკარგვა ყველა უბედურებას აღემატება, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელიც სცხოვრობს მარტო მხვნელ-მთესველობით. ტერიტორიის დაკარგვა უდრის ამისთანა ერის ამოფხვრასა...“ – აღნიშნავს ავტორი 1910 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში (გოგებაშვილი 1910: I-III). იქვე მიუთითებს, რომ ამით იყო განპირობებული ამ საკითხისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი და წერილების პუბლიკაციის მრავალრიცხოვნობა. ამ წერილებში საუბრობს იმ ღონისძიებებზეც, რომლის წყალობითაც „შეიძლება შერჩენა ახლანდელი შემცირებული ტერიტორიის, არამედ ხელიდან წასულის დაბრუნებაც“ (გოგებაშვილი 1910: I-III).

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება ტერიტორიული იდენტობის ანალიზი და მამულიშვილთა ღვაწლი ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნებისათვის ი. გოგებაშვილის პუბლიკაციების მიხედვით ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში.

ვინაიდან იდენტობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს ტერიტორიული მოცემულობა წარმოადგენს, რუსული კოლონიალიზმი მთელი სიმძაფრით ქართული ტერიტორიების გახლეჩისაკენ იყო მიმართული. ამ მიზნით, რუსეთის მთავრობა ხელს უშლიდა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაცარიელებულ აფხაზეთში ქართველების დამკვიდრებას.

საგანგებო მსჯელობები გაიმართა ბექდურ მედიაში შავი ზღვის ნაპირების (ყაზახებით, მალაოროსებით, ბულგარელებით, ოს-მალეთიდან წამოსული სომხებით) დასახლების⁴ საკითხთან დაკავშირებით. ამ საკითხს 1877 წელს ი. გოგებაშვილმა წერილების სერია მიუძღვნა „ტიფლისსკი ვესტნიკში“, სადაც საუკეთესო კონტიგენტად დაუსახლებელი აფხაზეთისათვის ასახელებდა მეგრელებს, იმერლებს, გურულებს (გოგებაშვილი 1989: 366-399). XX ს. დასაწყისში კვლავაც აქტუალური იყო აფხაზეთის კოლონიზაციის საკითხი. ბუნებრივია ი. გოგებაშვილი კვლავაც აგრძელებს ამ საკითხზე წერილების გამოქვეყნებას. წერილი „უსამართლო ბრალდება“ თვალსაჩინო დასტურია იმისა თუ როგორ იღწვოდა იგი ტერიტორიის შენარჩუნებისთვის (ივერია 1902. №108). „ქართველობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა სავსებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი, და არამც თუ შეინარჩუნოს, დაიბრუნოს ის ნაწილები ჩვენის ქვეყნისა, რომელნიც მათ ხელიდგან გამოაცალა დროთა უკუღმართმა ტრიალმა“ – აღნიშნავს ი. გოგებაშვილი და იქვე აფხაზეთთან მიმართებაში ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობაზე მიუთითებს (ივერია 1902. №95). წერილში „პოლიტიკანობა აფხაზეთში“ კი განიხილავს რა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას, მიუთითებს „ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგინი საქართველოს, მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან“ (წყარო 1907. №26). სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნა, რომ ი. გოგებაშვილი ქართველთა და აფხაზთა ძველებური

⁴ ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. მანია 2015: 97-129.

ერთობის შესანარჩუნებლად ახლებურ ტაქტიკას მიმართავს, რომლის გამოხატულებას წარმოადგენდა აფხაზური დედაენის შედგენა-დაბეჭდვის მხარდაჭერა სიტყვით და საქმით (ნიკოლეიშვილი 2002: 103-109). „ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება, გამდიდრება. მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისთვისაც, მათ შორის აფხაზებისათვის“ – წერ-და ი. გოგებაშვილი (წყარო 1907. №26) და მიიჩნევდა, რომ „აფხაზთა გამოფხიზლების და კულტურულობის გზაზე მათი დადგომის წყალობით უწინდელი გარეგნული ერთიანობა ქართველებთან შეიცვლება შინაგანი სოლიდარობით და ინტენსიური ძმობით...“ (წერილი „აფხაზეთის შესახებ“ გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე გაზეთში „ზაკავკაზი“ 1907 №236, (გოგებაშვილი 1955: 200-221)). ი. გოგებაშვილი აფხაზ-ქართველთა ერთობის აღდგენის მიზნით თავის წერილებში აქცენტირებას ახდენდა ასევე, ისტორიულ თანაცხოვრებაზეც

თუ შეგნებული აფხაზები დაახლოვებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადიათ დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნოებში სტკბებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით. მეტსაც შეიტყოვნ. მაშინ აფხაზეთი სათავეში უდგა მთელ დასავლეთ საქართველოსა, რომელსაც აფხაზეთის სახელმწიფო ერქვა. მაგრამ როცა ისტორიის უკუღმა ტრიალმა მოსწყვიტა იგი საქართველოს და გაიმარტოვა, აფხაზები უკან-უკან წავიდნენ, დაეცნენ, გაველურდნენ, ერის ნაცვლად წარმოადგენენ ერთ მუჟა თემს, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკოსებმა გააცალკვეეს, გაიმარტივეს და მოსწყვიტეს საქართვე-

ლოსა. მტკიცე კავშირი კი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს (წყარო 1907. №26).

სამშობლო მიწა-წყალი, გარდა იმისა, რომ არის საცხოვრებელი ტერიტორია, ამასთან აქვს საკრალური მნიშვნელობა. იგი არის დიდებულ მამა-პაპათა სავანე. ამიტომაც ი. გოგებაშვილი ხშირ საუბრებს მართავდა მედიის სამუალებით მკითხველებში მამულის დაცვაზე და მამულიშვილური გრძნობის გაღვიძების აუცილებლობაზე. ეროვნული გრძნობის გაძლიერება მისი შეხედულებით, შესაძლებელი იყო ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდით. სწორედ ამ მიმართულებით უმართავს აქტიურ საუბრებს თავის მკითხველებს. მამულის, ანუ სამშობლო ტერიტორიის დაცვა მამულიშვილთა უპირველესი ვალდებულებაა, თუმცა ჭეშმარიტი მამულიშვილები სამოღვაწეო ასპარეზზე არ ჩანდნენ. ამიტომაც ი. გოგებაშვილი პირველ რიგში ერსა და ინტელიგენციას შორის მჭიდრო სულიერი კავშირის დამყარების აუცილებლობაზე მიუთითებს. ვინაიდან ინტელიგენციას უნდა შეესრულებინა მთავარი როლი ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდაში. ერსა და ინტელიგენციას შორის კავშირის განმტკიცება და გაძლიერება კი შესაძლებელი იყო ენის, ეროვნული ლიტერატურის, ქვეყნის ისტორიის შესწავლით. სწორედ აქეთკენ უნდა წარმართულიყო ქვეყნის გულშემმატკივართა მუშაობა. საზოგადოებას უნდა ეზრუნა მოწაფის ეროვნული კულტურით დაინტერესებაზე, უნდა აღეზარდა იგი ერის გულით და სულით შეთვისებულ შვილად. ამ ფაქტორს აქცევდნენ ყველა ქვეყნის სასწავლებლებში გან-

საკუთრებულ ყურადღებას. ჩვენთან კი ამ მხრივ საშინელი ვითარება იყო. სწორედ ამ მიმართულებით შლის მედიაში მსჯელობას ი. გოგებაშვილი:

არა გვგონია ვისთვისმე უცნობი იყოს ის აზრი, რომ მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის. ელემენტარული აქსიომაა, რომ ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზე და სდგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულშემატკივარი და ერთგული მამულისშვილი. მაგრამ ის კი ბევრმა არ იცის, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ფრიად ძნელია. ზოგიერთს ჩვენებურს ვაჟბატონებს რომ ჰკითხოთ, ყოველი ადამიანი დედის მუცლიდგანვე პატრიოტიაო, რადგან სამშობლო ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თანა ჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზედ ზრუნვა რა საჭიროაო.

პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ (ივერია 1882, №1).

ე.ი. ეროვნული განთავისუფლების უმნიშვნელოვნეს ფაქტორად ი. გოგებაშვილი ასახელებს ხალხში მამულიშვილური გრძნობის გაღვივების აუცილებლობას. იგი მიუთითებს საზოგადოებაში გავრცელებულ ტენდენციაზე და დასძენს:

პატრიოტად გარდაქცევისათვის სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო... ეროვნულ გრძნობას დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ეჭირება... დიად, სუსტია ჩვენში ეროვნული გრძნობა, მამულის სიყვარული“ (ივერია 1882, №1).

მაგრამ აქვე საუბრობს ჩვენში გავრცელებულ მამულის სიყვარულის წმინდა გრძნობაზე, რომლითაც გამსჭვალული ყოფილა ჩვენი ინტელიგენციის მცირე ნაწილი. ჩვენი მამულიშვილების უმთავრესი საზრუნავი ჩვენი ეროვნობისა და ვინაობის წარმატება გამხდარა, რომლის გარეშე არცერთ ხალხს შეუძლია არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატურობდნენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ იყო გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ამ პერიოდში ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობდნენ ჩვენი ერის გონებრივი განვითარების, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისათვის. ერთი სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულს მიუღია ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელ მიმართულებასაც დასდგომია ევროპის დაწინაურებული ნაწილი.

თუმცა, როგორც ზემოთ მივუთითე, ეროვნული გრძნობის სისუსტე შეიმჩნეოდა ქართულ საზოგადოებაში. აღნიშნული პრობლემის დაძლევა მამულის სიყვარულის გაძლიერებით, ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდით იყო შესაძლებელი. ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდაში კი ი. გოგებაშვილის შეხედულებით, უდიდეს კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა დიდი წინაპრების ზნეობრივი მაგალითების, სახელოვან მამულიშვილთა სასიკეთო საქმეების გამომჩეურება და საზოგადოებისთვის მიწოდება-გაცნობა:

ერთი უპირველესი ღონისძიება პატრიოტიზმისა, მამულის სიყვარულის გაძლიერებისა არის მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მხრივ მამულის შვილების მოქმედებისადმი,

მათი წაქეზება, გამხნეება პატივისცემის გამოცხადებით. საზოგადოების თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა მომქმედს პირს ერთი-ორად უმატებს ძალასა, ფრთებს უსხავს და ადვილად ატანინებს ყოველგვარ განსაცდელს იმ ეკლიან გზაზედ, რომელსაც აქამდის წარმოადგენს მამულის სამსახური (ივერია 1882, №1).

ავტორის აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართულ საზოგადოებაში გამოიკვეთა ამ თვალსაზრისით გამოღვიძების ნიშნები, დაიწყეს საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე პირების პატივისცემის, თანაგრძნობის, დაფასების გამოცხადება. ი. გოგებაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ისეთ პირთა დაფასებაზე, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენი ვინაობის აღდგენასა და ეროვნულ აღორძინებაში. მაგალითად მოიხმობს ბ-ონ ჩუბინაშვილის დახვედრას ქართული საზოგადოების მიერ:

„ბ. ჩუბინაშვილის დახვედრით და მიგებებით ჩვენმა საზოგადოებამ მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ეროვნულს პრინციპს, ხალხოსნურ მიმართულებას“ (ივერია 1882, №1).

წერს ი. გოგებაშვილი და სიხარულით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ხალხოსნურის მიმართულების დაფასება ინტელიგენციის მცირე დასიდან საზოგადოებაშიც გავრცელდა და ღრმად იდგამდა ფესვს.

იგულისხმება დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (1814–1891), ქართველი ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე. იგი მოღვაწეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1840 წელს გამოსცა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1846 წელს კი – რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც წაუმძღვარა ქართული ენის გრამატიკის ნარკვევი, 1855 წელს

რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „მოკლე ქართული გრამატიკა“, რომელშიც ძირითადად მოცემულია ახალი ქართული ენის ანალიზი; 1887-1891 წლებში გამოსცა ქართულ-რუსული ლექსიკონი. დ. ჩუბინაშვილს დიდი წვლილი აქვს ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემის საქმეშიც. მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში. 1842 წელს გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი „რუსთველოლოგიური კვლევა ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. შეადგინა „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ და სხვ.

აი, ასეთი ღვაწლის მქონე პიროვნების დახვედრა მიაჩნია ი. გოგებაშვილს „ეროვნული პრინციპისა“ და „ხალხოსნური მიმართულებისთვის“ სოლიდარობად (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 282).

„სამაგალითო ცხოვრება“ ასე უწოდებს ერთ-ერთ სტატიას და ამჯერად უცხო იდენტობის, ინგლისელი გამოჩენილი ფილოსოფოსის ჰერბერტ სპენსერის საზოგადოებრივ მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თავისი პუბლიცისტური ნაწერებით პირდაპირ კი არ ახდენდა გავლენას ხალხზე, არამედ ინტელიგენციას უნათებდა გზას ნაყოფიერი მოქმედებისა და ხალხზე გავლენისათვის (ივერია 1903, №266).

ეროვნული პრინციპის გაძლიერებისათვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული მახსოვრობის გააქტიურებას და ამ მიმართულებით ხშირი საუბრების გამართვას მკითხველთათვის. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ი. გოგებაშვილს და წარსულის ღირსების გააქტიურებით საკუთარი ვინაობის დაცვისაკენ მოუწოდებდა თანა-

მემამულეებს. ევროპის მაგალითის მოხმობით (ევროპის პატარა ერებს გაუცნობიერებიათ ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის დედა ენისა და ეროვნობის უდიდესი მნიშვნელობა და დიდ სახელმწიფოსთან შეერთებული, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რომ ისინი ღირსი იყვნენ დაცულ იქმნან თავიანთი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით), მიზნის მიღწევის საუკეთესო ღონისძიებად ასახელებს წარსული ღირსების, ღვაწლის, თავისებურების გამორკვევას და გამოაშკარავებას. ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ვითარება ყოფილა ჩვენში. ავტორის თქმით, ქართველები საარაკო სიბრმავის ყოველი ღონისძიებით მალავდნენ წარსულ ღირსებას, უარყოფდნენ ყოველივე მის თავისებურებას და ღვაწლს, ამით კი ძირს უთხრიდნენ ჩვენს აწმყოსა და მომავალს...

ადრე ევროპაში პატარა ხალხების ეროვნობა იდევენობოდა, ცდილობდნენ მათთვის დაევიწყებინათ დედა ენა, სამშობლო ისტორია და ლიტერატურა. მაგრამ საანალიზო პერიოდში დიდ ერებს შეუცვლიათ თავიანთი დამოკიდებულება პატარა ერებისადმი და ჯეროვანი უფლება მიუნიჭებიათ მათი ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და ადგილობრივი მმართველობისთვის. ყველაზე ცხადად ეს მიმართულება გამოკვეთილა ინგლისში ირლანდიელების, შოტლანდიელების და უელსელების, ხოლო ავსტრია-ვენგრიაში მადარებისა და სლავიანების მიმართ. პატარა ხალხები დარწმუნებულან, რომ პოლიტიკური განცალკევება მავნებელი იქნებოდა არა მარტო სახელმწიფოსთვის, არამედ მათთვისაც, რადგან შეურყევდა მშვიდობას და გაამრავლებდა ხალხთა შორის უთანხმოებას, ომებს და ცრემლს. ამიტომაც ისინი დაადგნენ სახელმწიფოს ერთობის

გზას და მოუთხოვიათ ეროვნულ უფლებათა აღდგენა სახელმწიფო ინტერესისთვის. სრული საბუთით ამტკიცებდნენ, რომ თუ მათს დედა ენას ლიტერატურას, ისტორიას, მართებლობას მიენიჭებოდა ჯეროვანი უფლება, ეს გააღონიერებდა და მისცემდა შეძლებას მეტი სარგებლობა მოუტანონ როგორც სამშობლო ქვეყანას, ისე სახელმწიფოს. ამ პროგრამას ერთი დროშის ქვეშ მოუქცევია ისინი. ეს გარემოება აძლევს ი. გოგებაშვილს იმის აღნიშვნის შესაძლებლობას, რომ დგება ახალი – თვითმმართველობის პრინციპზე აგებული დიდი სახელმწიფოების ხანა (ივერია 1890, №104).

ამდენად, ი. გოგებაშვილის თანამედროვეობაში ისეთი ჟამი დაუდგა საქართველოს, რომ აუცილებლობას წარმოადგენდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ხასიათის გამოკვლევების შექმნა, ვინაიდან საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის შესახებ აღინიშნა ნიჰილისტური დამოკიდებულება ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან, რომელთა შორის იყო ნ. მარი.

ზემოთქმულის თვალსაჩინო დადასტურებაა ი. გოგებაშვილის სტატია „ძირითადი უკულმართობა“⁵, რომელიც კრიტიკულად განიხილა 1904 წელს ი. ჯავახიშვილმა წერილით „მამულიშვილობა და მეცნიერება“. ი. ჯავახიშვილი არამართებულად აცხადებს ადვოკატურ-გამოსარჩლებითი ხასიათის თხზულებების მნიშვნელობას ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად და მავნებლად მიიჩნევს „უსარგებლო“ აზრების გავ-

⁵ პირველად გამოქვეყნდა 1890 წელს გაზეთ „ივერიაში“, ბროშურის სახით კი პირველად გამოიცა 1892 წელს იმავე სათაურით, ხოლო მეორედ 1903 წელს სათაურით „ბურჯი ეროვნებისა“.

რცელებას საზოგადოებაში. ადვოკატურ-გამოსარჩლებითი თხზულებები მისი აზრით „მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შესცვლიან... ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“ (ცნობის ფურცელი 1904, №2453). აქ ი. ჯავახიშვილი საუბრობს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე, რაც ამ დროისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა. საქართველოს ისტორიის მეცნიერული ანალიზი ჯერაც არ იყო გაკეთებული. მაგრამ ამავე დროს აუცილებელი იყო ხალხში ნაციონალური სენტიმენტების გაღვივება, ქართული ერთობის შედგენა და საკუთარი ვინაობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პაექრობაში ვინც ი. გოგეზაშვილს ესარჩლება, ყველა ხაზგასმით აღნიშნავს მის ღვაწლს საზოგადო საქმეში. იმ გარემოებასაც აღნიშნავენ, რომ უცხო ქვეყნებში თავიანთ გამოჩენილ პირებს და საზოგადო მოღვაწეებს პატივისცემით იხსენიებენ და საქმითაც ხელს უწყობენ. ჩვენში სრულიად განსხვავებული ვითარება ყოფილა ამ მხრივ:

სიტყვით რომ ცამდი აჰყავთ, საქმით ქვესკნელს უთხრიან... სანამ ცოცხალია, მის სადღეგრძელოსა ჰსმენ, ავად რომ გახდება, პარაკლისებს უხდიან, და რომ მოკვდება – პანაშვიდებს... მოღვაწის ბედნიერება ის არის, როცა მისს აზრსა და მიმართულებას ბევრი თანაუგრძნობს და მიმდევრები ჰყავს! როდესაც ჰხედავს, რომ მისი სათაყვანო „წმინდა წმინდათა“ სხვებისათვისაც სათაყვანო გამხდარა!.. როდესაც თანამოაზრენი გვერდში უდგანან და, ხელის შეწყობით, შრომას უადვილებენ... (ივერია 1904, №130).

საუკუდმართო სოფიზმს უწოდებს ი. ჯავახიშვილის კრიტიკას ი. გოგებაშვილზე ა. წერეთელი წერილში სათაურით „ქართველთა მოძულენი“ და აგრძელებს:

რაღა მაშინ აგონდება მეცნიერება და მისი ვითომც პრინციპები, როცა მისი მოძმე ქვეყანას ამხილებს მისის მშობლის დაუძინებელ მტრების უსამართლობას და პირნათლად გამოჰყავს მშობელი?.. ამის პასუხი მოგვეცნა ბატონმა მარრმა და მისმა მიმდევრებმა, რომელთა რიცხვში ყველაზე მეტად ჯერჯერობით თავი იჩინა ბ. ივ. ჯავახიშვილმა (ივერია 1904, №130).

სხვა სტატიებიც გამოქვეყნდა პრესაში ი. ჯავახიშვილის კრიტიკულ წერილთან დაკავშირებით. წერილი „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ანტიქართული შინაარსის კრიტიკად იქნა დასახელებული უცნობი ავტორის მიერ (ივერია 1904, №189, №190). ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმაც მიუძღვნა წერილი ი. ჯავახიშვილის სტატიას (ცნობის ფურცელი 1904, №2472), თუმცა მ. ჯანაშვილის გამოხმაურება უფრო განპირობებული იყო ი. ჯავახიშვილის მისდამი მომართული კრიტიკით, ვიდრე ი. გოგებაშვილის მხარდაჭერით.

XX ს. უკანასკნელ მეოთხედში ი. ჯავახიშვილ - ი. გოგებაშვილის პოლემიკა ისევ გახდა სამეცნიერო კამათის საგანი. ფილოლოგი რ. ჩხეიძე აღნიშნავს, რომ „... გარემოებანი, რასაც იმპერიის პოლიტიკა არასოდეს მოგაკლებს და იძულებულს გხდის ჭიდილში ხან პუბლიცისტურ გადახვევებში ებიო გამოსავალი. ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა არ არის სწორხაზობრივი მოვლენა“... (ჩხეიძე 1997:109-121). ისტორიკოს გ. ყორანაშვილის აზრით კი ი. გოგებაშვილი მიხვდა, რომ „ივანე ჯავახიშვილთან აღნიშნული საკითხის თაობაზე კამათში მას მეცნიერ-

რული საფუძველი არ ეყოფოდა და მომდევნო წლების მანძილზე, ალბათ, საკმაოდ გააცნობიერა ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების, შეფასებაში იგი მართალი არ იყო. შესაძლოა იგი თავისი პოზიციის სისუსტესაც მიხვდა“ (ყორანაშვილი 1999: 81).

ჩემს მიზანს არ შეადგენს იმის გარკვევა ვინ იყო მართალი გამართულ პოლემიკაში. მე მხოლოდ შევეცდები განსხვავებული კუთხით წარმოვადგინო ი. გოგებაშვილის ღვაწლი. როგორც პუბლიცისტური წერილების ანალიზით იკვეთება, მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში მთავარი ადგილი ხალხს, ყველა საქმეში ხალხის ინტერესის გათვალისწინებას უკავია და ამასვე მოუწოდებდა სხვებსაც. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მოგონება ი. გოგებაშვილზე. როდესაც მან გაუმხილა ი. გოგებაშვილს თავისი განზრახვა, რომ სურდა დაეწერა ოპერა „რწყილი და ჭიანჭველა“, ასეთი რჩევა მიუცია მისთვის „ასი სიტყვა და ერთი მოტივი შთაბეჭდილების მხრივ ერთმანეთს უდრისო. მხოლოდ ამას გთხოვ, ოპერის დაწერისას, რაც შეიძლება, მეტი ხალხური მოტივი ჩაურთეო. ჩემი წიგნები იმიტომ გადის, რომ მე ვცდილობდი მელაპარაკა ხალხთან მისთვის გასაგებ ენაზე“ (ფოცხვერაშვილი 1940: 81-84). ამიტომაც სცემდნენ განსაკუთრებულ პატივს. ამიტომაც დაისაკუთრა განსაკუთრებული ადგილი „დედა ენამ“. ამას თვით ი. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა „ბ-ნ გოგებაშვილს ჩვენში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, იმის აზრს და შეხედულებას საზოგადოება ყურადღებით ისმენს ხოლმე“ (ცნობის ფურცელი 1904, №2453). მაგრამ ი. ჯავახიშვილის კრიტიკაში ი. გოგებაშვილი პირადი წყენის ანარეკლს

ხედავს. იგი ახსენებს ი. ჯავახიშვილს 1903 წელს მასთან დაპირისპირებას. პირველი შენიშვნა, რომელიც მისთვის უთქვამს, შეეხებოდა წმ. ნინოს და ანდრია მოციქულის მოღვაწეობას⁶. ახსენებს ი. ჯავახიშვილს წმ. ნინოს მიერ საქართველოს გაქრტიანების ისტორია ხალხის არაკად რომ გამოაცხადა და ანდრია მოციქულის საქართველოში მოსვლა საერთოდ ეჭვქვეშ რომ დააყენა (ცნობის ფურცელი 1904, №2481). დღეისათვის გამორკვეულია, რომ ეს შეხედულება არამართებულია, კრიტიკული ანალიზით დადგენილია ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში.

ი. ჯავახიშვილის და ი. გოგებაშვილის პოლემიკა თვალსაჩინოდ ადასტურებს ეთნოსიმბოლისტური მიდგომის განსაკუთრებულობას ნაციონალურ ძალთა აღორძინების კვლევისათვის. ამგვარი მიდგომის ნიშნები გამოიკვეთა ქართველ სამოციანელებში, მათ შორის ი. გოგებაშვილის ნააზრევში.

ეს იყო დრო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივყარილი ოჯახებში; არისტოკრატის ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავის მოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულად მეტყველებდა... ქართული ენის შესასწავლად ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა... (სახოკია 1984: 38).

⁶ი. ჯავახიშვილს ამ საკითხთან დაკავშირებით სტატია გამოქვეყნებული აქვს ჟურნალ „მომბეში“ (ი. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში. მოამბე 1899. №5-6). ამ დროისათვის ი. ჯავახიშვილი სრულიად ახალგაზრდაა, თუმცა არც მოგვიანო პერიოდში შეუცვლია შეხედულება (იხ. ჯავახიშვილი 1916: 20-38).

ასეთ ვითარებაში პირველი რიგის ამოცანას ნაციონალური გრძნობების გაღვივება და გაძლიერება შეადგენდა. ეს ის შემთხვევაა, როცა ნაციონალურ გრძნობას უნდა შეესრულებინა თავისი მისია გამთლიანების საკითხში.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ი. ჯავახიშვილის კიდევ ერთ საყვედურზე ი. გოგებაშვილისადმი:

ბევრს ეგონა და ჰგონია კიდევ, ვითომც საკმარისია ბ-ნმა ვარიანელმა „Петербург. Бед.“-ში სტატია დაბეჭდოს და უმაღლეს სასულიერო მთავრობას აუწყოს საქმის ვითარება, ჩვენი ერთგულება და ისტორიული ღვაწლი ქრისტიანობის წინაშე („მრავალ ტანჯული ჯვაროსანი ერი“), რომ მაშინვე ეთქვათ პეტერბურგში, ეს რა ჩაუდენიათ, შემოდებულ იქმნას ქართული ენა სამეგრელოს სკოლებშიო, იმის მაგივრად ეცადნენ ყოველის ღონისძიებით იმდენად ააღორძინონ ჩვენი ცხოვრება, რომ ქართულის ენის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ყველასათვის ცხოვრებაშიც, აღებ-მიცემობაშიაც, იმის მაგივრად, რომ სამეცნიერო თუ ხელოვნურ მწერლობის წარმატების ხელის შეწყობის წყალობით ჩვენ დედაენას მტკიცე, მკვიდრი ნიადაგი მოუპოვონ (ცნობის ფურცელი 1904, №2453).

აღსანიშნავია, რომ ი. გოგებაშვილის ბრძოლა დედა ენაზე სწავლების თაობაზე მარტოდენ ქრისტიანობის ერთგულების და ისტორიული ღვაწლის ამსახველი წერილების წერით არ შემოიფარგლებოდა. მთელი იმდროინდელი პრესა ამის თვალსაჩინო დადასტურებაა, სადაც ასახულია ი. გოგებაშვილის კამათი ამ საკითხებთან დაკავშირებით იქნება ეს მასწავლებელთა თუ წერა-კითხვის საზოგადოების კრება. სწორედ მისი განთავისუფლებაც მასწავლებლობიდან ხომ ამ საკი-

თხს უკავშირდებოდა. წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გეგმაც ხომ მისი შედგენილი იყო და მთავრობა იძულებული გახდა დაემტკიცებინა, ვინაიდან გეგმაში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა ნათლად იყო განმარტებული. არც მისი ბრძოლა კ. იანოვსკისთან, ფ. ლევიცკისთან, ი. ვოსტოროვთან თუ სხვა გარუხების პოლიტიკის გამტარებლებთან უნდა დაგვავიწყდეს.

გარდა ამისა, როდესაც ი. გოგებაშვილი გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე ურთულესი ვითარებაა ქვეყანაში როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. პოლიტიკური თვალსაზრისით მძვინვარებს რუსული კოლონიალიზმი. კულტურული თვალსაზრისით მრავალთა შორის აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიის წყაროები მიმოფანტული იყო, არ არსებობდა საქართველოს ისტორიის წყაროების ერთიანი ბაზა. მხოლოდ XIX ს-ის 60-იანი წლებიდან დაიწყო ამ თვალსაზრისით აქტიური მუშაობა. ქართველი მოღვაწეების მონდომებით და დაუღალავი შრომით განხორციელდა საქართველოს ფარგლებში თუ ფარგლებს გარეთ მიმოფანტული საქართველოს ისტორიის წყაროების თავმოყრა 1879 წელს დაარსებულ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ და 1888 წელს სიონის ტაძრის ეზოში დაარსებულ საეკლესიო მუზეუმის საცავებში. აქედან გამომდინარე, როდესაც ი. გოგებაშვილი გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე სხვა გამოწვევების წინაშე იღვა ქართული საზოგადოება. რაც შეეხება პერიოდს, როდესაც გაიმართა პოლემიკა ი. ჯავახიშვილსა და ი. გოგებაშვილს შორის, სხვა ვითარებაა. ამ დროისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწეების მონდომებითა და გარჯით შექმნილია

საქართველოს ისტორიის წყაროების საცავები და ბაზები. დაინტერესებულ პირს შეუძლია იმუშაოს წყაროებზე და მათი კრიტიკული ანალიზით დაიცვას საკუთარი იდენტობა, გაფანტოს ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის, საერთოდ, ქართული კულტურის მიმართ. მართალია, წყაროების მოძიება-დაცვაზე ხელი ქართულ საზოგადოებას არ აუღია და კვლავაც აგრძელებდნენ ამ მიმართულებით მუშაობას, მაგრამ არსებული ბაზა იძლეოდა იმის შესაძლებლობას რომ სპეციალისტი ჩასჯდომოდა და შეექმნა განმაზოგადებელი ნაშრომები. სწორედ ამ თვალსაზრისით გასწია უზარმაზარი ღვაწლი ი. ჯავახიშვილმა. მის სახელს უკავშირდება წყაროს შინაგანი კრიტიკის დანერგვა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც დასავლეთ ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის ქართულ მაგალითზე მორგებით მოგვცა განმაზოგადებელი ნაშრომები. ე. თაყაიშვილიც ხომ სიამაყით მიუთითებს თავის მოგონებებში ი. ჯავახიშვილის ამ დიდ დამსახურებას: მიხარია რომ ჩემმა მოწაფემ შეძლო ის რაც მე ვერ მოვახერხე მოუცლევლობით და მოგვცა განმაზოგადებელი ნაშრომებიო (თაყაიშვილი 1968: 380-381). როგორც ვნახეთ, ი. გოგებაშვილს სხვა პირველხარისხოვანი პრობლემების დაძლევაში უწევდა მონაწილეობის მიღება. ეს იყო იდენტობის გადარჩენა-შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ეს ბრძოლა ხალხის გულებიდან ამოზრდილი „დედა ენით“ გამართა. ეს არის იაკობ გოგებაშვილის სიძლიერე და სიდიადე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მინდა აღვნიშნო, რომ განუზომელია ამ ორი დიდი ქართველი მამულიშვილის ღვაწ-

ლი საკუთარი იდენტობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. მათი პოლემიკაც ნათელი დადასტურებაა ამისა. ი. გოგებაშვილმა „დედა ენის“ სახით „აღუხოცველი ძეგლი“ დაიდგა ქართველთა გულებში და მეხსიერებაში საუკუნოდ, ი. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის ფუნდამენტური და კომპლექსური მეცნიერული ანალიზი მოგვცა და „საქართველოს ისტორიის მამის“ სახელი დაიმკვიდრა საუკუნოდ. მათი საზოგადო და მეცნიერული ღვაწლი აისახა საქართველოს უკეთესი მომავლისთვის სამაგალითო და უანგარო ზრუნვაში. ამ ორ დიდ ქართველში ჭეშმარიტად შეირწყა მამულიშვილობა და მეცნიერება.

დავუბრუნდები მთავარ საკითხს. ი. გოგებაშვილს სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, ქართველების შესახებ საზოგადოებაში არსებულ უარყოფით შეხედულებებზეც უწევთ პასუხის გაცემა. მის გულისწყრომას იწვევს ერთ-ერთი ასეთი შეხედულება:

„ქართველები იმდენად უნიჭონი არიან, რომ ერს ვერ შეადგენენ და მხოლოდ თემების კრებას წარმოადგენენო. ქართველებმა ათასის წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს ერთის სახელმწიფოს შედგენაო“ (ივერია 1894, №134).

ი. გოგებაშვილი მოაგონებს მათ ვინც ქართველებს აუგად მოიხსენიებს:

ჰყავთ ყველა ქართველებს, იმერებს და ამერებს, ერთი მამამთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან, ერთს ენას ხმარობენ, ერთი ლიტერატურა დაჰზადეს, ყველას ეროვნულ გენიოსად და ნიჭიერად მიაჩნიათ რუსთაველი, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი, ერთის სარწმუნოე-

ბის მიმდევარნი არიან. ათასის წლის განმავლობაში საქართველო ერთს შეერთებულს სახელმწიფოს წარმოადგენდა ფარნაოზიდგან დაწყებული მეთექვსმეტე საუკუნემდე, რის გამოც ყველა შესანიშნავნი მეფენი ამ ხანგრძლივ დროისა, როგორც ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ყველა ქართველებს, შავი ზღვიდგან მოკიდებული დაღესტნის მთებამდე, მიაჩნიათ ნაციონალურ გმირებად (ივერია 1894, №134).

აი კიდევ სხვა მაგალითიც ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში აღნიშნული ყოფილა:

მცხოვრებთა შედგენილობით საქართველოს საექსარხოსო წარმოადგენს უკიდურესს სხვა-და-სხვა ფერობასა; მის ვებერთელა ტერიტორიაზედ მოსახლობენ ყოველ გვარნი ერნი, თემნი და ხალხნი, სახელდობრ: რუსნი, პოლონელნი, გერმანელნი, ბერძნები, სხვა-და-სხვა ქართველი და მთიელი თემები (разныя грузинскія и горскія племена), სომხები, ებრაელნი, ოსმალონი, თათრები და მრავალნი სხვანი (ივერია 1894, №134).

ი. გოგებაშვილის გულისწყრომას იწვევს ის, რომ ისტორიული ქართველი ერი, რომელმაც მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა და მაცხოვრის თაყვანის ცემა გაავრცელა მთელს კავკასიაში, ურიცხვ მტერს გასცა პასუხი, შექმნა მდიდარი ლიტერატურა და კულტურული ერების სიმაღლემდე ავიდა, „იხსენიება არა ერად, არა ხალხად, არამედ თემად მაჰმადიან ჩაჩნების და ინგუშების ტოლად, რომელთაც არც ანბანი აქვთ, არც მწიგნობრობა, არც ისტორია, არც კულტურა“ (ივერია 1894, №134).

ი. გოგებაშვილის თვალსაზრისით, ქართული ერთობის ფორმირებისათვის აუცილებელი იყო როგორც საზოგადო

მოღვაწეებს, ისე ერს ჰქონოდა გარკვეული მიმართულება, სამოქმედო გეგმა. აღნიშნავს, რომ ქართველებს განსაზღვრული ჰქონდა სამოქმედო მიმართულება.

მისი მითითებით, ქართველების წარმატების პირველი ბურჯი იყო პოლიტიკური მიმართულება, მეორე ბურჯი – სამშობლო ენა, მესამე ბურჯი – სკოლა, მეოთხე ბურჯი – ეკლესია. თითოეული მათგანის შესახებ შესაბამის თავებში ვისაუბრებ, ამჯერად შევეხები მამულის შესახებ მისეულ ხედვას.

იგი პოლიტიკური სიმბოლოს ორ მუხლს ასახელებს:

პირველი მუხლით ქართველები აღიარებენ თავისს მტკიცე ერთობას რუსეთთან და იმპერატორის ერთგულებას. აქვე საუბრობს პოლიტიკური ერთობის საფუძვლებზე და მის შუა საუკუნეებში წარმოშობაზე. ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაზე, რომ არ არის პატარ-პატარა სახელმწიფოების დრო, დადგა დიდი სახელმწიფოების, ფედერაციების, შეერთებული შტატების დრო.

მეორე მუხლი პოლიტიკური სიმბოლოსი იყო ნაციონალური ანუ ეროვნული ძალების აყვავება-გაძლიერება. ნაციონალური ძალის საძირკველს წარმოადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო.

ბატონებო! მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა. თუ ერთი მხრივ იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორი-

ულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილს რტოსა, რომელსაც გახმოზა ვერ ასცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს (1901, №116, №117).

ამდენად, სამშობლო მიწა-წყალი გარდა იმისა რომ არის საარსებო ტერიტორია, ამასთან აქვს საკრალური მნიშვნელობა. იგი არის დიდებულ მამა-პაპათა სავანე. ერის არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის ისტორიულ წარსულთან. ისტორიული სულით გაჟღენთილი ტერიტორიის დაკარგვით ერი ვერ გააგრძელებს არსებობას. იგი დაემსგავსება ბოგანო მაწანწალას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი კერა, მამული, რომელსაც გათელავს ყველა გამვლელ-გამომვლელი. აი ამიტომ არის აუცილებელი ქართველობამ შევინარჩუნოთ საკუთარი მიწა-წყალი, მამული და სხვის ხელში არ გადავიდეს – ამგვარად მოძღვრავს თავის მკითხველს ი. გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც თუ როგორი ხერხით ცდილობენ უცხო იდენტობის წარმომადგენლები ქართველთა განადგურებას. ამის დასტურია წერილი „ქართველი ერის დაქუცმაცება“. „ერის დანაწილება პატარ-პატარა ლუკმებად გადაქცევა, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ამ ერის დასუსტებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისათვის. სწორედ ამ ვერაგულს ღონისძიებას ხმარობენ ქართველობის წინააღმდეგ ჩვენი ერის დუშმანნი...“ აღნიშნავს ი. გოგებაშვილი და ამის თვალსაჩინო მაგალითად ასახელებს „Тифлисский Настольный Календарь“-ის გამომცემელს გერცენშტეინს. ერთი შეხედვით იგი ჩვენი კეთილისმყო-

ფელი ჩანს, როგორც წერილიდან ვგებულობთ, თბილ წერილებს ბეჭდავს ქართველი მწერლების შესახებ. მაგრამ

ჩვენს ეროვნობას, ერთობას და მთლიანობას-კი ძირიან-ფესვიანად არღვევს... აქ ყველა ევროპიელი და აზიელი ერები მოხსენებულნი არიან როგორც ორგანულნი ერთეულნი არც ერთი მათგანის შესახებ მეკალანდრე არა ჰხმარობს პროვინციალურს, სათემო სახელებსა, ყველა მონათლული ჰყავს საზოგადო ეროვნულ სახელწოდებითა. ტფილისში რუსები ამდენნი არიანო, ამბობს, სომხები ამდენნი, ფრანგუზები ამდენნი, ნემცები ამდენნი, ლეკები ამდენნი, ოსები ამდენნი, აისორები ამდენნი და სხვანი. ქართველების შესახებ-კი სრულიად სხვა გვარად იქცევა. ქართველის ერის შტოები ცალკე ხევებად გარდაუქცევია. თემები – ცალკე ხალხებად და ერთა ეროვნული სხეული თორმეტ-ცამეტ სხეულად მოუჩვენებია. ქართველები ამდენნი არიან, მეგრელები ამდენნი, იმერლები ამდენნი, ფშავლები ამდენნი, თუშები ამდენნი, ხევსურები ამდენნი, უყურეთ რამდენი ნაცია აღმოუჩენია ქართველებში (ივერია 1902, №13).

გერცენშტეინს იმდენად გაუუკუღმართებია ქართველთა სტატისტიკური მონაცემები, რომ მისი ცნობებით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თბილისში სომხები ორჯერ მეტი ყოფილან ქართველებზე. ასეთი მცდარი ინფორმაცია ყოფილა თბილისელი იმერლების, ფშავლების, მეგრელების, ხევსურების, თუშების ცალკე ნაციად გამოცხადების შედეგი. გარდა ამისა, როდესაც გერცენშტეინი თბილისელებს სარწმუნოების მიხედვით ჰყოფს, მოხსენიებული ჰყავს რომის კათოლიკენი და სომხის კათოლიკენი, ქართველი კათოლიკები სომეხთა კათოლიკებისთვის მიუმატებია. საბოლოოდ გერცენშტეინის კალენდრის წყალობით მკითხველი მცდარ ინფორმა-

ციას ღებულობს, ქართველებს სომხებზე რაოდენობის მხრივ ერთი-ორად ნაკლებად ასახელებს. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ეს უბრალო ფაქტიური ტყუილი როდია.

„იგი შეადგენს დიდად მავნებელს უკუღმართობას, რომელიც არამც თუ ძლიერ ამცირებს ქართველობის მნიშვნელობას მისს დედაქალაქში, არამედ ძირს უთხრის ეროვნულ ერთიანობას, საბუთს აძლევს ჩვენს მტრებსა ქართველები ერის ხარისხამდე ვერ ასულან და თემის ხარისხამდე დარჩენილანო“.

ასეთი ვერაგული მავნებლობის შედეგად წერილში დასახელებულია ის ფაქტი, რომ ამ ცრუ აზრის მიმდევრები „გაიძახიან თუმეხს, მთიულებს, ფშავლებს, ინგილოებს, მეგრელებს და სხვებს რად უნდა ვასწავლოთ საგნები ქართულ ენაზედ და ქართული წიგნი, როდესაც იგინი ითვლებიან ცალკე ხალხებად...“ ავტორის შენიშვნით ქართველთა რაოდენობის ძლიერ შემცირება აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს მომხდარა. „ტფილელმა ქართველობამ თითქმის მთლად შეაკლა თავი მტერს ან ტყვედ იქნა წაყვანილი“. ამ დროს თბილისელი სომხობა მთაში გახიზნულა. შედეგად მივიღეთ ის, რომ მთავრობის აღწერის დროს დედაქალაქში აღმოჩნდა 12 000 სომეხი და 2 000 ქართველი. საბოლოოდ ასკვნის ავტორი, რომ მას უკან იზარდა ქართველობამ და მის თანადროულად გაუტოლდა კიდევ სომეხთა რიცხვს (ივერია 1902, №13).

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ საზოგადოების გამოსაფხიზლებლად ი. გოგებაშვილი მიმართავს ისეთ ხერხს, რომელიც მკითხველებში აღძრავს ნაციონალურ სენტიმენტებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებო სამაგალითო ცხოვრების ამსახველ პუბლიკაციას წარმოადგენს „ღირსეული სახსოვარი“. პუბლი-

კაცია სასიქადულო იმერეთის მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის წარმოჩენასთან ერთად, ეძღვნება მისი სახელის უკვდავსაყოფად ღირსეული სახსოვარის დაწესების საკითხს. ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, რომ განსვენებული მწყემსმთავრის ღირსება იმერთა ხალხმა ორი სიტყვით გამოხატა: „მეცნიერი არქიერი“. ი. გოგებაშვილი მიიჩნევდა, რომ სწორედ ამ „მეცნიერი არქიერის“ ღვაწლის შესაბამისი ღირსეული სახსოვარის დაწესება დიდ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას. ასეთ სახსოვარად ასახელებს სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინებას ქართულ ენაზე „განსვენებულის სახელით გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი მოჰფენენ მთელს ერში ცოდნასა და განათლებასა...“

იმის დასტურად თუ რა შეუძლია ჭეშმარიტ მწყემსმთავარს, ავტორი მოიხმობს მისი დაულალავი მოღვაწეობიდან ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ფაქტს. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებისა და მეცადინეობის შედეგად იმერეთის გლეხობამ შეძლო გამოეყვიდა მამული მებატონეთაგან. ეს ფაქტი თანამედროვეების მიერ დასახელებულ იქნა „უმაგალითოდ მთელ მსოფლიოში“. პუბლიკაციას ახლავს რედაქტორის შენიშვნა, რომელიც იუწყება, რომ ავტორმა ერთი თუმანი გამოგზავნა გაბრიელ ეპისკოპოსის სამწიგნობრო თანხისათვის (ივერია 1896 №517).

იგი ერთ-ერთი პირველი აგზავნის ფულად სახსარს საზოგადო კეთილი საქმისთვის.

⁷ სტატის აქვეყნებს ი. გოგებაშვილი ამერელი შვილის ფსევდონიმით.

დიდებული და აღუხოცველი ძეგლი აიგო თავის თანამემამულეთა გულში...

სამაგალითო ცხოვრებით ანდერძად მოგვცა: სამშობლოს სიყვარული, სიმართლე, სათნოება, ურთიერთ შორის მშვიდობა, სიყვარული, ძმობა-ერთობა და დავრდომილთა და გლახაკთათვის ზრუნვა... საუკუნოდ და სამარადისოდ იქნება დაუვიწყარი ჩვენ ქართველთათვის ხსენება შენი, ძვირფასო და სამაგალითო მოძღვართ-მოძღვარო! (ივერია 1896, №56).

ასევე იაკობ გოგებაშვილი არის საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბაქრაძის სახელობის სტიპენდიის დაარსების ინიციატორი. „ივერია“ დიდი გულისტკივილით ემშვიდობება ღირსეულ მამულიშვილს, დ. ბაქრაძეს. დიდებულ ქართველს ასე ეთხოვება ილია ჭავჭავაძე „საფლავი შენისთანა კაცისა, სალოცავია მამულისა“. სწორედ, ამისთანა მამულიშვილის, რომლის საქმენი მისი გარდაცვალების შემდგომაც აგრძელებენ არსებობას, სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად პირველი აგზავნის 25 მანეთს იაკობ გოგებაშვილი. ინიციატივა მიზანმიმართული იყო – სტიპენდია განკუთვნილი უნდა ყოფილიყო იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც თავიანთ მიზნად დაისახავდნენ სამშობლო ისტორიის მეცნიერულ შესწავლას (ივერია 1890, №34). ისეთ ვითარებაში, როდესაც ჩვენი ისტორიის შესახებ ნიჰილისტური თვალსაზრისი არსებობდა, ამგვარ ინიციატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. წახალისება ხელს შეუწყობდა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევით მეტად დაინტერესებას.

დროს და ენერგიას არ იშურებდა ი. გოგებაშვილი მატერიალურად ხელმოკლე სტუდენტთათვის სტიპენდიების მოსაპოვებლად. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა კ. ფოცხვე-

რაშვილის მაგალითი. 1907 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული სამუსიკო და ლიტერატურული საღამოს გამართვაში კ. ფოცხვერაშვილის ჩართვის და საყურადღებო მონაწილეობის შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიებით აღფრთოვანებული ი. გოგებაშვილი მეცენატებს თხოვს მატერიალური დახმარება გაუწიონ, დაუნიშნონ სტიპენდია, რათა შესაბამისი განათლების მიღება შეძლებოდა სამუსიკო ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას. აქვე ვრცლად საუბრობს ქართული სიმღერის, მუსიკის, ხოროს მნიშვნელობაზე ქართული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ხალხური სიმღერა უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს იმის შემქმნელს ხალხზე, ვიდრე უცხოზე, იგი უძლიერებს სიხარულს, უქარვებს დარდებს, ავსებს მხნეობით, ფრთებს ასხამს ყოველს კარგს მისწრაფებას, აძლიერებს ეროვნულს გრძნობას, აერთებს ყველა წოდებას, ყველა კლასს, ჰქმნის ერთეულს ერსა... ჩეხელებს, პოლონელებს, ირლანდიელებს და სხვა დამონავებულ ერებს უდიდესი სამსახური გაუწიეს ნაციონალურმა სიმღერამ, ნაციონალურმა ხოროებმა. ჩვენც ამგვარსავე სიკეთეს შეგვძღვნის ქართული ეროვნული სიმღერა, ქართული ნაციონალური ხორო...

დიაღ, ქართველ ხალხს აქვს სასიქადულო ეროვნული ჰანგები, სიმღერები, საგალობლები, რათა ეს სიმდიდრე მკვდარ თანხად არ დაგვრჩეს, რათა მან იმოქმედოს, წინ წავიდეს, სისრულე შეიმატოს, გახდეს ინტენსიური სიამოვნების წყაროდ ქართველთათვის და უცხოელების თვალშიაც სახელი გაგვიკეთოს, საჭიროა, უკიდურესად საჭიროა ქართული ნაციონალური ხორო (ისარი 1907, №273).

აი ამ დიდი დანიშნულებისთვის უნდა შევუწყოთ ხელი და დავეხმაროთ ისეთ ღირსეულ ყმაწვილებს, როგორიცაა

კ. ფოცხვერაშვილი – მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას. ასეთი ახალგაზრდების ხელშეწყობა ხომ ქართული ნაციონალური იდენტობის გამაერთიანებელი ქართული ხოროს დაარსება-წარმატებაზე ზრუნვას ნიშნავდა.

კ. ფოცხვერაშვილისთვის სტიპენდიის დანიშვნის საკითხს კვლავ უბრუნდება ი. გოგებაშვილი. ამჯერად მკითხველს აუწყებს, რომ ქართველ სტუდენტთა ოთხ ორგანიზაციას კ. ფოცხვერაშვილისთვის სტიპენდიის დანიშვნის „არაჩვეულებრივი შუამდგომლობით“ მიუმართავს თავადაზნაურთა წინამძღოლისთვის. ამ შუამდგომლობის გამოქვეყნების მიზანი საზოგადოებაში დახმარების და თანადგომის აღძვრის სურვილია (დროება 1908, №57). „ბიუროკრატიულ თრევას“ უწოდებს ი. გოგებაშვილი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე სტუდენტთა ორგანიზაციების მოთხოვნაზე პასუხს „საკრებულომ საჭიროდ სცნო ახალი ცნობები შეკრიბოს ბ-ნის ფოცხვერაშვილის შესახებო და მერე, თანახმად ამ ცნობების მოიქცესო“. გაჭიანურდა საქმე. ი. გოგებაშვილი თავად აწვდის ინფორმაციებს კ. ფოცხვერაშვილის მიერ პეტერბურგსა და დორპატში გამართული კონცერტების, მათზე გამოხმაურებების, რეცენზიების შესახებ. მოიხმობს რუსულ გაზეთში გამოქვეყნებული რეცენზიიდან ამონარიდს, სადაც ავტორი საზოგადოებას თხოვს ყურადღება მიაქციოს ქართული მუსიკის სიმდიდრეს და მოითხოვს დაინიშნოს ყოველ წელიწადს ექსკურსია კავკასიაში ქართული მუსიკის შესასწავლად, რომელიც მისი აზრით უმთავრესი განძი იქმნება მსოფლიოს მუსიკალურს საუნჯისათვის და ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერსო“. კ. ფოცხვერაშვილს აქვს ნაციონალური მიმართულება „იგი დიდ სამსა-

ხურს გაუწევს ჩვენს ეროვნულს მუსიკას, მის განვითარებას, და აამაღლებს მას თვით უცხოელთა თვალში“. საქართველოს ამისთანა ნიჭიერ და მომავლიან შვილს საქველმოქმედო საზოგადოებებმა უნდა გაუწიონ დახმარება და შეუწყონ ხელი „შეიქმნას მნათობად ნაციონალურ მუსიკისა“ (დროება 1909, №57).

თბილისის და იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისგან უარის მიღების შემდეგ, შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე ჟდანოვიჩისთვის და ბაქოს ნავთის მწარმოებელ იაკობ მანსვეტაშვილისთვის მიუმართავს თხოვნით. მისი დიდი მონდომებით დაენიშნა შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებისა და ბაქოს ნავთის მრეწველი ი. მანსვეტაშვილისგან სტიპენდია კ. ფოცხვერაშვილს (ფოცხვერაშვილი 1940: 81-84).

ასევე ეხმარება მატერიალურად ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის ინიციატივა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობაში კავკავის სახალხო სკოლის მასწავლებელს ბ-ონ ბოცვაძისათვის ფულადი (ხუთი თუმნის ოდენობით) შემწეობის თაობაზე. დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა მასწავლებელი ბოცვაძე: მამა გარდაცვლია, ამას ისიც დაერთო ზედ რომ ქურდები შეჭრილან მის სახლში და გაუძარცვავთ. ი. გოგებაშვილი ბოცვაძეს მრავალი სასიკეთო საქმის ინიციატორად და განმხორციელებლად ასახელებს. მისი ინიციატივით ყოფილა დაარსებული კავკავში სახალხო ბიბლიოთეკა. ამასთან ყოველნაირად უწყობდა ხელს ქართული ენის ათვისებას. ქართული ენის სახელმძღვანელოდ „Подное Слово“ აურჩევია და მოსწავლეები კეთილკვალზე დაუყენებია. მისი უანგარო ღვაწლის გადმოცემით

ცდილობს ავტორი მკითხველებს სოლიდარობის გრძნობა გაუღვივოს და დახმარების სურვილი აღძრას იმ თანამომძმეების მიმართ, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ეროვნული სულისკვეთების ახალგაზრდების აღზრდაში (ივერია 1894, №192).

ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა საკითხს სალიტერატურო ფონდის დაარსების თაობაზე. ვინაიდან საზოგადოებრივი გულგრილობის შედეგად მომავალშიც არ დაგვეკარგა როგორც ეს ე. ნინოშვილის შემთხვევაში მოხდა, სამაგალითო ქართველი მოღვაწეები. ამ წერილში ფრიად საყურადღებოა ი. გოგებაშვილის მონდომება როგორმე დახმარებოდა ფულადი შემწეობით ე. ნინოშვილს, რომელიც ყოველგვარ ფულად დახმარებაზე უარს ამბობდა. აი, როგორ დაიყოლია ნიჭიერი მწერალი (ასე მოიხსენიებს ი. გოგებაშვილი). მიუწერია მისთვის, თითქოს გამომცემლები დიდად იყვნენ დაინტერესებული მისი თხზულებების ტომებად გამოცემით, რომელსაც განახორციელებდა გამოჯანმრთელების შემდეგ, მანამდე კი თხოვდა სესხად მიეღო ყოველთვე ოცდახუთი მანეთი გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნების პირობით. როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, გახარებია მისი თხზულებებით რომ დაინტერესებულან გამომცემლები და თანხმობა განუცხადებია. ყოველ თვე იღებდა დახმარებას ოთხი თვის განმავლობაში სანამ გარდაიცვლებოდა (ივერია 1904, №106).

ე. ნინოშვილის გარდაცვალებამ ძალიან დაამწუხრა ი. გოგებაშვილი. საზოგადოებრივი გულგრილობის შედეგად მიიჩნევდა მის გარდაცვალებას და ადანაშაულებდა ქართულ საზოგადოებას შესაბამისი დახმარება რომ არ გაუწია მის საუკეთესო შვილს. ამგვარივე შემთხვევების თავიდან ასაცი-

ლებლად განსაკუთრებით აქტიურობდა სალიტერატურო ფონდის დაარსება-გამლიერებაზე. კიდევ ერთ მაგალითზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ამჯერად, აკაკი წერეთლის დასახმარებლად მოუწოდებს სრულიად ქართველობას გაილოს შემწეობა. აქ საუბრობს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებაზე, სადაც ნაციონალური საჩუქარი ჰქონიათ შემოღებული გამოჩენილი მამულიშვილების დასასაჩუქრებლად. საამისოდ საჯაროდ ხელისმოწერებს და თანხას აგროვებდნენ და საჩუქარს მართმევდნენ სახელოვან მოღვაწეს. ამის მაგალითად ასახელებს პოლონელი ბელეტრისტიკოსის სენკევიჩისთვის გაკეთებულ ნაციონალურ საჩუქარს. მიუხედავად იმისა, რომ სენკევიჩი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო, ხელმოწერით შეუგროვებიათ თანხა, უყიდიათ არისტოკრატული სასახლე მარნით, სადაც ღვინით სავსე ქვევრები ყოფილა და მიუერთმევიათ საჩუქრად სენკევიჩისთვის.

„ეს მშვენიერი ჩვეულება გადმონერგილ იქმნას ჩვენშიაც“ – აი რა არის წერილის მიზანი, რათა ამ საუცხოო ჩვეულებამ ხელი შეუწყოს საქვეყნო მოღვაწეობის გამლიერებას, მამულიშვილობის აღორძინებას.

უნდა გავუფრთხილდეთ ღირსეულ მამულიშვილებს, მოუწოდებს „ივერიის“ ფურცლებიდან. ამ შემთხვევაში აკაკიზე აკეთებს აქცენტს ორი თვალსაზრისით:

ჯერ ერთი ესა, რომ აკაკის პოეტური ნიჭი და სიძლიერე კალმისა დღემდინ იოტისოდნათაც არ შემცირებულა, თუმცა იგი სამოცდა მეხუთე წელიწადში გადადგა და არა ერთ უკვდავ ქმნილებას აჩუქებს კიდევ თავის საყვარელ სამშობლოს, თუ სენს და მოუსვენრობას თავიდგან ავამორებთ; მეორეც ისა რომ იმისთანა მაღალი და თავისებური ნიჭი,

რომლითაც უხვად დაჯილდოვებულია აკაკი თვით ევრო-პიელ ერებშიაც ძალიან იშვიათი მოვლენაა და, ვინ იცის, ედირსება თუ არა ქართველს ერს მეორე აკაკი შემდეგ საუკუნოებში...

დიაღ, საქართველოს წმინდა მოვალეობას შეადგენს, დააარ-სოს თანხა აკაკისა. ამ სასიქადულო საქმეში, რასაკვირველია, სრული თანაგრძნობით მიიღებენ მონაწილეობას არა მარტო კერძო კაცნი, არამედ ის დაწესებულებანიცა, რომელნიც წინა-დაც დახმარებიან აკაკის გაჭირვების დროსა (ივერია 1904, №249).

ავტორმა ერთ-ერთი პირველმა გაიღო ფულადი დახმა-რება ასი მანეთი აკაკი წერეთლის სამკურნალოდ. კომიტეტს, რომელიც უნდა შედგეს ჰპირდება რომ ყოველთვე ათ მანეთს გადასცემს იმავე მიზნით (ივერია 1904, №249). ი. გოგებაშვი-ლის ამ საყურადღებო ინიციატივას მოჰყვა მწერალ ე. გაბაშვი-ლის გამოხმაურება. ე. გაბაშვილი აღნიშნავდა, რომ არ იყო აუცილებელი ა. წერეთლის სპეციალური ფონდის შექმნა. იგი სალიტერატურო ფონდის გაძლიერებაზე ზრუნვისაკენ მოუ-წოდებდა საზოგადოებას, რათა აქედან გამხდარიყო შესაძლე-ბელი სათანადო სახსრების გამოყოფა (ივერია 1904, №252). ე. გაბაშვილის საპასუხოდ ი. გოგებაშვილი მიუთითებს, ჯერ ა. წერეთლის ფონდის შედგენაზე და მერე სალიტერატურო ფონდის გაძლიერებაზე, იმ მიზეზით, რომ ორივეს ერთდრო-ულად შეჭიდებით შესაძლოა ვერც ერთი დაეძლიათ და შერ-ცხვენილები დარჩენილიყვნენ. ა. წერეთელი კი კალმის სანი-მუშო ღირსებით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე ამასობაში უყურადღებობით არ დაეკარგა ქართველებს. უნდა გავუფრ-თხილდეთ „თორემ ვინ იცი კიდეც ეყოლება კი საქართველოს

მეორე აკაკი“ – პასუხობს გულისტკივილით ი. გოგებაშვილი (ივერია 1904, №267).

ხალხის გონებრივი ამოქმედებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ავტორი ასახელებს სახალხო მასწავლებლების დამსახურებას, რომლებმაც გაავრცელეს წერა-კითხვა და მოუმზადეს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს ახალი მკითხველები. უყურადღებოდ არ რჩება მასწავლებლის პატიოსნური ღვაწლის მითითება, რათა გაუკუღმართებულ საგანმანათლებლო სისტემის პირობებში ნამდვილ მაგალითებად იქცნენ და მისაბამები გახდნენ საზოგადოებისთვის. ერთ-ერთ ასეთ მასწავლებლად ასახელებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის მასწავლებელ ხატიაშვილს. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად სკოლის წარმატების საფუძველი ასეთი მუყაითი, გონიერი, პატიოსანი მასწავლებლების ღვაწლია (დროება 1884, №227). „ეს უჩინარნი მხვნელნი და მთესველნი გონებრივის ყანისა არ ჯილდოვდებიან არც ნივთიერად და არც ზნეობრივად...“ – აღნიშნავს ი. გოგებაშვილი და სვამს მათი ღვაწლის შესაბამისად დაფასების საკითხს, რასაც სამასწავლებლო კასების დაარსება ნაწილობრივ შეუწყობდა ხელს, საიდანაც მასწავლებლებს მიეცემოდათ სამაგალითო მოღვაწეობისთვის სახალხო განათლებაში: პრემიები, ჯილდოები, შემწეობა გაჭირვებისა და უბედურობის დროს, და, გარდა ამისა, ხელი გაემართებოდათ სესხით. ამისთანა ყურადღებით გამხნევებული მასწავლებლები, მეტს მხნეობას გამოიჩენდნენ სწავლა-აღზრდაში, მეტს თანაგრძნობას და სიყვარულს ლიტერატურისა და მწიგნობრობისადმი და უფრო მეტად ეცდებოდნენ გაემლიერებინათ საზოგადოებასა და ხალხში სწავლისა და მწიგნობ-

რობის სიყვარული. წერილის ავტორს საამისოდ პირველი ხარჯიც გაუღია და წერა-კითხვის საზოგადოებისთვის თხუთმეტი თუმანი გადაუცია, რათა „ეს ფული ხუთ სამთუმნიან პრემიად გაჰყოს და მისცეს პირველი პრემია სამაგალითო სახალხო მასწავლებელს გურიისას, რომელიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ჩვენში დაწინაურებულ კუთხედ სწავლაგანათლებაში, მეორე პრემია – სამაგალითო მასწავლებელს იმერეთისას რაჭითურთ, მესამე პრემია უკეთესს მასწავლებელს სამეგრელოსას სვანეთითა და სამურზაყანოითურთ, მეოთხე პრემია კახეთისას და მეხუთე - ქართლისას“ (ივერია 1900, №118). კვლავაც მოუწოდებს საზოგადოებას მასწავლებლების ღვაწლის სათანადოდ დაფასებისაკენ და მათი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქველმოქმედო საქმიანობის გააქტიურებისაკენ (შრომა 1906, №107, 108).

საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია სამაგალითო ადამიანთა სახელობის სტიპენდიის დაარსება. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სტიპენდიის დაარსების შემდეგ, ვასილ პეტრიაშვილის სახელობის სტიპენდიის დაარსების მნიშვნელობით იქცევს მკითხველის ყურადღებას ი. გოგებაშვილი. სტიპენდიის დაარსება განაპირობებდა საზოგადოების გულითად პატივისცემას იმ ადამიანისადმი, ვინც ჭეშმარიტად იმსახურებს პატივისცემას. იგი უკვდავყოფს იმის სახელს, რომელმაც ეს უკვდავება დაიმსახურა მაღლიანი შრომით.

წმინდა პატიოსანი ცხოვრების მიმდევნი თავისს ზნეობრივს მაღლიანს ძალას ჰფენს თავის გარშემო არა მარტო სიცოცხლის დროსა, არამედ სიკვდილის შემდეგაც, ჰპოულობს

მიმბაძავთ, რომელნიც განაგრძობენ და უკვდავ ჰყოფენ მის მადლიანს ხასიათსა და მის სპეტაკს ზნესა, და ამდიდრებენ ქვეყანას ზნეობრივის თანხით, რომელიც ბევრად უკეთესია ქონებრივის თანხაზედ (ივერია 1900, №273).

აი როგორ აფასებს ი. გოგებაშვილი ქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლს:

„... ერთი ხელით ემსახურებოდა მეცნიერებას, კაცობრიობას, და ჩინებულადაც ემსახურებოდა, და მეორე ხელით ეშველებოდა გაჭირვებულს სამშობლოს და ამდიდრებდა ქართულს ლიტერატურას კაპიტალური თხზულებითა...“

აქვე იუწყება, რომ აგზავნის ფულად დახმარებას სტიპენდიის შესამატებლად ოცდახუთი მანეთის ოდენობით (ივერია 1900, №273).

აქტიურ მონაწილეობას იღებდა ღირსეულ მამულიშვილთა საიუბილეო საღამოების გამართვაში. ერთ-ერთი ასეთია რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო. ი. გოგებაშვილს მართალია ვერ მოუხერხებია სიტყვის თქმა და განმარტება თუ რა ღვაწლი მიუძღვის რაფიელ ერისთავს ქართულ პოეზიაში, მაგრამ „ივერიიდან“ განუმარტავს მის მკითხველებს თუ

რა ადგილი უჭირავს მამულიშვილთა გუნდში, შავ ბედთან ბრძოლაში იმ მშვიდობიან არწივს ქართული პოეზიისას, რომელსაც რაფიელი ჰქვია, რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს და ექმნება მის საუკეთესო ლექსებს, მის ქართულს კაცთმოყვარეობას მოზარდი თაობისა და ხალხის აღზრდაში; მერმე უნდა შევხებოდი ჩვენი პოეზიის სხვა არწივების ღვაწლსა და ღრმა კვალსა, რომელსაც ისინი ავლებენ ქართველთა არსებობაში და გამეთავებინა იმით, თუ რა დიდი მხნეობა, დაუძინებელი ბრძოლა არსებობისათვის, დიდი სიფრთხილე,

დიდი წინდახედულობა და დიდი პოლიტიკური ტაქტიკაა საჭირო ჩვენთვის, რათა თავი დავაღწიოთ საშინელს კრიზისს, რომელშიაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, გავთანასწოროდეთ ყოველი უფლებით ჩვენი სახელმწიფოს მთავარ ერთან და შავი ბედი თეთრ ბედად ვაქციოთ (ივერია 1895, №244).

ხალხის განათლების ასამაღლებლად მნიშვნელოვანი იყო საჯარო კულტურული ადგილების შექმნა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა სამკითხველოების დაარსებას. ამიტომაც უწოდებს ი. გოგებაშვილის სამკითხველოს „გონებრივ სალაროს“.

სამკითხველოები დიდს სარგებლობას მოიტანენ ხალხში, ძლიერ დაეხმარებიან მისს გონებრივს გამოფხიზლებას და განვითარებას, აგრეთვე გრძობათა გაკეთილშობილებასა, მაღალ მისწრაფებათა გაძლიერებასა, თუ იგინი მიიზიდავენ მრავალს მკითხველსა (ივერია 1893, №92).

აღნიშნავდა, რომ მათი მომრავლება საქართველოში უსათუოდ კეთილ ნაყოფს გამოიღებდა. მკითხველების სიმრავლე კი უსათუოდ დამოკიდებული იყო სკოლის წარმატებაზე. რამდენად კარგად ასრულებდა სკოლა თავის დანიშნულებას, იმდენად მეტი სტუმარი ეყოლებოდა სამკითხველოებს.

ასევე საუბრობს თეატრის გაჭირვებულ მდგომარეობაზე და საზოგადოების ჩართულობაზე ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარებაში. „ხელოვნების ტაძარს“ უწოდებს თეატრს ი. გოგებაშვილი.

კვირაში ერთს საღამოს გავატარებთ მართლა ხელოვნების მშვენიერს ტაძარში, ვისიამოვნებთ ტკბილის ქართულის ენით,

რომელიც გაძევებულია ყოველ გვარის დაწესებულებიდან, დავსტკბებით ჩვენთა მსახიობთა ნიჭიერ თამაშით... გვახსოვდეს, რომ ყველა კარი ჩვენის ეროვნული ცხოვრების ამჟამად თითქმის გაუქმებულია და შემაერთებელ ცენტრად დარჩენილია ერთადერთი ეროვნული თეატრი, და ნუ თუ ეს კერაც უნდა ჩავაქროთ და გავაუქმოთ (ივერია 1904 №240).

თეატრი მრავალმხრივ ეწეოდა ეროვნულ საქმეს: აჯანსაღებდა დამსწრე საზოგადოების სულს, ეწეოდა ქველმოქმედებას, ადგენდა და აკავშირებდა ქართულ იდენტობას.

დროდადრო წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამართული საღამოებზე და მათ მნიშვნელობაზეც აპყრობდა მკითხველის ყურადღებას. მით უმეტეს თუ საღამოს წმინდა ქართული ხასიათი ჰქონდა. ამგვარი საღამო მარტო ფულის შემოსავალს კი არ შეადგენდა. მას აღმზრდელობითი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზედ, პროზის და ლექსების წაკითხვა, ქართული სიმღერები, ხელოვნური წარმოთქმა ხალხური სცენებისა მრავალმხრივ ინტერესს აღვიძებდნენ ხალხში (ივერია 1889, №73).

ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის ნათელ მომავალზე, მისი ეროვნული და სოციალური ცხოვრების გაჯანსაღებაზე ზრუნვას მიუძღვნა. ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის, ქართული ენის, ანბანის შენარჩუნება-განვითარებისათვის ბრძოლით, წარსული ისტორიული მეხსიერების ხალხში გააქტიურებისა და მომავლის საერთო რწმენის შექმნით საზოგადოებრივი ერთობის ფორმირებას უწყობდა ხელს. იგი წარსული სიდიადის იდეალიზაციით აწმყოში მომავალს ქმნიდა.

FS 7336

დედა ენა

ან უ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო უკულაზისათვის

შედგენილი ი. ზოგება შეჯღისაგან



შანოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

შელიძეშვილის და კაპ. სტამბაში.

1876

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო შკოლებისათვის

შედგენილი ი. ბოკუბაშვილისაგან.



ბამოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

მელიქიშვილის და კაპ. სტანაშვი.
1876



F1.295
3

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

მეოთხე თავი.
დედა ენა⁸ როგორც ქართველობის სიმბოლო

*მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, –
ყველა უცხო ენანი-კი ენანი სახსოვრისანი*
იაკობ გოგებაშვილი

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით, ენა იდენტობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წამოადგენს.

ყოველ ერს თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, საკუთარი დედა, რომელსაც შეუდევდებია მისი წარსული და აწმყო და აწმყოშივე გაუმაგრებია მისი მომავალი. ქართველებისთვის ასეთი დვრიტა ქართული ენაა... მან, როგორც შემოქმედმა ძალამ, ერი შეკრა და გააერთიანა, მისი სულიერი აგებულება დღემდე დაურღვევ-

⁸1976 წ. ზემით აღინიშნა „დედა ენის“ საიუბილეო თარიღი.

1990 წელს დაწესდა „დედა ენის“ დღე 14 აპრილი. 14 აპრილის „დედაენის დღედ“ გამოცხადებას წინ უძღოდა ისტორიული მოვლენა. 1978 წელს 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების შესახებ. პროტესტმა შედეგი გამოიღო. საქართველოს კონსტიტუციაში ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა. 1983 წელს ქართველმა ხალხმა „დედა ენას“ ძეგლი დაუდგა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მშრალ ხიდთან ბაღში, რომელსაც „დედა ენის“ ბაღი ეწოდა, მოქანდაკე ე. ამაშუკელმა აღმართა „დედა ენის“ ძეგლი. შეიქმნა „დედა ენის“ ხატი. დაწესდა ი. გოგებაშვილის სახელობის ჯილდო და მედალი.

ლად მოიტანა და ეროვნული გადარჩენის სიმძიმეც თვითონ იტვირთა... ქართული ენა ქართველთა ყველაზე მკვიდრი სამშობლოცაა, რომელიც საზღვრებს დაპყრობითი ომების გარეშე იფართოებს, ხოლო თავის მიწა-წყალს არ კარგავს მანამ, ქართულად ლაპარაკობენ, ფიქრობენ და ლოცულობენ... შორეულ საუკუნეთა ბურუსიდან ძნელი გზით მოსული, იგი ერის ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც მისი ისტორიული ბედის თანაზიარი... (კვარაცხელია 2011: 25).

ენა იძლევა არამარტო კულტურის მონაპოვრების, არამედ სოლიდარობის სენტიმენტების და იდეოლოგიების ცირკულაციის საშუალებას. ამგვარად, ენა ხელშემწყობ ვითარებას ქმნის ჯგუფის ჰომოგენურობისა და ექსკლუზიურობისათვის. ამასთან ენას აქვს სიმბოლური მნიშვნელობაც, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრების თვითაღქმებს, მათ მიერ იმის განცდას და რწმენას, რომ მშობლიური ენა განსაკუთრებულია, საღვთოა, კურთხეულია, და ა.შ. (ჩხარტიშვილი, მანია 2010: 472-483). აღნიშნულიდან გამომდინარე ფრიად საინტერესოა ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილის შეხედულებებზე დაკვირვება იდენტობის ისტორიის კვლევის კონტექსტში.

XIX ს-ის II ნახევარში რუსული რეჟიმის მთავარი სამიზნე გახდა იდენტობის ენობრივი მახასიათებელი. დაიწყო საგანმანათლებლო სივრცის რუსიფიკაცია. ქართული სასწავლებლებიდან საერთოდ ამოიღეს ქართულ ენაზე სწავლება და ქართველი ყმაწვილების აღზრდა ქართულის არ მცოდნე მასწავლებლებს ჩააბარეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მედიაში ინტენსიური მსჯელობაა გამართული დედა ენის მნიშვნელობის, პირველდაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების, საერთოდ, სასწავლებლებსა და ოჯახში ქარ-

თული ენის ფუნქციის საკითხებზე. დედააზრი ამ წერილებისა მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხის განათლება, რომელიც უარყოფდა დედა ენის შუამდგომელობას პირველდაწყებითი განათლების გადასაცემად, გახსნის მაგიერ გონებას უხშობდა ახალ თაობას, გონებითად და ზნეობითად ამდაბლებდა და აღარიბებდა მას. ერთი სიტყვით, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ხალხის განათლების დანიშნულებას.

ბეჭდურ მედიაში ენობრივი თვალსაზრისით გამლილ დისკუსიებში აქტიურად იყო ჩართული იაკობ გოგებაშვილი. მან ერთი მხრივ, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მეორე მხრივ, დაუღალავ მოღვაწეობას ეწეოდა სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად, მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიის სიყვარულის გასაღვივებლად და გასაძლიერებლად.

როგორც აღვნიშნე, „რეაქციის“ წლებში ძლიერ დამცრობილ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული ენა. კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის კ. იანოვსკის (1878-1899 წლებში იყო კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი) მიერ შემუშავებული სწავლების გეგმა ფარულ გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა. სწორედ გეგმის ეს მიზანი გამოააშკარავა და გაამათრახა „დროებაში“ და „ივერიამში“ ი. გოგებაშვილმა. მან გამოარკვია, რომ კ. იანოვსკის სამოსწავლო გეგმა და დირექტორებისთვის სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით გამოგზავნილი წერილი ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდიოდა. გეგმის მიხედვით სასოფლო ერთკლასიან სკოლებში შემოღებულ იქნა სამწლიანი სწავლება. წერილის მიხედვით ერთკლასიან სკოლებში სწავლება თითქმის ქართულ ენაზე უნდა

ყოფილიყო, გეგმით კი მეორე წლიდან უნდა დაეწყოთ რუსულის სწავლა, მესამე წელს კი მთლიანად რუსულად უნდა წარმართულიყო (დროება 1881, №50). ვაკვასიის სამოსწავლო ცირკულარის მონაცემებით, გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში ქართული ენისათვის მეექვსე გაკვეთილები ყოფილა დანიშნული და იმდენად მცირე საათები ჰქონია დათმობილი, რომ ბევრად ჩამორჩებოდა მეორე თუ მესამე ხარისხის საგნებს:

თბილისის გიმნაზიაში გალობას და წერას ხომ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ საგნებს შორის და ისწავლებიან მხოლოდ უმცროს კლასებში; მაგრამ ქართულს ენაზედ კი გაშორებით მომეტებული გაკვეთილი ჰქონიათ; წერისათვის განწესებული ყოფილა 299 გაკვეთილი, გალობისთვის 242 და ქართულის ენისათვის მხოლოდ 156 გაკვეთილი. თბილისის საქალებო გიმნაზიაში განწესებული ყოფილა ქართულის ენისათვის მთელის წლის განმავლობაში – იცით რამდენი გაკვეთილი? 23 (ოც-და-სამი), მაშინ როდესაც სომხურს ენას ამ სასწავლებელში რგებია 101 გაკვეთილი. საქალებო პროგიმნაზიაში ხელსაქმისთვის დადებულია 306 გაკვეთილი, ტანციობისთვის და გიმნასტიკისთვის 194 და ქართულის ენისათვის მხოლოდ 26 გაკვეთილი (ივერია 1882, №2).

ცირკულარის მიხედვით, ქართული ენის ხსენებაც არ ყოფილა ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე სწავლება, რადგანაც ეს ერთადერთი სასწავლებელი იყო თბილისში, რომელშიც უმრავლესობას ქართველობა შეადგენდა და საიდანაც მასწავლებლები გამოდიოდნენ საქალაქო სკოლებისათვის (ივერია 1882, №2).

იგივე მდგომარეობა ყოფილა გორის საოსტატო სემინარიაში, რომელიც ამზადებდა ასევე მასწავლებლებს სასოფლო სკოლებისთვის. საერთოდ ამოუღიათ ქართულის სწავლება. ამასთან სემინარიის მასწავლებელს ნათიევს შემოუღია სწავლების უკუღმართი მეთოდი – ქართული ენის რუსული ასოებით სწავლება. ამ სამწუხარო მოვლენას ადგილი ჰქონდა იმისთანა სასწავლებელში, რომელსაც დიდი საზოგადო სიკეთის მოტანა შეეძლო ხალხისთვის. მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი სასწავლებელი უშველებელი ბოროტების წყაროდ ქცეულა ნათიევის წყალობით. ნათიევს შეუქმნია პირველდაწყებითი სახელმძღვანელო თითქმის მთლიანად რუსული ტექსტისაგან, მხოლოდ ოთხი ფურცელი დაუთმია ქართული ტექსტისთვის. რადგან რუსულ ანბანს აკლია ასოები ქართულის გამოსახატავად ნათიევს გამოუგონია ახალი ასოები და შეუვსია რუსული ანბანის ნაკლი. აღნიშნულ აღმამფოთებელ გარემოებას ი. ჭავჭავაძის და ი. გოგებაშვილის კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა. ამიტომაც აქვს სახელმძღვანელოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, შეუძლია წაღმა წაიყვანოს მთელ ხალხში განათლება და უკუღმაც დააბრუნოს – წერს გულისტკივილით ი. გოგებაშვილი (დროება 1877, №74, 75, 77).

სწავლა-განათლების მხრივ არსებულ ვითარებას თვალსაჩინოდ ასახავს ი. გოგებაშვილის სტატია „ხე ნაყოფით იცნობება“. ავტორის აღმფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლებში გამოცდის დროს (რომელიც წინა წლის სექტემბერში ჩატარებულა ანუ 1879 წლის სექტემბერში – ქ.მ.) არ აღმოჩნდა ერთი მოწაფეც კი სამასწავლებლო სემინარიაში მიღების ღირსი. ეს ინფორმაცია

დაცული ყოფილა გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის ანგარიშში. „რა შხამავს და აჭიანებს მის ნაყოფსა? ხე გახლავთ სრულიად უფესო და დაშორებული დედამიწასა“ – აღნიშნავს იგი და აგრძელებს „თვით ლატაკი შკოლა მძლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით. თვით უმდიდრესი, შემკული შკოლა უძლურია, როცა ამ ნიადაგს მოკლებულია“ (დროება 1880, №2, №3). ეს არის მისი შეხედულებით აღნიშნული სკოლების უნაყოფობის უმთავრესი მიზეზი. პუბლიკაციაში ხაზგასმულია, რომ სკოლა ხალხს უნდა ემსახურებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაყოფს ვერ გამოიღებს. სასოფლო სკოლები ძირითადად გლეხების ინიციატივით და ხარჯით იყო გამართული და ამიტომ სწორედ გლეხების ინტერესები უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. გლეხობის ინტერესი კი ითხოვდა განათლების მიცემას მათი შვილების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სასოფლო სკოლა ამ ინტერესს მოკლებული აღმოჩნდა, რადგან მშობლიურ ნიადაგს იქნა მოცილებული. იგი ვერც გიმნაზიაში შესასვლელად ამზადებდა მოწაფეებს, რადგან სასოფლო სასწავლებლებში უცხო ენაზე ასწავლიდნენ ყველაფერს (დროება 1881 №57).

ასეთივე უნუგეშო მდგომარეობა იყო სხვა სასწავლებლებშიც. მაგალითად, სასულიერო სასწავლებლებში, სადაც ქართული ენის სწავლება განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგან სასწავლებელს უნდა აღეზარდა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრები, საერთოდ იქნა ამოღებული სწავლებიდან. შედეგად საზოგადოებას უბრუნდებოდა ყოველი ეროვნული საუნჯის ცოდნას მოკლებული მოძღვარი, რომელიც

თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. XIX ს-ის 60-იან წლებში ეგზარქოს ევსევის შეუნიშნავს ის გარემოება, რომ ქართველი მღვდლები არამცთუ ვერ აღავლენდნენ ქადაგებას ქართულ ენაზე, არამედ საეკლესიო წიგნებს ბორძიკით კითხულობდნენ და წინადადება წამოუყენებია თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების თაობაზე, თუმცა მთავრობისაგან უარი მიუღია (ივერია 1882, №2). სკოლების ასეთივე უნაყოფობა აღინიშნება 90-იანი წლების მიწურულსაც. „ჩვენებურმა სკოლამ, არა თუ ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა ერის სულიერს ცხოვრებასა და ეკონომიკურს ვითარებაში, არამედ ისიც-კი ვერ მოახერხა, რომ უბრალო წერა-კითხვა გაევრცელებინა ხალხში“ – მიუთითებს ი. გოგებაშვილი და აქვე მოჰყავს მაგალითები ამ მდგომარეობის ფაქტებით გადმოსაცემად. 1897 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ქართულ სოფლებში, სადაც სკოლა დიდი ხნის დაარსებული იყო, არ აღმოჩნდა ისეთი პირები, რომლებიც შეძლებდნენ უწყების ფურცლებში ჩაეწერათ საჭირო ცნობები ქართულად ან რუსულად. ამიტომ ყველა სოფელში პოლიციას შეუსრულებია ეს საქმე. აი სხვა მაგალითიც. როდესაც სოფელი განაჩენს ადგენდა, გლეხკაცთა შორის არავინ აღმოჩნდა ქართული წერა-კითხვის მცოდნე ხელი რომ მოეწერა განაჩენისთვის. ასეთი მდგომარეობა ყოფილა სოფლებში, სადაც სკოლები ათ წელიწადზე მეტი ხანია დაარსებული იყო (ივერია 1902, №70). საერო სკოლების სისუსტე და უნაყოფობა დახვედრია საქართველოს ეგზარქოსს ფლაბიანესაც⁹ საეგზარქოსო სკოლების შემოწმების დროს (ივერია 1902, №71).

⁹ ფლაბიანე – ერისკაცობაში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გოროდეკვი,

განათლების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იქნა დაარსებული „ნორმალური სასწავლებლები“. თუმცა, ვერც ამ სასწავლებელმა გამოიღონა ნაყოფი საგნების რუსულ ენაზე სწავლების გამო. იმერეთის ერთ-ერთ დაბაში დაარსებულ ასეთი სასწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებელს იმ მიზეზით, რომ საგნის რუსულად სწავლების შედეგად „სარწმუნოების დანერგვის მაგივრად მოზარდთა გულში მისი გათახსირება, შელახვა ინერგებოდა“, მოუთხოვია საგნის ქართულად სწავლება, მაგრამ პასუხად უარი მიუღია მთავრობისგან – პროგრამა წინააღმდეგია თქვენი თხოვნისაო. ამ ფაქტს ი. გოგებაშვილი ადარებს „წვიმისგან გადასარჩენად ადიდებულ მდინარეს თავის მიცემას“ და ასკვნის:

„ნორმალური სკოლა ჩინებული ხერხია, საუცხოო ღონისძიებაა დასამარხავად ქართულის ენისა, ქართულის მეტყველებისა, ქართულის წიგნისა. წესისა, სიმღერა-გალობისა, ქართულის ისტორია-გეოგრაფიისა, ერთის სიტყვით, ყოველის საეროვნო-საუნჯისა...“ (საქართველოს მოამბე 1895, №11)

ი. გოგებაშვილი მიუთითებს, რომ სკოლის წარმატებას სახელის შეცვლა არ განაპირობებს. სასოფლო სკოლებისადმი ხალხის გულგრილი დამოკიდებულების მიზეზი სწავლების მეთოდი იყო და სწორედ სწავლების მეთოდის შეცვლა იყო აუცილებელი სწავლა-განათლების ამალგებისათვის.

საქართველოს ეგზარქოსი 1898-1901წლებში. 1898 წლის 21 თებერვალს დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად (ივერია 1898, №67). 1901 წლის 2 დეკემბერს დაინიშნა ხარკოვის არქიეპისკოპოსად (ცნობის ფურცელი 1901, №1659).

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენას. თუ სახელმძღვანელო გონიერ მიმართულებას მოემსახურებოდა, სასურველ ნაყოფს გამოიღებდა და დიდ სამსახურს გაუწევდა სკოლასაც და საზოგადოებასაც.

მაგრამ თუ იგი ასცდენია პედაგოგიურს დედა-აზრსა, მოსწყვეტია ეროვნულს ნიადაგს და ემსახურება რომელსამე უკუღმართს მიმართულებასა, ხალხის განათლების მაგიერ, მაშინ სახელმძღვანელო შეადგენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნამდვილს საწამლავსა.

ნასწავლთა დასი, რომელიც წინამძღოლია და გზის გამკვლევეი ხალხისა, ყოველთვის სიფრთხილით იქცეოდა ამ საქმეში, მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც სკოლა სურდათ გაეხადნათ პოლიტიკურ იარაღად. იგი იყო დაუძინებელი მცველი პედაგოგიურის და ეროვნულის პრინციპებისა და არც ერთს სახელმძღვანელო წიგნში მას ვერ შეეპარებოდა უკუღმართი მიმართულება... დედა-ენის სახელმძღვანელოებს ვრცელს საფუძველზედ აყენებდენ, ფართო თვისებას აძლევდენ მაშინაც კი, როდესაც ზემო სფერათა მიმართულება თხოულობდა მის ვიწრო კალაპოტში მოქცევასა; სახელმწიფო ენის სახელმძღვანელოებს ადგენდენ ისე, რომ შეუძლებელი გაეხადნათ მისი დაწყება, ვიდრე დედა-ენას, სამშობლო წერა-კითხვას და გრამატიკას არ შეისწავლიდენ მოსწავლენი (დროება 1883, №202).

ასე რომ, იაკობ გოგებაშვილის ეს მსჯელობა პირდაპირი მოწოდებაა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოიწვიოს ქართული ინტელიგენცია თავისი ვალდებულების შესასრულებლად, რათა დაიცვას საკუთარი „ვინაობა“/იდენტობა. ამ შემთხვევაში პედაგოგიური პრინციპების დაცვა „ვინაობის“ დაცვის ტოლფასი იყო. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწავლა-განათლების წარ-

მატებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სასკოლო სახელმძღვანელოების სწორი მიმართულებით შედგენა. სწორი მიმართულება კი მოზარდის ეროვნულ ფესვებზე აღზრდას გულისხმობდა.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო 1876 წელს ი. გოგებაშვილის მიერ ქართული ენის სახელმძღვანელოს „დედა ენის“ შედგენა. დიდი შრომა გაუწევია ი. გოგებაშვილს პედაგოგიური პრინციპების გათვალისწინებით, ყმაწვილთათვის პირველდაწყებითი სახელმძღვანელოსთვის მასალების შესაგროვებლად. იგი სოფელში გადასახლებულა და შეუკრებია ხალხური მეტყველების ქმნილებები. წერა-კითხვის შესასწავლ მასალასთან ერთად საგანგებოდ შეურჩევია ზნეობრივ, მორალურ, პატრიოტულ მოტივებზე საყმაწვილო თქმულებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული ხასიათის მოთხრობები (ცნობის ფურცელი 1896, №76). თემების შერჩევასა და გათვალისწინებული აქვს უმნიშვნელო ნიუანსიც კი, რათა ყმაწვილს გაადვილებოდა მარტივიდან რთულზე გადასვლა. მთელი ოცი წელიწადი უღრმავდებოდა ყმაწვილთათვის პირველი სახელმძღვანელოს შედგენას. ასეთი დიდი შრომით შეუქმნია ქართული კულტურის „აღუხოცველი ძეგლი“ – „დედა ენა“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოცემულა.

ეროვნულ პრინციპებზე შედგენილ, ხალხურ ფესვებზე დაფუძნებულ სახელმძღვანელოს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მთავრობის მხრიდან. თუმცა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართულ სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ

სამზრუნველო სამოსწავლო საბჭოს მიერ „დედა ენა“ იქნა დამტკიცებული (ივერია 1877, № 2, 3). ამ მოვლენას სამზრუნველო საბჭოს გარეთაც ჰყავდა ხელის შემშლელები. კრიტიკული კორესპონდენციები გამოქვეყნდა „დედა ენის“ შესახებ „იმედის“ ფურცლებზე. ი. გოგებაშვილი საპასუხო წერილში „უმეცრების ამაცობა“, მოპაექრეს ფსევდონიმით გადაღმიელი (ანთიმოზ ჯუღელი) პასუხთან ერთად, წარმოუდგენს დედა ენის შედგენილობის შესახებ მსჯელობას. აღნიშნავს, რომ დედა ენა შედგენილია წესისა და რიგის მიხედვით შინაგანი კავშირებით ერთმანეთთან შერწყმული მასალებისაგან, სადაც პატარ-პატარა ზღაპრებთან, იგავ-არაკებთან, ლექსებთან, საბავშვო მოთხრობებთან ერთად მოცემულია სასაუბროები, ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხი გამოთქმები. სასაუბროებს წინ უძღვის ერთმანეთთან აზრობრივად კავშირში მყოფი სტატიები. პირველდაწყებითი საკითხავი წიგნის ამგვარი შედგენით ავტორი აიძულებს მასწავლებლებს წერა-კითხვასთან შეაერთონ საგნების შესწავლა და ქართული ენის პროგრამა ჯეროვნად გააფართოონ (ივერია 1881, №6, 7).

პირველდაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების და საერთოდ, სასწავლო პროგრამაში ცვლილებების აუცილებლობაზეა საუბარი ი. გოგებაშვილის პუბლიკაციაში „განმარტებითი წერილი სწავლების პლანისა¹⁰, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას სამეურნეო სკოლაში ს. წინამძღვრიანთ-

¹⁰ ი. გოგებაშვილის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა მთავრობის მიერ იქნა დამტკიცებული (დროება 1883, №107).

კარს¹¹ “. ავტორს დასაბუთებულად აქვს წარმოდგენილი მოსაზრება სასოფლო სამეურნეო განათლების მიღების, მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობაზე. აქვე მოცემულია სხვადასხვა სწავლულების აზრი სწავლა-აღზრდის საქმეში მშობლიური ენის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. მათ შორის საყურადღებოა რუსი პედაგოგის უშინსკის შეხედულება:

ენა ხალხის არის საუკეთესო, დაუმჭკნარი და ყოველთვის ახლად გაფურჩქვნილი ყვავილი იმის სულიერის ცხოვრებისა, რომელიც იწყობა შორს, ისტორიის სამზღვარს იქით. ენაშია შთაბერილი სული მთელი ხალხისა და მთელის დედა-ქვეყნისა... ენის სიღრმეში მოსჩანს სრული ისტორია ხალხის სულიერი ცხოვრებისა. ჩამომავლობა მისდევს ჩამომავლობას. მაგრამ ყოველ მათგანის ცხოვრების ნაყოფი გამოიხატება ენაში შემდეგ თაობათა სამკვიდროდ. ჩამომავლობა ჩამომავლობაზედ აგროვებს დედა-ენის საღაროში ღრმა გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოვლენათა, მათ სარწმუნოებას, გამომხატველობას; სტოვებს კვალს გამოვლილ მწუხარებისას და სიხარულისას, ერთი სიტყვით თავის სულიერ ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინახავს დედა-ენაში. ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყოფილს, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას. ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, ის არის თავად სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქრება, – ჰქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს, – ხალხიც ცოცხალია; და იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება-რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და

¹¹1883 წელს საკუთარ მამულში ილია წინამძღვრიშვილმა თავისი ხარჯითა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დახმარებით წინამძღვრიანთკარს სასოფლო-სამეურნეო სკოლა (დროება 1883, №136).

დატოვებული აურაცხელ უწინდელ თაობათაგან, წაართვით ხალხს ყოველისფერი და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგრამ, თუ ენა წაართვით, ის თავის დღეში ვეღარ შექმნის მას... ენა არის სრული და სარწმუნო მატრიანე ხალხის სულიერ და მრავალ საუკუნეგავლილ ცხოვრებისა და იგივეა უდიდესი ხალხის მოძღვარი (ივერია 1881, №12).

ამ ვრცელ ამონარიდში თვალსაჩინოდ იკვეთება დედა ენის განსაკუთრებულობა. დედა ენის მნიშვნელობა რომ მკითხველისთვის უფრო ნათელი იყოს, ი. გოგებაშვილი მოიხმობს მაგალითებს სხვა ქვეყნების ისტორიიდან. საუბრობს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ 1864 წელს პოლონეთის მთავარმმართველისადმი დაწერილ რესკრიპტზეც, რომელშიც დედა ენაზე სწავლების აუცილებლობა საქალაქო თუ სასოფლო სკოლებში დაურღვეველ საჭიროებად ყოფილა დასახელებული:

სამოსწავლო გამგეობათ არც სხვას უნდა მისცენ ნება და არც თვითონ იკისრონ მეცნიერების ტაძრის გარდაქმნა პოლიტიკურ განზრახვის საშუალებად; იგინი უნდა განათლებას მიუდგომლად ემსახურონ. ამის გამო ჩვენ ვაძლევთ ნებას პოლშის ახალგაზრდობას მიიღოს სწავლა თავის დედა ენაზედ (ივერია 1881, №12).

იმავე წლის პოლონეთის გუბერნიების სასწავლებლებ-ისათვის დამტკიცებულ წესდებაში აღნიშნული ყოფილა, რომ „ყოველს პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლა უნდა იყოს იმ ენაზედ, რა ენაზედაც ლაპარაკობენ იმ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებნი, სადაც სკოლაა გამართული“.

იმის საჩვენებლად თუ როგორი უდიდესი გონების, ზნეობის და კეთილდღეობის განმავითარებელი ძალა აქვს

სახალხო სკოლაში დედა ენაზე სწავლებას, მოიხმობს მაგალითებს ევროპის სახალხო განათლების ისტორიიდან. შოტლანდიის მაგალითზე ნაჩვენებია თუ როგორი გასაოცარი ცვლილება მოახდინა სახალხო სკოლებში დედა ენაზე სწავლებამ. ხალხში განათლების მოფენა დასახელებულია ორ ნაწილად გათიშული ბრიტანეთის პოლიტიკური გაერთიანების განმპირობებელ ფაქტორად. პრუსიისა და ავსტრიის მაგალითზე კი ნაჩვენებია თუ როგორი განსხვავებული შედეგი მოჰყვა ორგვარ წესს უცხო თემელების განსანათლებლად. ავტორის აზრით, ავსტრია წარმოადგენდა საგულისხმო მაგალითს იმისას, რომ არავითარი სიკეთე არ მოაქვს სახელმწიფოში მიღებული ენის ძალადობით გავრცელებას. რადგანაც ეს ძალადობა ეროვნობის მოსპობისაკენ იყო მიმართული, იგი აღძრავს ხალხში ნაციონალურ გრძნობას, რომელიც თვით ძალადობითვე იკვებება და აქეზებს ხალხს იხმაროს ყოველი ღონე ეროვნობის დასაცველად. ავსტრიამ ამგვარი მოქმედებით არამც თუ თავისი წადილი ვერ შეისრულა და თავის ქვეშევრდომი უცხო ხალხები ვერ „გაანემეცა“, არამედ უფრო აუყარა გული „ნემეცობაზედ“. განსხვავებით ავსტრიისაგან, პრუსია, პირიქით, ყველანაირად უწყობდა ხელს შეერთებული პროვინციების განათლებას. სწავლა დედა ენაზე მიმდინარეობდა და პრუსია თვითონ ითხოვდა გერმანული ენის სწავლებას. პრუსიის მაგალითი გვასწავლის, რომ სახალხო სკოლა საუკეთესო საშუალებაა ნაციონალურ მძულვარების მოსასპობად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლა არ ჩაგრავს და არ ასუსტებს დაპყრობილ ხალხთა, არამედ ამაღლებს მათ სულიერ და ზნეობრივ მხარეს, ნათელსა ჰფენს, ავითარებს მათს ჭკუა-

გონებას, სარწმუნოებას და დააყენებს მათ კეთილდღეობის გზაზე (ივერია 1881, №12).

ევროპის სახალხო სკოლის ისტორია და გამოცდილება მოწმობს ავტორის სწავლების გეგმის საფუძვლიანობას და გვარწმუნებს, რომ მის შესრულებას უნდა მოჰყოლოდა ხალხის გონებისა და ზნეობის განვითარება და კეთილდღეობა. ავტორის მითითებით, ქართველებს ჯერ კიდევ არ ჰქონიათ გაცნობიერებული ხალხის განათლების დიდი მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში საზოგადო აზრის განმტკიცებისთვის ძალიან სასარგებლო იყო ისეთი მაგალითები, როგორცაა დაცემული შოტლანდიის ფეხზე დაყენება და აყვავება სახალხო სკოლების მეშვეობით. მხოლოდ ამგვარ მაგალითებს შეეძლო თვალი აეხილა საზოგადოებისთვის, მხურვალე თანაგრძნობა აღედრა მის გულში და გამოეწვია თაოსნობა და დახმარება ამ საქმეში. განათლება ქართველთა უპირველეს საჭიროებას შეადგენდა და უდიდესი სიკეთის მოტანა შეეძლო, განავითარებდა ხალხს გონებით, ამაღლებდა ზნეობით და მისცემდა კეთილდღეობას. ამასთან სახალხო სკოლა იყო საუკეთესო ღონისძიება ჩვენი ვინაობის აღდგენისათვის. ამიტომ აუცილებელი იყო მთელი საზოგადოების ჩართვა და დახმარება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის ხალხის განათლების წარმატებისათვის ზრუნვაში. ეს იყო ი. გოგებაშვილის პუბლიკაციების მიზანი. განათლების წარმატება კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ეროვნული „ვინაობის“ შენარჩუნებისათვის.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ენა უკიდურესად დამცრობილ მდგომარეობაშია, სრული ინდიფერენტიზმია გამეფებული თვითობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის მიმართ თვით

ქართველებშიაც, ნაციონალური გრძნობების გასაღვივებლად დიდი მუშაობა იყო საჭირო. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მსჯელობა ქართული ენის შესახებ: „ქართული ენა ისეთი მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორც ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას და, სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენ ახალ-ახალ სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალგვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ღრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს“... (ივერია 1890. №100). ამით ხაზს უსვამს ქართული ენის ისტორიულ სიდიადეს.

ი. გოგებაშვილის კიდევ ერთ პუბლიკაციაზე შევჩერდები, სადაც აღშფოთებას გამოთქვამს იმ გარემოების გამო, რომ ქართული ენა გამოძევებულიქნა არამარტო სასწავლებლებიდან, არამედ ქართული ოჯახებიდანაც. მის გაკვირვებას იწვევს განათლებული ოჯახების შვილების უცხო ენაზე საუბარი. იმ ოჯახების შვილებისა, რომლებიც 40-60-იან წლებში მამულის სიყვარულს ქადაგებდნენ ლიტერატურაში, ახლა კი თვითონაც უღალატეს ეროვნობას და სახლებიდან გამოაძევეს

ქართული ენა. ვრცელ საუბარს უმართავს მათ დედა ენის მნიშვნელობის შესახებ გაზეთის ფურცლებიდან:

დედა-ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონების, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავის შვილს დედა-ენას აშორებს და უცხო ენაზედ ასწავლის, რასა შვრება ის ამითი? იგი ართმევს თავის შვილს ერთადერთს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისათვის... ბავშვი დაბადებიდგანვე მოკლებული დედა-ენის გამაცოცხლებელ გავლენას, ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნობას...(ივერია 1890 №100).

აქაც დედა ენას ასახელებს იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორად და ნაციონალური გრძნობის გასამლიერებლად ყურადღებას ამახვილებს ისეთ ღრმად გულში მოსახვედრ სიტყვებზე, როგორც არც ერთ სხვა ენაში არ მოიპოვება, მაგალითად: „შენი ჭირიმი“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავ-შემოგველე“, „წამლად დაგედე“ და მრავალი სხვა.

„დიახ, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გული-სა, – ყველა უცხო ენანი არიან ენანი სახსოვრისა“.

ენას ამ განსაკუთრებულ ფუნქციას სძენს მასში ხალხის კულტურული მონაპოვრების, მისი სულიერი ცხოვრების ისტორიის დაცულობა. ეს გარემოება აქცევს მას ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთობის შემქმნელად. ცხადია, ენა ხალხის არსებობისათვის აუცილებელი ფაქტორია. ამიტომაც როცა ენა ქრება, ხალხიც წყვეტს არსებობას.

ავტორი იშველიებს გამოჩენილი სწავლულის შლეინერის აზრსაც „ისე კარგად არაფრით იცნობება ერი, როგორც ენითაო“. ასევე, მოიხმობს რუსულ პედაგოგიურ ჟურნალ „Русская школа“-ში დედა ენასთან დაკავშირებით გამოთქმულ თვალსაზრისაც:

დედაენასთან კაცი დაკავშირებულია არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. ეს არის ენა ლოცვისა, პოეზიისა, ზნეობრივის და მოქალაქეობის მოვალეობისა... მე უნდა დავიცვა და შევიმუშავო დედა-ენა, რადგანაც იგი არის უძვირფასესი საუნჯე ადამიანისა და მასთან შეხორცებულია ჩემი ერის აზრი, გონების განვითარება, შემოქმედებითი ძალა (ივერია 1890 №100).

აქ ხაზგასმულია დედა ენის საკრალური მნიშვნელობა. ქართველებს მოუწოდებს ამ სულიერი საგანძურის – ლოცვის და პოეზიის ენის დაცვისაკენ. ამგვარი თვალსაზრისების მოშველიებით ი. გოგებაშვილი ცდილობს ქართველ მკითხველებში ნაციონალური სენტიმენტების აღძვრას, მათ გამსჭვალვას მოქალაქეობრივი ვალდებულების აღსრულების გრძნობით და ეროვნული იდეის გარშემო ქართული ერთობის დარაზმვას.

აქვე დასძენს:

ჩვენმა სკოლამ უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, გაუნათლოს, შესძინოს ჭკუისა და ზნეობის ამამაღლებელი და ხალხში კეთილდღეობის მომგენი ცოდნა. ამ განზრახვის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სწავლა დედა-ენაზედ იქნება. თუ ჩვენი სკოლის მოწაფეები შეიძენენ ცოდნას დედა-ენის საშუალებით, შეეჩვევიან ამ ენაზე ფიქრს და მსჯელობას,

მაშინ გაუადვილდება მათ თავიანთი ცოდნის გაცნობიერებულად ხალხისთვის გადაცემა. მაგრამ თუ უცხო ენაზე იქნება სწავლება, სრულიად მოსპობს კავშირს სკოლასა და ცხოვრებას შორის, არ მისცემს შესაძლებლობას იქონიონ განმავითარებელი გავლენა ხალხზე (ივერია 1890, №100).

სკოლა, რომელიც დედა ენაზე არ ასწავლის, არ გაიდგამს ფესვს ხალხის ცხოვრებაში და არ გამოიღებს სასარგებლო ნაყოფს, ვინაიდან „ბავშვის გონების გახსნას არ აფუძნებს ერთადერთ ძლიერ და ნაყოფიერ სულიერ ნიადაგზე – ხალხის ენაზე და მასში გამოხატულს ხალხის გრძნობაზე“. ამგვარი სკოლა მხოლოდ რამდენიმე წლით შეაჩერებს ბავშვის ბუნებრივ განვითარებას (ივერია 1890, №100).

ამ ეპიზოდთანაც ნათელია, რომ სწავლება ხალხის ენაზე, რომელშიც ხალხის გრძნობებია გამოხატული, მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის.

ი. გოგებაშვილი აგრძელებს რა მსჯელობას ენის სწავლების თაობაზე, ხაზგასმით მიუთითებს, რომ მისი მსჯელობა არ არის უცხო ენათა შესწავლის უარყოფისაკენ მიმართული. პირიქით რუსულის ცოდნას აუცილებლადაც მიიჩნევს და ყოველი ქართველი ახალგაზრდისგან მოითხოვს რუსულის სწავლას, რაც მისი თვალსაზრისით შესაძლებელი იყო მხოლოდ მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნის შემდეგ. „პირველს გონებითს საზრდოს დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვსა და როდესაც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონებასა, მაშინ დედა-ენა უნდა გახდეს საძირკვლად, რომელზედაც აშენდება უცხო ენათა გონივრული სწავლება“ – წერს ი. გოგებაშვილი. ამგვარი სწავლება „მოზარდ თაობას შემოქმედებით ძალასაც გაუძლი-

ერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, სახსოვარსაც განუმტკიცებს, შედარებითს ნიჭსაც უვარჯიშებს...”

ამასთან იქვე თავის მკითხველებს განუმარტავს თუ რამდენად შეიძლება დააზარალოს და უკან დასწიოს ხალხის გონებრივი განვითარება დედა ენისთვის ზურგის შექცევამ. ამის დასტურად ისევ ისტორიიდან იშველიებს არაერთ მაგალითს, მათ შორის, ავსტრიის და ვენგრიის სლავიანების მდგომარეობას. იყო დრო, როდესაც ვენგრიის მაგნატები და სლავიანური პანები აღარ კადრულობდნენ დედა ენას, ათვალწუნებული ჰქონდათ და თავის შვილებს აკვნიდან გერმანულ ენაზედ ალაპარაკებდნენ. ამ ვაჟბატონებს ეგონათ, რომ თავიანთ შვილებს დააწინაურებდნენ, მაღალი გონების ხარისხზე აიყვანდნენ, მაგრამ გონების სისუსტე და სიმახინჯე მოიმკეს. როდესაც მიხვდნენ თავიანთი დაცემის მიზეზს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს დედა ენას, სამშობლო ლიტერატურას და ისტორიას, „ეროვნულს მიღებში დააწყებინეს დენა ეროპიულს განათლებას“, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდნენ და წინ წასწიეს თავიანთი ცხოვრება. რუსეთშიაც ჰქონდა მსგავს მოვლენას ადგილი. როდესაც მაღალ წოდებაში შემცირდა ფრანგულის თაყვანისცემა და რუსულ ენას მიენიჭა თავისი ჯეროვანი ადგილი, სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდნენ გრიბოედოვი, გოგოლი, ლერმონტოვი, პუშკინი, ბელინსკი... საგულისხმიერო მაგალითს წარმოადგენდა ასევე უელსი, რომელსაც ინგლისის კუნძულის ერთი ნაწილი ეკავა. უელსელებმა შეიგნეს თავიანთი დამღუპველი შეცდომა, მიაქციეს ყურადღება დედა ენას, გამართეს ეროვნული სკოლები, მიჰყვეს ხელი სამშობლო ლიტერატურის აღორძინებას, შეადგინეს

სახელმძღვანელოები და სახალხო წიგნები, დააარსეს ჟურნალ-გაზეთები დედა ენაზე და ისეთ წარმატებას მიაღწიეს რომ თვითონ ინგლისზედაც მოახდინეს გავლენა. თუ წინათ ინგლისელები უარჰყოფდნენ უელსელების დედა ენას და ეროვნობას, ცხადად მიხვდნენ, რომ ეს უარყოფა ორივე მხარისთვის მავნებელი იყო, ამიტომ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს უელსელების ენისა და ლიტერატურის შემუშავებასა და აღორძინებაში, სახელმძღვანელოებისა და სახალხო წიგნების შედგენაში.

ქართველთა ცხოვრებიდანაც მოიხმობს მაგალითებს. სახელგანთქმულმა ერეკლე მეფემ ჯერ ქართული განათლება მიიღო, საერო და სამხედრო სკოლა გაათავა და შემდგომ წავიდა რუსეთში. საყოველთაოდ ცნობილია თუ რა მაღლა აყენებდნენ ამ ქართველ სამხედრო გმირს. უფრო ნათელ მაგალითად მოიხმობს აჭარლების და შავშელ-ერუშელების მდგომარეობას. მას შემდეგ რაც შავშელ-ერუშელები ოსმალთა ძალდატანებით განუდგნენ ეროვნობას და დედა ენას, გაცვალეს ოსმალურ ენაზე და ჩვეულებაზე, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაგრამ განსხვავებული მდგომარეობა ყოფილა აჭარელთა მაგალითზე. მართალია მათაც შეუცვლიათ რელიგია, მაგრამ ენა და ეროვნობა მტკიცედ შეუნარჩუნებიათ და ქართველებად დარჩენილან. უფრო საგულისხმო მაგალითად ასახელებს ჩვენს ნასწავლ ქალებს, რომლებიც დედა ენაზე სწავლის უარჰყოფის შედეგად დაცემულ-დაქვეითებული ყოფილა და ვერც ერთ საზოგადო საქმეში ვერ გამოუჩენიათ თავი.

ახლანდელი ქართველი ქალი აჩრდილიც არ არის წინანდელ მანდილოსნისა, რომელიც წარმოადგენდა მტკიცე, განსაზღვრულს და მეტად პატივსაცემს ტიპს, აღზრდილსა და დამ-

თავრებულსა ეროვნულ ნიადაგზედ. იგი ჩამორჩება უბრალო წოდების ქართველ ქალსაც. იგივე მდგომარეობაა ზოგიერთ არისტოკრატიულ გვარეულობაში, რომლებმაც გამოაძევეს ქართული ენა და ქართული ეროვნობა (ივერია 1890, №102).

ამავე წერილში ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბოლო პერიოდში ევროპის პატარა ერებს გაუცნობიერებიათ ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის დედა ენისა და ეროვნობის უდიდესი მნიშვნელობა და დიდ სახელმწიფოსთან შეერთებული, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რომ ისინი ღირსი იყვნენ დაცულიქმნან თავიანთი ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. მიზნის მიღწევის საუკეთესო ღონისძიებად მიუჩნევიათ თავიანთი წარსული ღირსების, ღვაწლის, თავისებურების გამორკვევა და გამოაშკარავება. ჩვენში კი სრულიად საწინააღმდეგო ვითარება ყოფილა. ავტორის თქმით, ქართველები საარაკო სიბრძნის ყოველი ღონისძიებით მალავდნენ წარსულ ღირსებას, უარყოფდნენ ყოველივე მის თავისებურებას და ღვაწლს, ამით კი ძირს უთხრიდნენ ჩვენს აწმყოსა და მომავალს...

ადრე ევროპაში პატარა ხალხების ეროვნობა იდეენებოდა, ცდილობდნენ მათთვის დაევიწყებინათ დედა ენა, სამშობლო ისტორია და ლიტერატურა. მაგრამ საანალიზო პერიოდში დიდ ერებს შეუცვლიათ თავიანთი დამოკიდებულება პატარა ერებისადმი და ჯეროვანი უფლება მიუნიჭებიათ მათი ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და ადგილობრივი მმართველობისთვის. ყველაზე ცხადად ეს მიმართულება გამოკვეთილა ინგლისში ირლანდიელების, შოტლანდიელების და უელსელების, ხოლო ავსტრია-ვენგრიაში მადიარებისა

და სლავიანების მიმართ. პატარა ხალხები დარწმუნებულან, რომ პოლიტიკური განცალკევება მავნებელი იქნებოდა არა მარტო სახელმწიფოსთვის, არამედ მათთვისაც, რადგან შეურყევდა მშვიდობას და გაამრავლებდა ხალხთა შორის უთანხმოებას, ომებს და ცრემლს. ამიტომაც ისინი დაადგინეს სახელმწიფოს ერთობის გზას და მოუთხოვიათ ეროვნულ უფლებათა აღდგენა სახელმწიფო ინტერესისთვის. სრული საბუთით ამტკიცებდნენ, რომ თუ მათს დედა ენას ლიტერატურას, ისტორიას, მართებლობას მიენიჭებოდა ჯეროვანი უფლება, ეს გააღონიერებდა და მისცემდა შეძლებას მეტი სარგებლობა მოუტანონ როგორც სამშობლო ქვეყანას, ისე სახელმწიფოს. ამ პროგრამას ერთი დროშის ქვეშ მოუქცევია ისინი. ეს გარემოება აძლევს ი. გოგებაშვილს იმის აღნიშვნის შესაძლებლობას, რომ დგება ახალი – თვითმმართველობის პრინციპზე აგებული დიდი სახელმწიფოების ხანა.

ევროპის პატარა ხალხები დედა ენას დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახლობაში. ყოველი დედ-მამა თავის მოვალეობად მიიჩნევდა შვილები სკოლაში შესვლამდე გაეცარჯიშებინა დედა ენაში, შეეთვისებინა საუკეთესო ნაწარმოებები, წაკითხა და ესწავლებინა საბავშვო მოთხრობები, განემტკიცებინა ეროვნულ მიმართულებაში. სკოლაში შესვლის შემდგომაც ცდილობდნენ „ეროვნული მიდრეკილებანი განუძლიერონ და გულით ათასი ძაფით შეაკავშიროს იგინი თავის ერის წარსულთან, აწმდგომთან და მომავალთან“.

ადამიანი, მოკლებული დედა ენის ცოდნას და მკვიდრს სულიერს კავშირს თავის სამშობლოსთან და ერთან, ემსგავსება საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გააჩ-

ნია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზე. აქ ისევ უშინსკის მიმართავს, რომლის შეხედულება პირდაპირ ეხმიანება ი. გოგებაშვილის წერილის დედააზრს:

გაჰქრა ენა ერისა? გაჰქრა თვითონ ერიცა. და თუ ადამიანის სული ძრწუნდება ერთის კაცის მოკვლის წინაშე, მაშ რაღა უნდა იგრძნოს მან, როცა გაუქმებას უპირებენ ათასის წლის ისტორიულს სიცოცხლეს ხალხისას, ამ უმაღლესს ქმნილებას ქვეყანაზე.

ერის გაქრობა მარტო მის კერძო უბედურებას არ წარმოადგენს, მოასწავებს, იგი ნამდვილს დანაკლისს შეადგენს თვით კაცობრიობისათვისაც, რადგანაც ამითი კაცობრიობას ესპობა, უშრება ერთი წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად თავისებურობის მსოფლიო ზღვასა (ივერია 1890, №104).

ასეთი ფართო ხასიათის საუბრები მკითხველთან, როგორც უკვე არაერთხელ მივუთითე, აუცილებლობით იყო განპირობებული. ვინაიდან ჩვენს სკოლებში რუსული ენის ქართულ ენასთან პარალელურად სწავლებას ქართველებშიც ჰყავდა მხარდამჭერები, რომელთა შორის იყვნენ: სენაკის უეზდის უფროსი ბ. ბებურიშვილი, სენაკის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ი. ბერიძე და ახალ-სენაკის დეპუტატი ლ. ჟვანია. ამ ბატონების განცხადებას – ქართული ენის პარალელურად ისწავლონ სკოლებში მოსწავლეებმა რუსული ენა, „ჩინოვნიკურ ერთგულებას“ უწოდებს ი. გოგებაშვილი. საყურადღებოა, რომ ეს ბატონები სამეგრელოს ხალხის სახელით საუბრობდნენ, თითქოს სამეგრელოს ხალხის სურვილს ახმოვანებდნენ. ი. გოგებაშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სწორედ ხალხის თვალსაზრისს წარმოუდგენს მკით-

ხველებს. მიუთითებს, რომ მასწავლებელთა კრებაზე ხალხის აზრს გამოთქვამდნენ სწორედ სოფლის მასწავლებლები, რომლებიც მუდამ ხალხში ტრიალებდნენ, ემსახურებოდნენ მათ და ყველაზე კარგად იცოდნენ ხალხის სურვილი და მოთხოვნილება განათლების შესახებ. მასწავლებელთა კრებას ერთხმად გადაუწყვეტია, რომ სოფლის სკოლებში ოთხი წლის სწავლების კურსი ქართულ ენაზე ყოფილიყო და რუსულის სწავლება მხოლოდ მესამე წლიდან დაწყებულიყო (დროება 1881, №8).

ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია ბეჭდურ მედი-აში სახალხო სკოლების მოწყობაზე მსჯელობას. სახალხო განათლება იაკობს მიაჩნდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე ფრონტად, სკოლა ამ ფრონტის ციხე-სიმაგრედ, ხოლო მასწავლებლობა – მებრძოლი არმიის მოწინავე რაზმად – შენიშნავდა გ. თავზიშვილი (თავზიშვილი 1952: 140). ი. გოგებაშვილი საჯაროდ კიცხავს იმ პირებს, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ სკოლის საჭიროებებზე და სათანადოდ არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რომლებიც ცდილობდნენ სკოლა დაეცილებინათ თავისი წმინდა დანიშნულებისათვის – ცოდნის და სწავლის მოფენა ხალხში. ამის მაგალითი იყო ჩვენს სასწავლებლებში რუსული ენის უმართებულო სწავლება. იმის ნაცვლად დედა ენის საშუალებით ესწავლებინათ ყმაწვილებისთვის რუსული, როგორც ეს ყველგან ყოფილა მიღებული, რუსულ ენას რუსი ბავშვებისათვის შედგენილი წიგნებით ასწავლიდნენ. მაშინ როდესაც არსებობდა გ. კალანდარიშვილის შესანიშნავი წიგნი „სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად ქართველ ახალ მოსწავლე ყმაწვილთათვის“, 1865 წელს გამოცემული. მაგრამ

ქართველთა გარუსების აქტიური მხარდამჭერნი ყოველნაირი ხერხით უშლიდნენ ხელს რიგიანი სახელმძღვანელოების გავრცელებას. ამის მაგალითია გ.კალანდარიშვილის წიგნთან დაკავშირებით გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი, რომლის გამო აღშფოთებას ვერ ფარავს ი. გოგებაშვილი:

დიახ, როდესაც ჩვენს გადამბირებელს ბანაკში სუფევს მკვიდრი ერთობა, სასტიკი სისტემა მოქმედებისა, ყოველი ნაბიჯი გაზომილი აქვთ და ყოველი სიტყვა აწონილი და შეერთებული ძალით მიისწრაფვიან თავიანთი სურვილის მისაღწევად, ჩვენ, ჩვენის გვარტომობის დამცველნი და მის აღორძინების მონატრულნი, ვართ საშინლად გაცალკავებულნი, არც გზა გვაქვს ბეჯითად გაკვალული, არც პლანი მოქმედებისა მოსაზრებული და თუ ჩვენგანი მისდევს სწორე გზასა და კვალში უდგია გადამბირებელთ მოქმედებასა ჩვენც არამცთუ ხელს არ წავახმარებთ, არამედ რაღაც პირუტყვულს სიამოვნებასა ვგრძნობთ, როდესაც მას კენჭების და ქვების სროლით ხელს ვუცრით და ვაბრკოლებთ ან საკუთარის მოქმედებით, ან რომელისამე უსუსურის გაბრიყვებით. რა გვენადვლება, თუ ამ უკუღმართობით მოწინააღმდეგეს ვახარებთ და ვუადვილებთ მას გულის წადილის მიწევასა (ივერია 1883, №2).

– საყვედურობს ი. გოგებაშვილი სახელმძღვანელოს უკუღმართი კრიტიკისათვის წერილის ავტორს ფსევდონიმით „ქუთათური ბორა“ (ივერია 1883, №2).

ი. გოგებაშვილი წერილში „უკუღმართი ნაბიჯი“ (ივერია 1883, №3)¹² აგრძელებს მსჯელობას სახელმძღვანელოების

¹² საინტერესოა წერილის გამოქვეყნების ისტორიაც. როგორც სქოლიოში გაკეთებული შენიშვნა იუწყება, სტატიის მხოლოდ შეცვლილი სახით გამოქვეყნება გახდა შესაძლებელი. გაგრძელების გამოქვეყნება

როლზე, სწავლების მეთოდზე. მისი მიზანია საზოგადოებამ გააცნობიეროს ამგვარი სწავლების მავნებლობა ქართველი ახალგაზრდობისათვის. სწავლების მეთოდს, რომელიც შემოღებულ იქნა ჩვენს სასწავლებლებში, ი. გოგებაშვილი „ტაშკენტურ მიმართულებას“ უწოდებს და მიუთითებს, რომ უცხო ენის შესწავლისათვის დანიშნული სახელმძღვანელო განსაზღვრული რაოდენობის სიტყვებს არ უნდა გადასცილდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვის გონებას გადამეტებულ სამუშაოს მისცემს და წარმატებას შეუძლებელს გახდის. ავტორის შენიშვნით, შვიდირვა წლის ბავშვს შეუძლია შეითვისოს ხუთასი-ექვსასი უცხო სიტყვა. ამიტომ პირველი წლისათვის დანიშნული სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს ექვსასამდე სიტყვას და ავარჯიშებდეს ბავშვს მათი ერთმანეთთან დაკავშირებაში. რუსული საბავშვო სახელმძღვანელოები კი, რომლებიც ჩვენს სკოლებში ყოფილა მიღებული ხუთი ათასზე მეტ სიტყვას შეიცავდა. მით უფრო მოუთმენლად მიიჩნევს ავტორი ამგვარი სახელმძღვანელოთი სწავლებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც უკვე არსებობდა გ. კალანდარიშვილის მიერ შედგენილი შესანიშნავი რუსული ენის სახელმძღვანელო. წიგნის ღირსებები შეუნიშნავს ერთ რუს ჰედაგოგსაც და იმედი გამოუთქვამს, რომ აღნიშნული წიგნი ხელს შეუწყობდა სახელმწიფო ენის სწავლების ნაყოფიერ გზაზე დაყენებას. აქვე საუბარია სახელმძღვანელოთი სარგებლობის დადებით შემთხვევებ-

საერთოდ ვერ მოხერხდა. რედაქცია იმედოვნებდა, როგორც მეხუთემეშვიდე ნომრის ყდაზე განთავსებული განცხადება მოწმობს, შეცვლილი სახით წერილის დასასრულის გამოქვეყნებას, მაგრამ იმედი არ გამართლდა.

ზე: რომელ სასწავლებელშიც მოუკიდია ფეხი, ყველგან რუსული ენის სწავლება გონივრულ გზაზე დამდგარა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ პეტერბურგიდან ჩამოსულ სპეციალურ რევიზორს სწავლების თვალსაზრისით კარგი შედეგი დახვედრია. ასეთი წარმატების მიზეზად გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელოა დასახელებული, რომლისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია რევიზორს. მაგრამ, როგორც ავტორი იუწყება, „ტაშკენტური მიმართულების“ მიმდევრებს, რომელთათვისაც მხარი აუბამთ „შინაურ უკუღმართებს“, ყოველი ღონისძიება გამოუყენებიათ იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ სწავლების ნაყოფიერ ნიადაგზე დაყენებისათვის და მიუღწევიათ იმისათვის, რომ ქართველ ბავშვებს რუსი ბავშვებისთვის შედგენილი სახელმძღვანელოებით ესარგებლათ. ავტორი აღმოფოთებას ვერ ფარავს გ. კალანდარიშვილის წიგნთან დაკავშირებით გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის გამო, რომლის მიზანი ყოფილა წიგნის კიცხვით გზა გაეკვალა “ტაშკენტური” პედაგოგიკისათვის და ამგვარი ფორმით გაელაშქრა არა მართლა სრულიად მავნე წიგნების, არამედ გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს წინააღმდეგ. გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ გაკიცხვისათვის და მისი ვითომ მავნე ბლობის დამტკიცებისათვის არ ითაკილეს არც ჭორი, არც ცილისწამება და არც გადასხვაფერება ზოგიერთი პედაგოგის აზრების ნაწყვეტებისა.

რუსული ენის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული ეს დისკურსი, ისევ და ისევ მშობლიური ენის საკითხს უკავშირდება. სახელმწიფო ენა და დედა ენა ქართველისათვის ამ დროს გამიჯნული იყო. ქართული ინტელიგენცია აღიარებდა

სახელმწიფო ენის კარგად ცოდნის აუცილებლობას, მაგრამ თვლიდა – მისი სწავლება ისე უნდა წარმართულიყო, რომ ამ პროცესს მოზარდის გონებიდან მშობლიური ენა კი არ განედევნა, პირიქით, უცხო ენის ათვისებისას დედაენის უკეთ შესწავლა მოჰყოლოდა (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 312). ამიტომ ცდილობდა რუსულის სახელმძღვანელოდ დამკვიდრებულიყო ქართულენოვანი მოწაფეების მოთხოვნილების გათვალისწინებით ქართველი ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო. სწორედ ასეთი სახელმძღვანელო – „Русское Слово” იქნა გამოცემული 1887 წელს ი. გოგებაშვილის მიერ ქართული სკოლებისთვის, რომელსაც დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ქუთათური განათლების წარმომადგენლებისგან. ქუთაისის სასწავლებლებში გარკვეული წრის წყალობით, არ გამოიყენებოდა მთავრობის მიერ დამტკიცებული აღნიშნული სახელმძღვანელო (ივერია 1890, №265). ამის მიზეზი აღმოჩნდა ფ. ლევიცკის¹³ მიერ გამოცემული წიგნი „Курсъ русскаго языка для грузинскихъ начальнихъ школъ“. ქუთათურ განათლების მესვეურებს გადაუწყვეტიათ ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობა (ივერია 1891, №87).

¹³ XIX ს-ის 90-იანი წლებიდან იმერეთის საგუბერნიო სკოლების ინსპექტორად დაინიშნა პოლონური წარმომავლობის ფ. ლევიცკი („თ. სახოკია. თქვენ რაღას მისდევთ?“ თ. სახოკიას ეს წერილი „მცოდნეს“ ფსევდონიმით გამოუქვეყნებია ხობის რაიონულ გაზეთში 1933 წელს მე-6-7 ნომერში, რომელსაც საფუძვლად ედო რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში გამართულ კრებაზე 1925 წელს წაკითხული მოხსენება (კომუნისტი 1925, №219) საქართველოს რესპუბლიკა 1992, №176-177).

ი. გოგებაშვილი სახელმძღვანელოს უძღვნის კრიტიკული წერილებს სათაურით „პედაგოგიური საკვირველება ანუ Курсь русскаго языка для грузинскихъ начальнихъ школь, годъ первый, составилъ Ф. Левитский“. აქ საუბარია აღნიშნული წიგნის ღირსება-ნაკლოვანებებზე. ეს კურსი ავტორს ადგილობრივი მთავრობისათვის წარუდგენია განსახილველად, გასინჯვის შემდგომ წიგნი დაუწუნებია ადგილობრივ მთავრობას და მრავალი შენიშვნებით დაუბრუნებია შემდგენლისათვის. მაგრამ მცირეოდენი შესწორებების შემდეგ, წიგნის უბრალო დამხმარე სახელმძღვანელოდ დაბეჭდვის ნება დაურთავს მთავრობას. რეცენზენტი განიხილავს სახელმძღვანელოს მიხედვით გათვალისწინებულ ენის სწავლების მეთოდს, მის მართებულობას. ერთ-ერთი მეთოდი, რომელზე იგი ამახვილებს ყურადღებას, არის „წერა-კითხვის“ მეთოდით ენის სწავლება. ამ მეთოდით სწავლების არამართებულობაზე მას ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ გამოუთქვამს თვალსაზრისი და „კითხვა-წერის“ მეთოდით სწავლება დაუსახელებია მისაღებ მეთოდად, რაც როგორც წერილიდან ჩანს, სხვა სახელმძღვანელოს ავტორს – ბუნაკოვს, რომელსაც „წერა-კითხვის“ რიგზე ჰქონდა მოწყობილი რუსული ანბანი, ახალი გამოცემისას გაუთვალისწინებია და თავისი წიგნი „კითხვა-წერის“ მეთოდზე შეუდგენია (ივერია 1891, №144).

განსახილველად წარმოდგენილი წიგნი, კრიტიკის ავტორის აზრით, მაინც არ იყო ჯანსაღ მეთოდზე დამყარებული. რუსული ენის სწავლების მეთოდი ჩვენს სკოლებში ორ მნიშვნელოვან ბურჯზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული:

საგნის შინჯვაზე და დედა-ენაზე; ხოლო შუამავლად, მოციქულად უნდა იქმნას უმთავრესად ცოცხალი სიტყვა მასწავლებლისა; წიგნი უნდა იყოს მხოლოდ დამხმარებელი საშუალება. ამგვარი სწავლება მისცემს ბავშვს დაკვირვების უნარს და შედარების ნიჭს, რაც გაუმყარებს ცოდნას, რადგან ყოველ ნაბიჯზედ ეცდება შედარებას დედა ენის რუსულთან, ამით გარკვევით შეიგნებს ორივე ენის ბუნებას (1891, №177).

1892 წლის 22-ე ნომერში გრძელდება ი. გოგებაშვილის წერილების პუბლიკაცია მიძღვნილი ფ. ლევიცკის მიერ ქართული სკოლებისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოს განხილვისადმი. ხაზგასმულია ამგვარი სახელმძღვანელოების უარყოფითი ზეგავლენა. ბავშვებს პირველი წლიდანვე რუსულ ენასთან ერთად უნდა ესწავლათ მათემატიკა, რომელიც ერთვოდა სახელმძღვანელოს ცალკე განყოფილებაში და შეიცავდა ამოცანებს რუსულ ენაზე. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ მათემატიკა რთული საგანია და მით უფრო უძნელდებოდათ მოწაფეებს ამ საგნის უცხო ენის საშუალებით სწავლება, რადგან ორმაგი სირთულის გადალახვა უწევდათ. ავტორის გაკვირვებას იწვევს ფ. ლევიცკის სახელმძღვანელო იმ თვალსაზრისითაც, რომ ეწინააღმდეგება სახალხო სკოლების პედაგოგიურად მოწყობის მთავრობისეულ გეგმას, რომლის მიხედვით პირველ ორ წელიწადს მოწაფეები მათემატიკას დედა ენაზე შეისწავლიდნენ

„ბ-ნი ფ. ლევიცკი კი ისეთს ჭაობში აგდებს საქმესა, რომ ქართული მეტყველებაც უქმდება, არითმეტიკაც ვერ ისწავლება ხეირიანად და რუსული ენაცა – რომლის გულისათვის იგი ითხოვს ამდენს მსხვერპლსა, – ხდება სატანჯველ და შესაძლებელ საგნად“.

ასეთ სწავლებას სწავლა-განათლების სრულიად გაუკუღმართება, დედა ენის გაუქმება, ქართული წერა-კითხვის მისუსტება, გონებრივი განვითარების ნაცვლად დახშობა, სარწმუნოების და ზნეობის დაუნერგაობა მოზარდ თაობაში, ერთი სიტყვით, სკოლის სრული უნაყოფობა მოჰყვებოდა აუცილებლად (1892, №23).

ხალხის განათლება ხალხის დაბნელებად გვექცევა, სკოლა ხელიდგან მიგვდის, ეკვლესია ცარიელდება, ორივე ბურჯი ერის ცხოვრებისა – ცოდნა და სარწმუნოება – იკარგება და იშლება. დაცარიელებულნი ადგილნი ძველ მესხეთში და შავი ზღვის პირად მთლად გააჟვანულნი ჩვენთა წინაპართა სისხლით და ისტორიულნი ჩვენნი საკუთრებანი, ნელ-ნელა ხელიდგან ეცლება ჩვენს ხალხს, მიწის სივიწროვესგან სულ-შეხუთულსა, ადმინისტრაციისა, სამართალში და სხვა უწყებებაში სულ ძირ-ძირ ჩამოვდივართ ვკარგავთ ერის სახელსაც-კი და სხვანი (1894, №138).

ერის არსებობისთვის აუცილებელი ფაქტორი გვეცლება ხელიდან – უკიჟინებს „ივერიის“ ფურცლებიდან მკითხველებს „ხალხის განათლება დედა ბოძია, მთავარი ბურჯია ქვეყნის კეთილდღეობისა, ბედნიერებისა... სკოლა არის უპირველესი და უძლიერესი წყარო ხალხის განათლებისა... ერნი, მდიდარი სკოლებით, მდიდარნი არიან განათლებითაც“. ამიტომაც აუცილებლობად მიიჩნევს იმ ხალხთა სკოლების გამოცდილების გაცნობას, რომლებიც რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ინგლისის იმპერიის დაქვემდებარებაში იყვნენ, რათა სასარგებლო მაგალითით გაეძლიერებინათ ჩვენი ეროვნული სკოლა (ივერია 1895, №283).

რუსული ენის სახელმძღვანელოს საკითხს უკავშირდება ი. გოგებაშვილის და ა. ჭიჭინაძის პოლემიკა, რომელიც გაიმართა გაზეთ „ცნობის ფურცელში“. პოლემიკა აღძრა ი. გოგებაშვილის მიერ პეტერბურგის გაზეთ „რაზსვეტში“ გამოქვეყნებულმა წერილმა განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ. მიზანი წერილისა, როგორც თავად ავტორი მიუთითებს, ყოფილა უსამართლო რეჟიმის დასურათება. დაჩაგრულებში მოუხსენიებია ქართველი დირექტორი¹⁴, რომლისთვისაც შორეულ ქვეყანაში თანამდებობა მიუციათ მას შემდეგ, რაც შეუტანია თავის დირექციის სკოლებში ფ. ლევიცკის რუსული სახელმძღვანელო (ცნობის ფურცელი 1905, №2879). ა. ჭიჭინაძეს ეს ცვლილება მთავრობის სურვილის თანახმად განუხორციელებია. თუმცა მისივე მოთხოვნით გაუზრდიათ მშობლიური ენის გაკვეთილების რაოდენობა ერევნის სკოლებში (ცნობის ფურცელი 1905, №2873). მაგრამ ი. გოგებაშვილი მეტ მონდომებას ითხოვდა მისგან ეროვნული ინტერესის გათვალისწინებით. ამ ნიადაგზე გამართულმა პოლემიკამ პირადული ელფერიც შეიძინა. ა. ჭიჭინაძე სვამს კითხვას – ანგარებითი როგორ ვუწოდო ი. გოგებაშვილის კრიტიკას, სხვის სახელმძღვანელოს ამაგებს იმისათვის, რომ თავისი წიგნი რაც შეიძლება ბევრი გაასაღოს? ვერ ვაკადრებ ამას მის ჭაღარას და ხანგრძლივს მოღვაწეობას სწავლა-აღზრდის საქმეში (ცნობის ფურცელი 1905, № 2872). მაგრამ კითხვა ხომ დასვა და კადრებაც გამოუვიდა. თუმცა ი. გოგებაშვილი არც აქცევს ყურადღებას ამ გარემოებას. ეს ოდნავადაც

¹⁴საუბარია ა. ჭიჭინაძეზე, რომელიც 1900 წელს დაუნიშნიათ ერევნის დირექციის უფროსად (ცნობის ფურცელი 1905, №2873).

არ აყენებს ჩრდილს მის მოღვაწეობას. ის საზოგადო სიკეთისთვის, ქართველობის შენარჩუნებისთვის იბრძვის. იმაზე წუხს უნებლიეთ ხომ არ აწყენინა რეჟიმის დახასიათებისას მოხმობილი ფაქტებით მოპაექრეს. ამ ფაქტებით მეტი შეუპოვრობისაკენ მოუწოდებს იმ პირებს, რომელთაც შესწევთ საამისო ძალა. მაგალითისთვის მიუთითებს ერევნის გუბერნიაში მთავრობის სურვილისამებრ ფ. ლევიცკის სახელმძღვანელოს შემოღებას. სურვილი იმდენად ძლიერი არ იყო, რომ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლებოდა. თბილისის დირექციამ არ დაუშვა ამ სახელმძღვანელოს შემოღება თავის სკოლებში და ამაში მედგარი წინააღმდეგობა ინსპექტორ პავლოვს გაუწევა იმ მოტივით, რომ მასწავლებლები წინააღმდეგნი არიან ფ. ლევიცკის წიგნისაო.

თუ კი ჩავუკვიდებით კარგად საქმეს, ეს ხერხი, პირველი შეხედვით სიმპატიური, არა სასურველი გამოვა. და გამოვა იმის გამო, რომ ამითი ფეხი უმაგრდება სკოლებში იმისთანა სახელმძღვანელოს, რომელიც მოკლებულია ყველაფერს მშობლიურსა და ვნების მეტს ვერაფერს ვერ მოუტანს. მაგალითად: კურსი თხოულობს, რომ ქართველმა ბავშვმა კითხვაზე: სადა ცხოვრობს, უსათუოდ მიუგოს: რუსეთშიაო. მას ცოდვად მიაჩნია ხსენებაც საქართველოსი (ცნობის ფურცელი 1905, №2879).

აი, რა იყო აღმშფოთებელი.

მამინდელი ქართული საზოგადოების, მათ შორის, ი. გოგებაშვილის აღმშფოთება გამოიწვია ი. როსტომაშვილის¹⁵

¹⁵ ივანე როსტომაშვილი (1852-1924). აქტიურად ლეზულობდა მონაწილეობას პედაგოგიკასა და მწერლობაში. თანამშრომლობდა ქარ-

შემუშავებულმა პროექტმა სასოფლო სკოლების მოწყობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ი. როსტომაშვილიც შენიშნავს მოზარდის განათლების საკითხის სასიცოცხლო მნიშვნელობას ქვეყნის კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისათვის (ივერია 1895, №23, №24), მაგრამ მისი პროექტი დიდად დაცლებული აღმოჩნდა სახალხო სწავლების საკითხებს და ეროვნულ ნიადაგს. უცხო ენაზე სწავლება მაშინ არის შესაძლებელი და სასარგებლო როდესაც ეს ენა მოსწავლეებს ასე თუ ისე შესწავლილი აქვთ. ეს დედააზრი გათვალისწინებული ყოფილა განათლების მზრუნველ კ. იანოვსკის ოფიციალურ სასწავლო გეგმაშიც (ივერია 1895, №31). ი. როსტომაშვილს კი საგნების სწავლება რუსულ ენაზე პირველივე წლიდან მიაჩნდა შესაძლებლად. ოფიციალური გეგმა საღვთო სჯულის სწავლებას მხოლოდ ქართულ ენაზე აწესებდა, ი. როსტომაშვილის რეფორმატორული პროექტი პირველივე წლიდან ხდიდა შესაძლებლად რუსულ ენაზე სწავლებას (ივერია 1895, №140, №141).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ი. როსტომაშვილი ერთგვარად იმპერიული პოლიტიკის ხელშემწყობ პირად გვევლინება, თავისი რეფორმატორული პროექტით ეხმარება ქართული

თულ პერიოდულ პრესაში. მუშაობდა სახალხო სკოლის მასწავლებლად კახის, ზაქათალის, თელავის სასწავლებლებში. 1882 წელს მისი ინიციატივით დაარსდა თელავში „დეპო“ (დროება 1882, №181). ხელს უწყობდა თელავსა და კურდღელაურში სახალხო ბანკებისა და საკვირაო სკოლების დაარსებას. 1889 წელს დაინიშნა ახალქალაქის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორად (ივერია 1889, №160). 1897 წელს თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად (ცნობის ფურცელი 1897, №326).

ენის გაუქმებას სახალხო სკოლებში. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში ქართული საზოგადოება მიიღებდა სახალხო სკოლების სრულ უნაყოფობას. სწორედ ამან განაპირობა ი. გოგებაშვილის განგაში. ი. როსტომაშვილი შესაძლოა უნებურად აღმოჩნდა ქართული კულტურის შემფერხებელთა ბანაკში. ამგვარი ვარაუდის შესაძლებლობას გვაძლევს ის გარემოება, რომ ი. გოგებაშვილი სტატიაში „სწავლა-განათლების ნიჭი ქართველთა“, რომელიც დაუწერია პარიზის გამოფენისთვის, თვალსაჩინო ქართველი პედაგოგების გვერდით იხსენიებს ი. როსტომაშვილს (ივერია 1901, №2, №3).

ი. გოგებაშვილი, ასევე, კრიტიკულად განიხილავს ი. როსტომაშვილის გამოცემულ სახელმძღვანელოს „Русская речь и Первая книга чтенія съ азвукою для грузинъ“, რომელშიც რუსულ სიტყვებს მხოლოდ აქა-იქ ჰქონია ქვეშ მიწერილი ქართული სიტყვები. როგორც ჩანს უცხო ენის სწავლებას უდებდნენოდაც მიიჩნევდა შესაძლებლად. მაგრამ საზოგადოებამ არ მიიღო მისი წიგნები. ი. როსტომაშვილი აღნიშნული წიგნაკის გამოცემით სახელმძღვანელოების მაგივრად პატარა საკითხავი წიგნების შემოღებას ცდილობდა, ამით ემხრობა თვითსწავლის პრინციპს¹⁶, რომელიც როგორც თავად მიუთითებს ფართოდ ყოფილა გავრცელებული ადრე, როცა სკოლები

¹⁶ამ საკითხზე „ივერიაში“ გამოქვეყნებულია ი. როსტომაშვილის წერილი სათაურით „ახალი სხივი სწავლა-განათლებაში“. თვითსწავლით სამოწაფო და სახალხო ლიტერატურის გაძლიერებას უწოდებს „ახალ სხივს“. მისივე თქმით, კაცობრიობის წინმსვლელობის ამ ახალ ნიშანს ბევრ ქვეყანაში მოუკიდია ფეხი და ჩვენც უნდა შევუწყოთო (ივერია 1895, №91).

არ არსებობდა. მაგრამ როდესაც სკოლები არსებობს თვით-სწავლის შემოღება უმართებულოდ მიიჩნეეს ი. გოგებაშვილი და ხაზგასმით მიუთითებს იმ პატარა ხალხების მოქმედებაზე, რომლებიც დიდი სახელმწიფოების ნაწილს შეადგენდნენ, რომლებსაც კარგად გაუცნობიერებიათ დედა-ენის ცოდნა, მასზედ წერა-კითხვის და განათლების გავრცელება სკოლების გარეშე შეუძლებელი იყო, ამიტომ ყველა ღონეს ხმარობდნენ რომ მათ ენას ჯეროვანი ადგილი დაეკავა სკოლების პროგრამაში. როდესაც პრუსიის მმართველობამ განიზრახა პოლონელების ენის გაუქმება სახალხო სკოლებში, მათი საზოგადოება და ხალხი ფეხზე დადგა. პრუსიელები ამშვიდებდნენ: ოჯახი ხომ თქვენს ხელშია, გააძლიერეთ თვითსწავლა და თქვენი მწიგნობრობა ააღორძინეთო. მაგრამ პოლონელებმა კარგად იცოდნენ თუ პოლონურ ენას ამოიღებდნენ სკოლიდან, მათი მწიგნობრობის და ლიტერატურის განვითარება შეჩერდებოდა. ამიტომ ყველა ღონისძიება ხმარობდნენ, რათა აღედგინათ სკოლებში პოლონური ენა. ზოგიერთი ქართველი კი პირიქით ემხრობოდა დედა-ენის ოჯახებში გამეფებას და სკოლაში მთლიანად უცხო ენისთვის დროის დათმობას. სწორედ მათ ეხმიანება ი. როსტომაშვილი, როდესაც თვითსწავლას ძლიერ ღონისძიებად ასახელებს ახალი შუქის მოსაფენად (ივერია 1895, №141).

ფართო დისკუსია გაიმართა გაზეთის ფურცლებზე ა. ნათაძის მიერ გამოცემულ „დედა ენის“ შემცვლელი სახელმძღვანელოს „ბავშვების მოკეთეს“ თაობაზე. ამ პოლემიკაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქვეყნის ბედ-იღბალზე გულშემატკივარი მამულიშვილები ბჭობენ მოსწავლეთა აღზ-

რდისთვის საჭირო სახელმძღვანელოს ბედზე. ასეთი სახელმძღვანელო კი ვერ იქნებოდა ა. ნათაძის გამოცემული „ბავშვების მოკეთე“, ვინაიდან არ გამოირჩეოდა მასალის სიმდიდრით, ღირსებით, იდეალებით, შედგენილი იყო მექანიკურად და მისი მიღება სკოლებში დიდად შეავიწროებდა ქართულ ენას, ბავშვების განვითარებას და ხალხის განათლებას. მით უფრო აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ მთავრობას მოუწონებია სკოლებში პირველდაწყებით სახელმძღვანელოდ (ივერია 1897, №2, №104). მთავრობის მიერ „დედა ენის“ მაგივრად ასეთი სახელმძღვანელოს მოწონება უხარებია „კვალს“ თავისი მკითხველებისთვის. თავის დროზე როდესაც ი. გოგებაშვილს გადაუწყვეტია პირველდაწყებითი სახელმძღვანელო „დედა ენის“ შედგენა, გამგზავრებულა თავის სოფელში, რათა შეეკრიბა ხალხურ მეტყველების ნიმუშები: ზღაპრები, არაკები, ლექსები, მოთხრობები, გამოცანები, ენის გასატეხნი, ანდაზები და სხვა. „შეკრება იმიტომ იყო საჭირო, რომ მაშინ ეს შეუდარებელი მასალა საბავშვო სახელმძღვანელოსთვის მხოლოდ ხალხის ხსოვნაში არსებობდა და ჩვენს ლიტერატურაში კანტიკუნტად მოიპოვებოდა“. ასე მოუპოვებია მდიდარი ხალხური საგანძური, რომლებიც გამოუყენებია „დედა ენის“ შედგენისას. ყველა საბავშვო წიგნის შემდგენელს რომ საკუთარი მასალის შეგროვება ჩაეთვალა საჭიროდ, სახელმძღვანელოები გამდიდრდებოდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებით, მაგრამ შემდგენლები როგორც ჩანს, მარტივ გზას დაადგინენ და დაუწყიათ მზა-მზარეული მასალის გადაბეჭვდა „დედა ენიდან“. მაგალითად, ამგვარ ნიმუშს წარმოადგენდა ჯაჯანაშვილის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო

„მეგობარი” (ივერია 1889, №186). საბავშვო წიგნის შემდგენლები თავის გამართლებას იმ მოტივით შესდგომიან, რომ ეს მასალა ხალხური იყო და არა ი. გოგებაშვილის შეთხზული. ამ ფაქტმა განაპირობა ი. გოგებაშვილის განცხადება – „დედა ენის” მასალით ესარგებლა იმას ვინც უკეთეს და სრულ სახელმძღვანელოს შეადგენდა და ვინც ერთი ნაბიჯით მაინც წასწევდა წინ უდიდეს საქმეს. ეს ღირსება სახელმძღვანელოსი დაედგინა ან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ან თბილისის სააზნაუროს სკოლის კომიტეტს, ან ქუთაისის სააზნაურო სკოლის კომიტეტს ძველი სენაკის სააზნაურო სკოლის ინსპექტორის სამსონ გიორგის ძე ყიფიანის მონაწილეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენებდა სალიტერატურო საკუთრების უფლებას და წიგნს დაადებდა აკრძალვას (ცნობის ფურცელი 1896, №72). ეს განცხადება გ. წერეთელმა ი. გოგებაშვილს ქართველ პედაგოგების წინააღმდეგ მუქარად მოუნათლა, თითქოსდა ის უკრძალავდა მათ თავიანთი სახელმძღვანელოებისთვის საერო პოეზიიდან მასალის გამოყენებას. გ. წერეთელი ხაზგასმით მიუთითებდა მასალის ხალხურ კუთვნილებას და ამით გადამწერებს „უკანონებდა” სარგებლობის უფლებას. მაგრამ თავისუფლად გამოყენების საკითხს ართულებდა ი. გოგებაშვილის მიერ მასალაში რედაქციული ცვლილებების შეტანა, რომელიც ვერ შეუნიშნავთ მოაქეჩრეებს, ამით დასტურდება, რომ ხალხურ ქმნილებებს ისინი მხოლოდ „დედა ენიდან” იცნობენ. ამდენად ი. გოგებაშვილს დიდი შრომა მიუძღვის ხალხის ნაწარმოებების ჯერ შეკრების, შემდეგ ბავშვების ბუნების მოთხოვნილების გათვალისწინებით მათი რედაქტირების მხრივ, რაც ანიჭებდა მას საკუთრების ისეთ

უფლებას, რომ მისი ნებართვის გარეშე მასალის აღება „დედა ენიდან“ შეუძლებელი იყო. სქოლიოში დატანილი ინფორმაციით კი იუწყება, რომ ხალხური მასალის ხელშეუხებელი რედაქცია გადაუცია პირისტვის, რომელიც ზეპირსიტყვიერების მასალების შეგროვება-გამოცემით ყოფილა დაინტერესებული (ივერია 1897, №54). ერთადერთი მიზანი, რაც ამოძრავებდა ი. გოგებაშვილს სახელმძღვანელოების შედგენისას, იყო მოწოდების პრინციპის გაძლიერება, გამოიწვიოს ხალხის განათლების ასპარეზზედ მოწოდების კაცნი (ივერია 1897, №57).

მაშინდელმა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა „დედა ენის“ დაცვა საზოგადო საქმედ აღიქვეს (ამას ხაზგასმით მიუთითებდნენ თავიანთ წერილებში) და სათანადო პუბლიკაციებით გამოექომაგნენ კიდევ. მათ შორისაა ქართული მწიგნობრობის მოყვარე, ჩვენი მწერლობის საქმეების ჯეროვანი აღმნუსხველი ზაქარია ჭიჭინაძე (ივერია 1897, №152). ასევე ამ საკითხზე ქვეყნდება ნათამე-ბოცვაძე, ნათამე-გოგებაშვილის პოლემიკური წერილები. ლ. ბოცვაძე ახსენებს ა. ნათამეს მისსავე მეთოდურ სახელმძღვანელოში „დედა ენის“ შესახებ გამოთქმულ შეფასებას „ქართულ გამოცემებში სრული უფლება და წინამძღოლობა ბ-ნ გოგებაშვილის „დედა-ენას“ უნდა დაუთმოდ, რადგანაც ეს სახელმძღვანელო ცოტად თუ ბევრად დაფუძნებულია უტყუარ პედაგოგიურ ჭეშმარიტებაზე და მასალით მშობლიურ ნიადაგზეა აღმოცენებული“. ამ შეფასების ავტორი გადის დრო და თავად გამოსცემს საბავშვო სახელმძღვანელოს. ამასაც არ დაჯერდა, დარწმუნებული თავისი წიგნის უპირატესობით, სახელმძღვანელოების შედარებით განხილვას მოითხოვდა „ივერიის“ ფურცლებიდან (ივერია

1897, №181). ლ. ბოცვაძე გამოეხმაურა ა. ნათაძის სურვილს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს „დედა ენის“ ღირსებას, მიუთითებს, რომ „დედა ენის“ სახით მოგვეპოვება ვრცელი, სრული, სისტემატიურად შედგენილი და ხელოვნებით დასურათებული წიგნი, რომლითაც ცოტა თუ ბევრად შეგნებული და პედაგოგის მხრივ განათლებული ერი იამაყებდა კიდეც (ივერია 1897, №153). „დედა ენის“ სენტენციები ცოცხლად არის დახატული შესაფერის მოთხრობებში, ამიტომ შეიძლება იმოქმედოს პირდაპირ ბავშვების გრძნობაზე და განუღვიძოს მკითხველს თავისუფალი დამოუკიდებელი აზრი... იმისთანა სტატეებს, ზღაპრებს და მოთხრობებს, რომელშიაც გატარებულია რომელიმე ზნეობრივი მხარე, დიდი გავლენა აქვს ბავშვების ზნეობრივად განვითარების მხრივ (ივერია 1897, №216). „ბავშვების მოკეთეს“ სიფრიფანა ძალად გაბერილ კომპილაციურ ნაწარმოებს უწოდებს ლ. ბოცვაძე. იქვე მოიხმობს ერთერთი სამრევლო სკოლის მასწავლებლის შენიშვნა, რომელსაც გადასინჯვის დროს უთქვამს: „ბავშვების მოკეთე“ კი არა, ნამდვილი მტერიაო“ (ივერია 1897, №153).

მწერლობაში საზოგადოდ და სახელმძღვანელოებში კერძოდ ენის სიფაქიზეს, ან წმინდა ლიტერატურულს, ან წმინდა ხალხურ კილოს – უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს, ვინაიდან ენა არის ის მადლი, რომლის შემწეობითაც კაცი ეჩვევა აზროვნობას. ენის სისპეტაკესაგან არის დამოკიდებული აზროვნობის სისპეტაკეც (ივერია 1897, №188).

ენის ასეთი მაღალი დანიშნულება მეტ მოთხოვნებს უყენებს ყმაწვილებისთვის შედგენილ სახელმძღვანელოს,

რადგან სახელმძღვანელოს ენა დიდ გავლენას ახდენს ყმაწვილების ენის სიაკვარგეზე. ამიტომაც შემდგენელს ავალდებულებს ფაქიზი ლიტერატურული და ხალხური ენით წეროს, ასევე ამ მოთხოვნების გათვალისწინებით შეარჩიოს ლიტერატურული თუ ხალხური ნაწარმოებებიდან მასალა.

ა. ნათაძის სახელმძღვანელოს აღნიშნული კუთხით განხილვას წარმოუდგენს ი. გოგებაშვილი მკითხველებს. მოჰყავს მაგალითები იმის დასტურად, რომ საყმაწვილო სახელმძღვანელოს შედგენისათვის მარტო სურვილი და განდიდების მადა არ კმარა, ამისთვის ბევრი რამ არის საჭირო და უპირველესად, ენის ცოდნა, რასაც უწყუნებს ი. გოგებაშვილი ა. ნათაძეს (ივერია 1897, №188).

„დედა ენის“ გაუმჯობესების თვალსაზრისით საინტერესოა ახალციხელი მასწავლებლის შენიშვნები, რომელიც „ივერიაში“ აქვეყნებს თავის შენიშვნებს სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით. საყურადღებოა ქართველთა ცხოვრებიდან ისტორიული მოთხრობების ჩართვის შესახებ შენიშვნა. ვინაიდან ამ საშუალებით ცოტათი მაინც შეუწყობდა ხელს ხალხში საკუთარი ისტორიის ცოდნის გავრცელებას. აქვე მიუთითებს უცხო სიტყვების შეცვლის აუცილებლობას. „უცხო სიტყვების ხმარება ლიტერატურაში და მეტადრე სახელმძღვანელოში გადაგვარებას ხელს უწყობს“. ამიტომაც უნდა განიდევენოს უცხო სიტყვები, რომლებიც დროთა ვითარების გამო, გარეშე ხალხთა გავლენით დამკვიდრებულან ჩვენში. გამოთქვამს სურვილს, რომ „დედა ენაში“ არ იყოს გამოყენებული არც ერთი უცხო სიტყვა (ივერია 1896, №99, №101). ი. გოგებაშვილი მაღლიერებით პასუხობს ახალციხელი მასწავლებლის შენიშ-

ვნებს. თუმცა არ ეთანხმება უცხო სიტყვებთან დაკავშირებით მის შეხედულებას. აღნიშნავს, რომ კრიტიკის ავტორის მიერ ხსენებულმა უცხო სიტყვებმა მთელ ხალხში გაიშალა ფესვები, შეეხორცა ჩვენს ენას და იგი ქართულ სიტყვად მიაჩნია ხალხს. მათ მაგივრად სხვა ტერმინების ხმარება მწერლების მიერ წინააღმდეგობას წარმოქმნის ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის (მოამბე 1896, №9:42-62). ეს დისკუსია თვალსაჩინო მაგალითია იმისა თუ როგორ ზრუნავს ქართული საზოგადოება ყმაწვილთა სახელმძღვანელოს გაუმჯობესების თაობაზე.

ი. გოგებაშვილს ყურადღების მიღმა არ რჩება ის გარემოება, რომ მოზარდის გონებას მეცადინეობა მალე ღლის, მაგრამ მალევე მოდის ღონეზე. ბავშვის გონებრივი დაღლილობის მოსახსნელად საუკეთესო ღონისძიებად სიმღერას ასახელებს:

სიმღერას სმენის ნერვების შუამავლობით იმისთანა მდგომარეობაში მოჰყავს ნერვის ცენტრები, რომ ასწრაფებს სისხლის დენას ადამიანის მარღვებში და ტვინში, აჩქარებს ტვინის ნივთიერების განახლებასა, აშორებს გონებას ყოველ განსაზღვრულ ჰაზრსა და ზრუნვასა, შეჰყავს ადამიანი რაღაც სიამოვნების სფერაში შლის მის გულსა, და გონებას უმხნევებს და უხალისებს.

ამიტომ ბავშვის დაღალული გონება ვარჯიშობისაგან ერთიორათ უფრო ჩქარა მოდის ღონეზედ სიმღერის ჟამსა ვინემ სიცუდავით დასვენების დროსა. საკმარისია პატარა ხანს შეაწყვეტინოთ შრომა დაღალულ კლასსა და სამ-ოთხ მინუტს ამღეროთ იგი, რომ მან ახალის სიმხნევით და ხალისით გაგრძელოს ვარჯიშობა (დროება 1878, №161).

ი. გოგებაშვილი მიიჩნევს, რომ სკოლების წარმატებისათვის აუცილებელია დიდი სიფრთხილე, მოზარდი ხალისით უნდა იღებდეს განათლებას. ამ მხრივ სიმღერის დიდი მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გააზრებული და ამიტომაც უშურველად ზრუნავდა ხალხური სიმღერების ნოტებზე გადმოღებას (დროება 1878, №161).

XIX ს-ის მიწურულს ახალი შეტევა განხორციელდა ქართული ენის წინააღმდეგ. გაუქმდა 1885 წელს დამტკიცებული სამოსწავლო გეგმა შედგენილი სამრევლო სკოლებისათვის საქართველოს ეგზარქოსის მიერ იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელთან და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკისთან შეთანხმებით. გეგმის მიხედვით სწავლების სამწლიანი კურსი ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. რუსული ენის ლექსიური შესწავლა იწყებოდა პირველი წლის ნახევრიდან, როცა ბავშვებს უკვე გათავებული ჰქონდათ ქართული ანბანის შესწავლა, ხოლო წერა-კითხვის სწავლა მეორე წლიდან. გეგმით ქართული ენა მთავარ საგნად იყო აღიარებული.

ეს გეგმა სავალდებულო და საერთო იყო როგორც ქალაქის, ისე სოფლების სკოლებისათვის. ყველა ქართლ-კახეთის სასოფლო სკოლები ქართულს სკოლებად ითვლებოდნენ, რადგანაც, თუ მათში მცხოვრებნი სომეხნი და ნაოსარნი სწავლობდნენ, ესენიც შინ და გარეთ ლაპარაკობდნენ და ლოცულობდნენ ქართულს ენაზე (ივერია 1901, №145).

როგორც პუბლიკაციიდან ჩანს, ეს გეგმა თხუთმეტი წლის განმავლობაში უცვლელი ყოფილა, მხოლოდ ერთი მუხლი შეუცვლიათ (ათი წლის წინო მიუთითებს ავტორი, ე.ი. 1890 წელს – ქ.მ.) – რუსულის ლექსიკის სწავლება პირველი

წლის დასაწყისიდან შემოუღიათ. სასულიერო მთავრობას ასევე, გადაუწყვეტია სამრევლო სკოლების კურსი არა რუსთავის გაეხანგრძლივებინა – ოთხწლიანი გაეხადა. სამისოდ ადგილობრივი მთავრობისთვის მოუწერია მოეხდინათ საგნების განაწილება ოთხ წელზე. ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს საგნების გასანაწილებლად ამოურჩევია კომისია სამი წევრის შემადგენლობით ერთი რუსი მამა გოროდცევი და ორი ქართველი – ტატიშვილი და ფერაძე. კომისიას უწინდებურად გადაუწყვეტია სამ წელიწადს ქართულ ენაზე სწავლება, ხოლო მეოთხე წელს რუსულ ენაზე. მაგრამ კომისიის აზრი არ შეუწყნარებია საეპარქიო საბჭოს და შეუდგენია ახალი პროექტი და გაუგზავნია სინოდში დასამტკიცებლად.

ახალი პროექტით სწავლება უნდა წარმართულიყო მთლიანად რუსულად ქალაქის ყველა სკოლებში რუსი ბავშვებისთვის შედგენილი სახელმძღვანელოებით, ასევე რუსულად უნდა წარმართულიყო სწავლება სოფლადაც, სადაც ქართველებთან ერთად სომხებიც და ოსებიც სწავლობენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი კარგად ლაპარაკობდნენ ქართულად. ქართული ენა ამ სკოლებში ისწავლებოდა, როგორც ცალკე საგანი. მხოლოდ იმ სკოლებში უნდა წარმართულიყო ქართულად სწავლება, სადაც არც ერთი სომეხი და ოსი არ იყო. ეს პროექტი შეუდგენია დეკანოზ ი. ვოსტორგოვს¹⁷,

¹⁷ იოანე ვოსტორგოვი 1900 წელს დაინიშნა საქართველოს სამრევლო საეკლესიო სკოლების ზედამხედველად, რომელიც მუშაობდა საღვთო სჯულის მასწავლებლად თბილისის დედათა გიმნაზიაში (ივერია 1900, №270). 1905 წელს. დეკანოზი ი. ვოსტორგოვი დაინიშნა სარატო-

რომელიც დაუნიშნავთ ქართლ-კახეთის საეპარქიო მეთვალყურედ ნ. ტატიშვილის ნაცვლად (ივერია 1901, №145).

იმისათვის რომ ხალხს ნათლად დაენახა გარუსების პოლიტიკის აქტივისტების მიერ შემუშავებული გეგმის მანებლობა თვალსაჩინოებისთვის ი. გოგებაშვილი აქვეყნებს სტატიას „მუნჯური მეთოდი და ზოლა“. სტატიაში წარმოჩენილია თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მუნჯურ მეთოდს. ისტორია შემდეგში მდგომარეობდა. განთქმული ფრანგი მწერალი ემილ ზოლა, რომელიც პოლიტიკური ნიშნით იდეენებოდა საფრანგეთში, ინგლისს შეაფარებს თავს. ინგლისურის არმცოდნე ზოლა ადგილობრივებთან საკონტაქტოდ მუნჯურ მეთოდს მიმართავს, რის შედეგადაც დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდა, კინაღამ ცემა ინგლისელმა (ივერია 1900, №54).

მეორე ბურჯად ერის აღორძინებისთვის ასახელებს სამშობლო ენას. რასაკვირველია, ენა კომუნიკაციის უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს. გარდა ამისა, ენა უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია იდენტობის არსებობისათვის, წარმოუდგენელია ერის განვითარება ენის განვითარების გარეშე.

ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან უკან მიდის და დატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აჰყვავების ხანა

ვის ეპარქიაში ადგილობრივი საკათედრო ტაძრის დეკანოზად (ივერია 1905, №151).

უდგება. არა უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს სამშობლო ენის სამსახური, როგორც დედინაცვალს არ შეუძლიან დასდოს ბავშვს ღვიძლი დედის ამაგი, საშინელს მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი და იგი მას რიგიანად ვეღარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სკოლა ცუდად მოქმედებს თვით სახლობაზე, აქაც სუსტდება ღვიძლი ენა. ამის გამო სრული მეტყველება ერში იკარგება, და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუწეველ ბრბოსა. სუსტი ენა ჰზადავს სუსტს გრძნობას, სუსტს აზრს, სუსტს ხასიათსა და ერის ცხოვრებაში დგება უბედური ხანა... ამ უბედურ ხანას თავის სასარგებლოდ იყენებენ მოცილე ერნი და ნახევრობით დამუწეველს, დაქვეითებულს ხალხს ხელიდგან აცლიან მიწა-წყალს, დოვლათს და ყველა ეროვნულს საუნჯეს.

ეს ხანა, ბატონებო, ჩვენდა სავალალოდ, უკვე დადგა ჩვენში. ჩვენ ქართულად-კი აღარ ვლაპარაკობთ, ვჩმახავთ, რიგიანად ვეღარ ვხატავთ ქართულს ენაზე ჩვენთა გრძნობათა, ჩვენთა აზრთა, ჭაპანწყევით და ვაივაგლახით ვსაუბრობთ. წამდაუწუმ გადავდივართ რუსულს ენაზე; მაგრამ აქაც სრული მეტყველების ნაცვლად რაღაც უგვანო ჟარგონი ისმის ჩვენი პირიდან (ივერია 1901, №116).

ამ საკითხზე აქცენტირებით ი. გოგებაშვილი ცდილობდა და გაემლიერებინა ენის დაცვა.

მდგომარეობიდან გამოსავალს იიგი ხედავს ქართული ენის სავალდებულო საგნად გახდომას ჩვენს სასწავლებლებში (ივერია 1901, №116).

თუ რამდენად დამლუპველი შედეგები ჰქონდა დედა ენაზე სწავლის უგულვებელყოფას ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს წერილი „მსხვერპლი დედა-ენის უცოდინრობისა“. ი. გოგებაშვილმა განგაში ატეხა იმ ფაქტის გამო, რომ ვინმე მაკარიძის ქალმა თავი მოიკლა დედა ენის უცოდინრობით

სამსახურის დაკარგვის გამო. ხაზს უსვამს ამ ფაქტის საზოგადო მნიშვნელობას და კიცხავს ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომლებიც თავის შვილებს უწონებენ ქართულის ათვალწუნებას და პრანჰვი-გრეხით საუბარს (დროება 1884, №189).

აღშფოთებას ვერ ფარავს ი. გოგებაშვილი მთავრობის ახალი პროექტთან დაკავშირებით, რომლითაც უნდა შეერთებინათ გორის საოსტატო სემინარიასთან არსებული ქართული, სომხური და თათრული პირველდაწყებითი სასწავლებლები. სასწავლებელი პროსემინარიისთვის ამზადებდა სამივე ეროვნების მოსწავლეებს. ბავშვები ჯერ დედა-ენაზე ისმენდნენ საგნებს, კარგად იმართებოდნენ ქართულს წერა-კითხვაში და სწავლობდნენ რუსულ ენას და წერა-კითხვას დედა-ენის შემწეობით. სემინარიაში ხდებოდა მომავალი მასწავლებლების აღზრდა. აქ მოსწავლეები ადევნებდნენ თვალყურს სწავლების ხერხებს, ოსტატობას, სწავლობდნენ საგნებს, რუსულს დედა-ენის მეშვეობით, ე. ი. მზადდებოდნენ თავისი დანიშნულებით. ერთი სიტყვით ეს სკოლები სანიმუშო იყვნენ. მათ მსგავსად უნდა მოწყობილიყო სახალხო სკოლები წარმატების მისაღწევად.

ამ სასწავლებლის განყოფილებების გაერთიანება გაუქმებას ნიშნავდა, ვინაიდან უმთავრესი დანიშნულება შედეგს ვერ გამოიღებდა იმ მიზეზით, რომ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეების გაერთიანებას უსათუოდ მოჰყვებოდა რუსულად სწავლება. ეს კი ხელს შეუშლიდა სახალხო სკოლების გონივრულ მოწყობას და ხალხის განათლებას.

ხალხის არსებობას და წარმატებას ორი ბურჯი ჰქონია და აქვს: სარწმუნოება და ცოდნა, ეკლესია და სკოლა. ეკლესიას

ჩვენში სული თითქმის ამოხდა, – იგი გარდაიქცა სხვა-და-სხვა გარეგანი მეხანიკური წესების შესასრულებელ ადგილად და თითქმის ხელი აიღო თავისს მთავარს დანიშნულებაზე – ჰვინოს ხალხში ცოცხალი, მადლიანი სიტყვით წმინდა სწავლა სახარებისა. სკოლაც კაკლის ნაჭუჭად ლამის გადაგვექცეს ქართველობას და ცოდნის მაგივრად გონების დაჩლუნგების ბუდედ შეიქმნას. ორივე ბურჯი ინგრევა და ხალხის არსებობას მოელის ათჯერ მეტი განსაცდელი, ვიდრე მოელოდა მონგოლთა, სპარსთა, და ოსმალთა შემოსევებისა. ქართული სკოლა-კი უთუოდ დაცული უნდა იქმნას ახლანდელის თავისის მოწყობილობით, როგორც დაწესებულება იმ ქვეყნის შვილთათვის, სადაც დაარსებულია გორის საოსტატო სემინარია. ამას მოითხოვს პრინციპი, დედა-კანონი უმრავლესობისა, საზოგადო სიკეთე და სიმართლე (ივერია 1895, №143).

საყურადღებოა ი. გოგებაშვილის ხედვა ისტორიული იდენტობის არსებობისათვის ენის როლთან დაკავშირებით. მართალია ის ამ შემთხვევაში იმოწმებს რუსი პედაგოგის უშინსკის აზრს

განა დედა-ენის კამკამა სიღრმეებში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია არის სულიერის ცხოვრებისა თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად. დედა-ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა; გულის ღრმა მოძრაობისას, ისტორიულის მოქმედებისას, რწმუნებისას, აზრისას, სტოვებენ კვალთა გამოვლილის სიხარულისას და მწუხარებისას. ერთი სიტყვით, მთელს ნაშთსა და ნაყოფს თავისის სულიერის ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედა-ენაში. დედა-ენა არის უცხოველესი და უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავა-

ლთა თაობათა და ჰხდის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად. იგი არამც თუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვითონ ეს სიცოცხლე. როდესაც ჰქრება ერის ენა, ერი აღარ არსებობს. და ქვეყანაზედ არ მოიძებნება იმაზედ აუტანელი ძალდატანება, როდესაც ჰსურთ ერს წაართვან ეს მემკვიდრეობითი საუნჯე, შექმნილი და შეძენილი მის წინაპართა ურიცხვი თაობათა მეოხებით. – ამასთან დედა-ენა არის უდიდესი მოძღვარი. როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედა ენასა, იგი იძენს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ათასის წინანდელის თაობისას, რომელნიც დიდი ხანია მიწად არიან ნაქცევნი. რაც-კი უნახავთ და გამოუცდიათ, რაც-კი უგრძვნიათ და უფიქრნიათ ამ აურაცხელ წინანდელ თაობათა, გადაეცემა ბავშვსა და დედა ენის შუამავლობით ადვილად და უშრომელად და ბავშვი შედის ცხოვრებაში უდიდესი ძალით აღჭურვილი (ივერია 1890, №100).

ქართული ინტელიგენცია აღშფოთებული იყო სწავლავანათლების მხრივ შექმნილი ურთულესი მდგომარეობის გამო. მათი უმთავრესი საზრუნავი ამ მდგომარეობის გაუმჯობესება გახდა. ი. გოგებაშვილმა 1902 წელს წერილების სერია – „როგორ უნდა მოეწყოს უკეთესად სასოფლო სკოლა“ – მიუძღვნა „ივერიამ“ სასოფლო სკოლებში არსებულ მდგომარეობას. იმისათვის რომ არსებული ვითარება უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო მკითხველთათვის, წერილში იძლევა სასოფლო სკოლების ისტორიას მათი დაარსების დღიდანვე. სასოფლო სკოლების დაარსება ჩვენში 1864 წლიდან იწყება. სკოლების უმთავრესი დანიშნულება იყო „აემალეობინა გლეხკაცობა გონებითა და ზნეობით, განემტკიცებინა მისი სარწმუნოება და სათნოება და განეკარგებინა მისი ნივთიერი ყოფა-ცხოვრება“. მაგრამ სასოფლო სკოლამ „არა თუ ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა ერის სულიერს ცხოვრებასა და ეკონომიკურს ვითარებაში,

არამედ ისიც-კი ვერ მოახერხა, რომ უბრალო წერა-კითხვა გაევრცელებინა ხალხში“. ამის დამადასტურებელი მაგალითები არა ერთი გვაქვს მოხმობილი ზემოთ განხილულ კორესპონდენციებში. მაგრამ თვალსაჩინოებისთვის აქაც მიუთითებს ავტორი. ი. გოგებაშვილი აქვე საუბრობს არასახარბიელო ვითარების განმაპირობებელ მიზეზებზე და სკოლების წარმატებისათვის აუცილებელ სწორ მიმართულებებზე. მისი თვალთახედვით ასეთი მდგომარეობა განპირობებული იყო: 1. სასკოლო სწავლების კურსის ხანმოკლეობით; 2. დედა ენაზე სწავლების შეზღუდვით. 3. ქართული წერა-კითხვის არასავალდებულო საგნის ხარისხზე დაყვანით. 4. რუსულის სწავლების უდროოდ დაწყებით და სწავლების უმართებულო მეთოდით. 5. სკოლების ინსპექტორების და დირექტორების მიერ ქართულის არ ცოდნით.

მოგვიანებით ი. გოგებაშვილი ისევ უბრუნდება რუსულის სწავლების დაწყების საკითხს სასოფლო და სამოქალაქო სკოლებში. ისევდაისევ ავითარებს იმ აზრს, რომ თუ ქალაქის სკოლებში რუსულის სწავლება პირველი წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება, სოფლის სკოლებშიც ამავე დროს დაწყება ზიანის მომტანი იქნება ბავშვებისთვის, ვინაიდან სასოფლო სამუშაოების გამო ბავშვები სწავლას ფაქტობრივად ნოემბრიდან იწყებდნენ და ამთავრებდნენ აპრილის დასაწყისში, როდესაც სამუშაოები იწყებოდა, განსხვავებით სამოქალაქო სკოლისა, რომელიც პირველი სექტემბრიდან იწყებდა სწავლას და ივნისამდე გრძელდებოდა (ცნობის ფურცელი 1905, №2889). ი. გოგებაშვილის ამ სტატიას წამმდგარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ რუსულ

ენას ჩვენს სახალხო სკოლებში საერთოდ არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ მოსწავლეები იმდენად ვერ შეძლებენ ენის შესწავლას კურსის დასრულების შემდგომ თავისუფლად შეძლონ რუსული წიგნების კითხვა და ცოდნის შექმნა. ამ წინასიტყვაობას მოგვიანებით გამოეხმაურა ი. გოგებაშვილი (ცნობის ფურცელი 1905, №2905).

სახელმწიფო ენის სწავლა არა ხალხს არ მიაჩნია საშიშრად თავის ნაციონალურ არსებობისათვის. მკითხველს მოეხსენება ბევრმა კერძო პირმა იცის რამდენიმე ენა; მაგრამ ეს გარემოება არცთუ არ ასუსტებს მათში მამულიშვილობას, არამედ კიდევ აძლიერებს. ხალხმაც შეიძლება მეტნაკლებობით იცოდეს მთავარი ერის ენა, და ამავე დროს იგი იდგეს მკაცრად ეროვნულ ენაზედ, მიისწრაფებოდეს ნაციონალურის იდეალებისაკენ. სახალხო სკოლა მაშინ ხდება საშიში, როცა საგნები ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ სახელმწიფოზე. ამ შემთხვევაში უკანასკნელი ენა დღითი-დღე ძლიერდება, ხალხში მკვიდრად იდგამს ფესვებსა, დედა-ენა კი სუსტდება, ჰკარგავს ნიადაგსა, იჩაგრება და გადაშენების გზაზე სდგება (ცნობის ფურცელი 1905, №2905).

ჩვენი ხალხისათვის რუსული ენის ცოდნის სარგებლიანობას და საჭიროებას მოწმობს იმიერ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა გადაწყვეტილება. დაახლ. 200-300 მასწავლებელს, რომლებიც ყველაზე ახლო დგანან ხალხის ცხოვრებასთან, ერთხმად უღიარებია რუსული ენის, როგორც კერძო საგნის, სწავლების აუცილებლობა სახალხო სკოლებში. აქვე მიუთითებს, „თუ გუშინ სახალხო სკოლის მასწავლებელი მორჩილი მოხელე იყო მთავრობისა, დღეს იგი თავისუფალი მოღვაწეა, გამსჭვალული მხოლოდ ხალხის სიკეთით. მაგალი-

თად, მათი მოთხოვნით გაუუქმებია მთავრობას საღმრთო სჯულის სწავლება. თუმცა ამ საკითხში არ ეთანხმება მათ გადაწყვეტილებას ი. გოგებაშვილი:

„უკეთესი იქნებოდა საღმრთო სჯული სრულიად კი არ გაეუქმებინათ სკოლაში, არამედ იმისთანა რეფორმა მოეხდინათ მის პროგრამაში, რომ სრულიად აეცილებინათ იგი კლერიკალურ-ბიუროკრატიულ მიმართულებასა და მიეცათ მისთვის წმიდა ქრისტიანული ანუ სახარებრივი მიმართულება“.

აქვე აღნიშნავს, რომ მეფისნაცვლის ახალი სამოსწავლო გეგმა მათ მთავარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა: ყველა საგნების სწავლება დედა ენაზე უნდა წარმართულიყო, მაგრამ სრულიად არ აკმაყოფილებდა ქართველთა მოთხოვნილებას. ი. გოგებაშვილი გაფიცვას და სკოლების არ გახსნას ამჯობინებს მთელს საქართველოში სკოლების გახსნაზე ზრუნვას და შეუპოვარ ბრძოლას სამოსწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად.

დასასრულ, ერთს წამსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით იდეალური სამოსწავლო გეგმა ჩვენს სახალხო სკოლის მკვიდრ საფუძველზე ვერ დააყენებს, თუ მისი ხელმძღვანელობა დარჩება სამოსწავლო ბიუროკრატის ხელში. ჩვენის სკოლის ბედნიერი მომავალი მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა მას ბატონად ეყოლება ხალხისაგან ამორჩეული ერობა და არა მთავრობის მიერ დანიშნული დირექცია. ამას უნდა დიდი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ, ვინც ამ ჟამად ერობის პროექტებს ადგენენ დააკანონებინონ სრული ბატონობა ერობისა სახალხო განათლების სფეროში და სავსებით დაუმორჩილონ მას სახალხო სკოლები არა მარტო ეკონომიურად, არამედ პედაგოგიურადაც (ცნობის ფურცელი 1905, №2905).

კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის ი. ნევეროვის გეგმით სწავლება ქართულ სასოფლო სკოლებში მთელი კურსის განმავლობაში დედა ენაზე მიმდინარეობდა. მან კარგად იცოდა რომ სამი წლის სწავლების კურსი შედეგს ვერ გამოიღებდა, ამიტომაც მის მიერ შემოღებულ იქნა ხუთი წლის სწავლების კურსი. სწავლების ამ მეთოდით იყო განპირობებული მოსწავლეთა განათლების წარმატება (ივერია 1902, №70). ი. ნევეროვის შემდგომმა მზრუნველმა კ.პ. იანოვსკიმ (1878-1899 წლებში იყო კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი) ხუთი წლის სწავლების კურსი სამი წლის კურსით შეცვალა. კურსის ხანმოკლეობამ ძლიერ დასწია როგორც ქართულის, ისე რუსულის სწავლება. იმისათვის რომ რუსულის სწავლება წარმატებული ყოფილიყო მოითხოვეს საგნების სწავლება რუსულად პირველი წლიდან დაეწყით მასწავლებლებს. მაგრამ გაუგებარ ენაზე სწავლებამ „შეაფერხა წარმატება ყოველის საგნის სწავლებისა და დაჰბადა უნაყოფობა მისი როგორც რუსულის, ისე სხვა საგნების სწავლებაში“. რუსულის ნაადრევი სწავლება რომ მეტისმეტად აფერხებს მოსწავლის გონებრივ განვითარებას ამის მაგალითად ასახელებს ორკლასიან სამინისტრო სკოლებს ხუთი წლის კურსით, სადაც შეგირდები პირველი წლიდანვე რუსულად მექანიკურ დაზეპირებას ეჩვეოდნენ. ამიტომაც სკოლაში შექმნილ ცოდნას მალე ივიწყებდნენ. ამ მიზეზით გახდა სუსტი და უნაყოფო საქართველოს სამრევლო სკოლები.

ქართული წერა-კითხვა გარდა იმისა, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ხალხისათვის, ამავე დროს აადვილებს რუსული წერა-კითხვის შეთვისებასაც. მხოლოდ ამ მე-

თოდით შეისწავლიან უფრო სწრაფად რუსულს შეგირდები. ამგვარად, დედა ენის ცოდნა რუსულის ცოდნის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს – ასეთ თვალსაზრისს ავითარებს ი. გოგებაშვილი სკოლებში სწავლების საკითხისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა პუბლიკაციაში და თავისი შეხედულების გასამყარებლად ისევ უშინსკის იშველიებს „რუსულის წერა-კითხვის ცოდნა, თუ დამყარებული არ არის დედა-ენის ცოდნაზედ, უსათუოდ გაჰქრება უცხო ტომის ხალხით დასახელებულს სოფელში“. ამასთან მკითხველის ყურადღებას იქცევს საზოგადოებრივი პერცეფციებით დედა ენის და სახელმწიფო ენის მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნავს, რომ

ბუნებრივის და სრულიად კანონიერის გრძნობით გატაცებულს ქართველს ხალხს, ასე თუ ისე, უყვარს თავისი დედაენა, სამართლიანად მიაჩნია დედა-ენაზედ წერა-კითხვის ცოდნა, ხელშემწყობ ღონისძიებად ჰსახავს თვისის გონებრივისა და ზნეობრივის განკარგებისა და ნივთიერ კეთილდღეობის განმტკიცებისათვის; ამიტომ დიდადაც აფასებს დედა-ენას. ამასთანავე ხალხი ეტანება სახელმწიფო ენის ცოდნასაც, უნდა რუსულის წერა-კითხვის სწავლაცა. ერთის სიტყვით, სიყვარულს ადგილობრივისას, საკუთარისას ხალხი უკავშირებს სიყვარულს საერთოსა და სახელმწიფოსადმი (ივერია 1902, №71).

მაგრამ ეს ურთიერთობა შეიცვლება როგორც კი რუსული შეავიწროებს დედა-ენას. ამ შემთხვევაში ხალხი ისე დაუწყებს ცქერას სახელმწიფო ენას როგორც არაკეთილისმყოფელს, მოქიშპეს, რომელიც ცდილობს გააუქმოს და აღმოფხვრას ის, რის სიყვარულსაც უბრძანებს ღმერთი და კერძო სიკეთე (ივერია 1902, №71).

ქართული წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ რუსული წერა-კითხვის სწავლის დაწყება, ხელს უწყობდა სახელმწიფო ენის გათვითცნობიერებულად და ადვილად შესწავლას. მაგრამ წერილის გამოქვეყნებამდე ათი წლით ადრე ეს წესი არსებითად შეუცვლიათ (ეს ცვლილება ემთხვევა კ. იანოვსკის კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველად მუშაობის პერიოდს – ქ.მ.), და ქართულის როგორც როგორც მეორეხარისხოვანი საგნის სწავლება შემოულიათ, რასაც შედეგად სწავლა-განათლების წარმატებლობა მოჰყოლია. გაჩნდა ხალხის გულგრილი დამოკიდებულება სკოლების მიმართ. ძველი სკოლების მდგომარეობით შეშინებული ხალხი ახალი სკოლების გამართვის ინიციატივას აღარ იჩენდა (ივერია 1902, №72).

საგანმანათლებლო სივრცეში ცვლილებების შემოღებამდე, თარგმნის მეთოდი მოქმედებდა სკოლებში, რაც აადვილებდა უცხო ენის შეთვისებას. შემოღებული ცვლილებებით თარგმნის მეთოდი გაუქმებიათ და ბუნებრივი მეთოდით დაუწყიათ სწავლება. ორივე მეთოდი როგორც მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები ადასტურებს უმართებულო აღმოჩნდა. ი. გოგებაშვილი ორმაგი მეთოდის საჭიროებას მიუთითებს სწავლების წარმატებისათვის.

„ქართულს სოფლებში დირექტორები და ინსპექტორები ისე გრძნობენ თავს, როგორც უცხოელნი, არ შეუძლიანთ გამოელაპარაკონ მკვიდრთ, აუხსნან საჭიროება სკოლების დამართვისა, შემწეობისა და შენახვისა...“ (ივერია 1902, №73).

აღნიშნული პირველდაწყებითი განათლების შემაფერხებელი გარემოებები აუცილებელ აღმოფხვრას საჭიროებდა სკოლების განათლების ნამდვილ დაწესებულებად გადასაქცე-

ვად. ი. გოგებაშვილი რეფორმატორად გვევლინება. ცვლილებები, რომლებიც წარმატებას მოუტანდა სწავლა-განათლების საქმეს, შემდეგში მდგომარეობდა: 1) გახანგრძლივებულიყო სახალხო სკოლების სწავლების კურსი; 2) სწავლება ერთკლასიან სახალხო სკოლებში მიმდინარეობდეს დედა ენაზე; 3) ქართული ენა უნდა იყოს სავალდებულო საგანი და ქართული წერა-კითხვის ცოდნა უნდა უკვალავდეს გზას რუსული წერა-კითხვის შეთვისებას და სხვ.

დედა ენის ამგვარად სწავლებას მოითხოვს არა მარტო ქართული წერა-კითხვის გავრცელების ინტერესები, არამედ სახელმწიფო ენის ინტერესებიც, ვინაიდან მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი თვით სახელმწიფო ენის შეთვისება. სწავლება რუსულის მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მეთოდით. სახალხო სკოლების ინსპექტორებისთვის სავალდებულოა ქართულის ცოდნა (ივერია 1902, №76).

„ამ ზომიერი პროექტის განხორციელება გააცოცხლებს და ნაყოფიერ დაწესებულებად გარდააქცევს ჩვენს სახალხო სკოლასა“ (ივერია 1902, №75, №77).

ასეთია ი. გოგებაშვილის ხედვა განათლების სფეროში არსებული პრობლემების რეფორმებით დაძლევის შესახებ.

მაგრამ გარუსების პოლიტიკის მიზნებში რეფორმების ადგილი არ იყო.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ქუთაისის გუბერნიის სკოლებში ფ. ლევიცი იძულებით ავრცელებდა მის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოს, რომელიც უვარგისად ჰქონდა გამოცხადებული სახალხო განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტს. თავიდან ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლები შიშით

ვერ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას უვარგისი სახელმძღვანელოს შესახებ, თუმცა თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება ამ საკითხთან დაკავშირებით. ხალხი ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობის წინააღმდეგი იყო. მაგალითად, სახელმძღვანელოთი სარგებლობის უარი განუცხადებიათ დაბა ოჩამჩირის მოსახლეობას და მოუთხოვია ქართულ ენაზე სწავლება. პასუხად ფ. ლევიცკის უარი განუცხადებია „თქვენ აფხაზნი და მეგრელები ქართულს ენას არა სთვლით სამშობლო ენადაო“ (ივერია 1895, №155). 1899 წელს გამოცემა დაუწუნებია მთავრობას იმ მოტივით, რომ „ადგილობრივ მთავრობას ნება აქვს, მოიწონოს მხოლოდ ის სახელმძღვანელონი რუსული ენისა, რომელშიაც სწავლება სწარმოობს ადგილობრივ ენის შუამდგომლობითაო, და რადგანაც თქვენი წიგნი უარყოფს ადგილობრივ ენის შემწეობას და მთლად რუსულ ენაზე არის შედგენილი, ამიტომ ჩვენ უნდა წარმოგვიდგინო გასაშინჯათაო“. 1900 წელს ფ. ლევიცკი ბეჭდავს მთავრობის არ მოწონებულ მესამე გამოცემას.

კონდრაბანდაა, ნამდვილი კონდრაბანდა და ისიც სრულიად დამპალი საქონლისა. მაგრამ ამ დამპალმა კონტრაბანდამ, ერთის ბების წყალობით, მოიპოვა, როგორც მოგახსენეთ, სრული მონოპოლია მთელს დასავლეთს საქართველოში და კანონიერსა და საღს საქონელს სრულიად შეუკრა გზა, და მთელი ნახევარი ჩვენი სამშობლო ქვეყნისა იძულებულია იკვებებოდეს ამ დამპალი და უნელებელი საჭმელითა... (ივერია 1902, №248)

მასწავლებლებმა ნათლად გააცნობიერეს ამგვარი სწავლების შედეგი და სახელმძღვანელოს შეცვლის მოთხოვნით

მიმართეს სამოსწავლო კომიტეტს. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს სავიჩს ურჩევია სასოფლო სკოლის მასწავლებლებისათვის ფ. ლევიცკის სახელმძღვანელოს ნაცვლად ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოს“ შემოღება (ცნობის ფურცელი 1900, №1214). გარუსების პოლიტიკის მესვეურნი, მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ფ. ლევიცკის სახელმძღვანელოს უჭერდნენ მხარს. 1904 წელს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექცია კვლავ პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებლებისგან მოითხოვდა უსათუოდ ფ. ლევიცკის სახელმძღვანელოს გამოყენებას (ცნობის ფურცელი 1904, №2677).

რუსული ენის სახელმძღვანელოზე მსჯელობას მიემდვნა 1904 წელს გაზაფხულზე ჩატარებული საეპარქიო მეთვალყურეთა სხდომები. სხდომებზე ი. ვოსტორგოვის დავალებით კორხანიდის¹⁸ მიერ მუხჯური მეთოდით ბერძენი ბავშვებისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოს „ჟივოე სლოვოს“ განხილვა მიმდინარეობდა. ი. ვოსტორგოვი ეწინააღმდეგებოდა რუსულის მშობლიური ენის მეშვეობით სწავლების პრონციპს. იგი ემხრობოდა გარუსების ყველაზე რეაქციულ პოლიტიკას და მოითხოვდა მშობლიური ენობრივი მონაცემების გამორიცხვას რუსულის სწავლებისას. სწორედ ამგვარი სახელმძღვანელო შეუქმნია კორხანიდს და საეპარქიო მეთვალყურეთა სხდომას გადაუწყვეტია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს „რუსსკოე სლოვოს“ ნაცვლად მისი სწავლების

¹⁸კორხანიდი თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში მიუწვევიათ კიდევ თავისი საგანმანათლებლო თეორიების პრაქტიკულად განხორციელებისათვის (ივერია 1905, №107).

შემოდება ქართულ სასწავლებლებში (ცნობის ფურცელი 1904, №2494). ი. გოგებაშვილი კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს და მოითხოვს დედა ენაზე სწავლების აუცილებლობას „სწავლება სახალხო სკოლებში ყველა საგნებისა თავიდან ბოლომდე უნდა მიდიოდეს დედა-ენაზე, და რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც კერძო საგანი, გარდა წერა-კითხვის სკოლებისა, სადაც სახელმწიფო ენას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. ი. ვოსტორგოვის მავნე მიმართულების მიმართ ი. გოგებაშვილის მუდმივმა წინააღმდეგობამ და კრიტიკამ იქამდე მიიყვანა, რომ თავის უკანასკნელ სამოსწავლო გეგმაში საერთოდ ამოუღია მისი სახელმძღვანელოები¹⁹ (ივერია 1905, №139).

„ყოველი სახალხო სკოლა ჩვენში წარმოადგენდა რუსიფიკაციის და დენაციონალიზაციის ქარხანასა“ – აღნიშნავს განათლების თვალსაზრისით უნუგემო მდგომარეობით აღშფოთებული ი. გოგებაშვილი (ივერია 1905, №142).

ხალხის განათლების მხრივ არსებულმა მდგომარეობამ დააფიქრა ხელისუფლების წარმომადგენლებიც. როგორც მედიაინფორმაციებით ვიგებთ, კავკასიის მეფისნაცვლის მითითებით,

¹⁹ ეს სახელმძღვანელოები უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის, მაღალი ზნეობრიობის და ეროვნული თვითშეგნების სულისკვეთებით ზრდიდა მოსწავლე-ახალგაზრდობას, მოსვენებას არ აძლევდა რეაქციულ ძალებს. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები იცავდა ქართულ ენას სკოლებში და ავრცელებდა ქართული ენის ცოდნას ახალგაზრდობაში. ეს სახელმძღვანელოები დიდი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობდა და დიდად აფერხებდა ანტიქართული პოლიტიკის გატარებას სკოლებში (სიგუა 1969: 14).

შეუქმნიათ სპეციალური კომისია ა. ჭიჭინაძის თვმჯდომარეობით და აღნიშნული კომისიის მიერ შედგენილი სამოსწავლო გეგმის განხილვის განკარგულებით მიუმართავს მეფისნაცვალს პედაგოგებისთვის, რათა გაეცნონ და გამოთქვან აზრი სასწავლო გეგმის შესახებ. სწორედ ამ სასწავლო გეგმამ აღძრა პ. სურგულაძე ი. გოგებაშვილს შორის პაექრობა ბეჭდური მედიის საშუალებით, რომელიც ისევდაისევ სახალხო განათლების გაუმჯობესება/ამაღლებას ისახავდა მიზნად. ი. გოგებაშვილი აქვეყნებს მეფისნაცვლის განკარგულებას:

კავკასიის ნამესტნიკმა, გაიცნო რა ხალხის განათლების მდგომარეობა ამ მხარეში, საჭიროდ სცნო: პირველდაწყებით სასწავლებლებში ყველა სამოსწავლო საგნების სწავლება უნდა მოეწყოს მოწაფეთა დედა-ენაზე; ერთკლასიანი სასწავლებლების კურსი უნდა იყოს ოთხწლიანი ნაცვლად სამწლიანისა; რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს პირველი წლის მეორე ნახევრიდან ზეპირ საუბართა საშუალებით, თვალსაჩინო ღონისძიებათა და დედა-ენის დახმარებით; რუსულის წერა-კითხვის სწავლება დაწყებული უნდა იქმნას მეორე წლის პირველი ნახევრიდან, და მასწავლებელთა თანამდებობაზე უნდა იქმნან გამწესებულნი მხოლოდ იმისთანა პირნი, რომელთაც მოსწავლეთა დედა-ენა იციან (ივერია 1905, №144).

და დასძენს, რომ მეფისნაცვლის განკარგულებით სექტემბრიდან უნდა შეიცვალოს არსებული უკუღმართი სწავლების მეთოდი. მაგრამ ი. გოგებაშვილი სამოსწავლო კომისიის მიერ შედგენილ გეგმას წინააღმდეგულ ნაბიჯად თვლის, თუმცა გულისტკივილით მიუთითებს აღნიშნული გეგმის ნაკლოვანებებზე. მისი მოსაზრებით განათლების პირველდაწყებითი კურსი განსაზღვრულიყო ექვსი წლით (ნაცვლად ოთხისა

როგორც სამოსწავლო კომისია მიუთითებდა); საგნების სწავლება უნდა ყოფილიყო დედა ენაზე; რუსული ენის სწავლების მესამე წელს უნდა დაწყებულიყო. მას უარი მიუღია სამოსწავლო გეგმის განხილვაში მიწვევაზე (ივერია 1905, №148). ამავე ნომერში პასუხობს რა პ. სურგულაძის უსაფუძლო ბრალდებებს გამოქვეყნებულს „ივერიის“ 1905 წლის 146-ე ნომერში, უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს სამოსწავლო საბჭოს. მოითხოვს სახალხო სკოლების კურსის გაგრძელებას კიდევ ორი წლით (რვა წელი) და ქართული სახალხო უნივერსიტეტების დაარსებას ჩვენს ქვეყანაში. აგრეთვე როგორც ქართულ სახალხო სკოლებში, ისე ქართულ სახალხო უნივერსიტეტებში მმართველობა გადაეცეს ხალხის მიერ არჩეულ სამოსწავლო საბჭოებს (ივერია 1905, №148).

საყურადღებო რჩევებს აძლევს ქუთაისის სასკოლო კომისიას, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროგრამა დაწყებითი სახალხო სკოლებისათვის. „ჩვენ სულ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ მთელს ხალხს მივანიჭოთ ნამდვილი დემოკრატიული განათლება და ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახალხო სკოლა, სიდიდე მისი კურსისა, სიფართოვე პროგრამისა და მისი მიმართულება მთლად და სავსებით დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ თვით ხალხის ნებასა და სურვილზე...“ ამ აზრზე ყოფილა ქუთათურები, მხოლოდ ერთი წინააღმდეგობრივი განზრახვით. ამასთან მოუთხოვიათ ქართული ენა გაამეფონ საშუალო სასწავლებლებში, სასამართლოსა და ადმინისტრაციაში. ი. გოგებაშვილი ურჩევს, რომ ამ განზრახვისგან აიღონ ხელი შეუძლებლის პოტენით შესაძლებელიც რომ არ დაეკარგათ. ამ ტაქტიკით

ადვილად გაუთხრდნენ სამარეს ეროვნულ სკოლას. მათ ხომ დიდ და ძლიერ პოლონეთს არ მისცეს ნება თავისი ენა გახადოს სახელმწიფო ენა. მით უმეტეს ამის უფლებას პატარა საქართველოს არ მისცემდნენ და დაგვტოვებენ მუნჯური მეთოდის და ფ. ლევიცკის კურსის ამარა. ამიტომაც სახალხო სკოლების ისეთი პროგრამა უნდა შევიმუშაოთ, რომელიც განთლების გზაზე დააყენებდა ყველას დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად. ამ მიზნის მისაღწევად ყველა სოფელში უნდა დაარსებულიყო იაფფასიანი წერა-კითხვის სკოლა ორი წლის კურსით, სადაც სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო. წერა-კითხვის სკოლადამთავრებულს არ გაუჭირდებოდა სახალხო სკოლაში სწავლა, სადაც სწავლება დედა ენაზე იქნებოდა მაგრამ რუსულის სწავლება პირველი განყოფილებიდან დაიწყებოდა. ამ სკოლებთან აუცილებლად უნდა დაარსებულიყო პრაქტიკული განყოფილებანი: სამეურნეო და სახელოსნო (ცნობის ფურცელი 1905, №2877).

თუ როგორ ცდილობდა ქართული იდენტობის წაშლას რუსული მმართველობა, ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს წერილი „შევიწროება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში“. საკუთარი მიზნის მისაღწევად რუსული მმართველობა ყველანაირად უშლიდა ხელს ქართულ სკოლებში ქართული წიგნებით სარგებლობას. განსაკუთრებული სახე ყოველივე ამან მიიღო რეაქციის ხანაში. მთავრობა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ქართული წიგნებით არ ესარგებლათ მეგრელებს და სვანებს. ამის ნათელი დადასტურებაა სამეგრელოს სკოლების ზემოხსენებული შემოწმების დროს მომხდარი შემთხვევა. ახალსენაკის ქალთა

სკოლის შემოწმებისას ერთ მოსწავლეს აღმოაჩნდა ე.წ. „კონდრაბანდა“, რისთვისაც რევიზორმა „ისეთი მრისხანებით გადახედა მთელს კლასს, რომ შეგირდებსაცა და მასწავლებელ ქალსაც ლამის გული წაუვიდათ და ზოგს ქვითინი წასკდა“.

„კავკასიის სამოსწავლო მთავრობა ... ყოველი ღონით ჰზრუნავდა, რომ თვით სახელწოდებაც კი გაეუქმებინა ქართველებისა“²⁰. ამის მაგალითად ასახელებს ბათუმის სასწავლებლის დათვალიერებისას მომხდარ შემთხვევას, რომლის დროსაც ობერ-პროკურორს რვა წლის მოსწავლესთვის მიუმართავს კითხვით:

შენ ვინა ხარ? – ქართველი, – სთქვა ბავშვმა. – ქართველი კი არა, რუსი ხარ, – სთქვი, რუსი ვარ-თქო. ბავშვი გამტერდა და სდუმდა. რევიზორმა იფიქრა, აქ ნამდვილად სეპარატისტობაა დამალული, გაწყრა, გაგულისდა, წაავლო ხელი ბავშვს, ანჯღრევდა და გაჯავრებით გაიძახოდა თავისას. შეშინებულმა ბავშვმა ძლივს წაილულულა: – რუ...სი... ვარ. ხმამაღლა სთქვი, რომ რუსი ხარ, – გაიძახოდა რევიზორი. შემკრთალმა ბავშვმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხმის ამოღება. ბოლოს მოიკრიბა ძალ-ღონე და შეჰყვირა: რუსი ვარო, და თან ქვითინი წასკდა (განათლება 1908, №5, №6).

როგორც წერილიდან, ჩანს ქართული იდენტობის წაშლის უმაგალითო შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ი. გოგებაშვილი რომ ქართული ენის, ქართველი ხალხის სამსახურში დგას მრავალთაგან თვალსაჩინოვდება შემდეგი სტატიიდანაც „პრინციპიალობა „დროების“ მესვეურისა“.

²⁰ წერილი პირველად გამოქვეყნებულა 1905 წელს რუსულ გაზეთ „რაზსვეტში“.

„დროებას“ კრიტიკა შეეხებოდა რუსულ გაზეთ „ზაკავკაზიეში“ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში ქართული ენის შევიწროების სავალალო შედეგებს ასახავდა. ამ წერილის გამოქვეყნებით ი. გოგებაშვილის მიზანი ყოფილა ზეგავლენის მოხდენა სასწავლო ოლქის წარმომადგენლებზე. მის რუსულენოვან პუბლიკაციას „დროება“ (1909 №241) სახელის განდიდებისათვის დაწერილად აცხადებს და სასტიკად აკრიტიკებს. „დროების“ მეთაურის ავტორის არამართებულ კრიტიკას ასე პასუხობს ი. გოგებაშვილი:

დიად, თუ მართლა დიდი სახელი მაქვს, როგორც თქვენ ამას ამბობთ, იგი მომიპოვებია არა ორგულობით და ორჭოფობით, არამედ ცოდნით, შრომით, ეროვნულის იდეალის ერთგულობით, გულწრფელობით და უანგარობით...

ხოლო რას ვიცავდი და როგორ ვიცავდი ჩემის ორმოცის წლის სალიტერატურო მოღვაწეობაში, ეს კარგად იციან მოსწრებულმა მკითხველებმა. ვიცავდი უმთავრესად: თვითმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედა-ენაზე, ქართული ეკლესიის განთავისუფლებას, ანუ ავტოკეფალიას, ქართულის ტერიტორიის გადასვლას ქართველის გლეხების ხელში, და სხ. ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე, როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გაბედლობით, ერთნაირი მიმართულებით და შინაარსით და ვერც ერთი ცილის მწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალს ნაწერებში თუნდა მცირეოდენს ორჭოფობას, ორგულობას. ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტისოდნადაც არ მიღალატნია არც ერთხელ, არას დროსა. მე არას დროს არ დამვიწყებია, თუ რისი შემძლეა ჩვენი პატარა ერი „მაქსიმუმი შესაძლებელისა“, ასეთი იყო ჩემი დევიზი, და არას დროს შეუძლებელზე ჩვენს ერს არ ვაქეზებდი, რადგანაც ცაში წეროების დევნა საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ყველა შინაური ფრინველიც კი ხელიდან გამოეცალოს სახლსა და

თვითონაც სიკვდილის გზას დაადგე (საქართველოს მოამბე 1909 №4).

ი. ვოსტორგოვი კვლავაც აგრძელებს ქართული ენის შევიწროებას ქართულ სასწავლებლებში.

ამგვარი დევნის მიზეზად სახელდებოდა ის გარემოება რომ „ქართული ენა წყაროა სეპარატიზმისა და რევოლუციისა. მავნებელი ფაქტორია სახელმწიფოსათვის და უნდა მოისპოსო“. ი. გოგებაშვილის შეხედულებით, დედა ენისა და ეროვნული პრინციპის ამგვარი დევნა აძლიერებდა უფრო რევოლუციონიზმს (საქართველოს მოამბე 1909, №4).

აი კიდევ ერთი მაგალითი. „მეგობარში“ (1906 №6) ქვეყნდება ინფორმაცია ეგზარქოსის მიერ ქართული ენის პროგრამის არდამტკიცების თაობაზე თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში. ეგზარქოსის ბრძანებით, ქართული ენის გაკვეთილებზე უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა. „ბუნების კარში“ კი სალიტერატურო ნაწილის გარდა, მოთავსებულია ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, გეოგრაფიული და ისტორიული წერილები, ეს კი სასურველი არ არის, რადგან ყველა საგანი სახელმწიფო ენაზე უნდა ისწავლებოდესო.

აქ საქმე ეხება არა მარტო „ბუნების კარსა“ არამედ თვით პრინციპს, საზღვრებს დედა-ენისას სკოლებში. ჩვენს ენას უქადიან იმ უფლების წართმევასაც, რომლითაც იგი სარგებლობდა თვით უკიდურესი რეაქციების დროსაც კი, როცა თვითმპყრობელობდნენ პოზედონოსცევი და პლევე (მეგობარი 1906, №10, №11).

დეკ. ი. ვოსტორგოვს გამოუთქვამს აზრი, რომ ქართული სახელმძღვანელოები მხოლოდ ენას უნდა ასწავლიდნენო. ისიც სასულიერო სტატიების საშუალებითო, ცოდნის იარაღად კი უნდა იყოს სახელმწიფო რუსული ენაო.

მეტადრე აბოროტებდა პოლიტიკანს დეკანოზს საქართველოს გეოგრაფია და ისტორია, „ბუნების კარში“ მოქცეული. საქართველო ოდესღაც იყო, ახლა არსებობს მხოლოდ კავკასიაო, და მხოლოდ გადაჭარბებულს პატრიოტიზმს უნდა დავაბრალოთ ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნში საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის მოქცევაო...

ვოსტორგოვებს დიდი ხანია სურთ ქართული სკოლა გადაეკციონ დენაციონალიზაციის, გადაგვარების და დაცემის იარაღად. ჩვენში ხალხი კი მტკიცედ არის მოწადინებული, რომ სკოლა იყოს ნამდვილი განათლების კერად და ემსახურებოდეს მისს გამოღვიძებას, განვითარებას და კეთილდღეობას. და დარწმუნებულები უნდა ბრძანდებოდნენ პოლიტიკანები, რომ ჩვენი ხალხი თავისას გაიტანს (მეგობარი 1906, №10, №11).

ეს წერილი უთარგმნიათ ეგზარქოსისთვის, რომელიც დარწმუნებულა ი. ვოსტორგოვის უსამართლობაში და ნება დაურთავს ისევ „ბუნების კარით“ ეხელმძღვანელათ ქალთა გიმნაზიაში.

ი. გოგებაშვილი მთელი თავისი ცხოვრება სიტყვით და საქმით იბრძოდა ქართული სკოლის ნაციონალური ხასიათის შენარჩუნებისათვის. განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ახალი სასწავლებლის გახსნის საკითხს, ვინადათ ახალი სასწავლებლის გახსნა ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა იყო და ყოველთვის ანგარიშგასაწევი წინადადებით და შენიშ-

ვნებით მიმართავდა ამ მოვლენის ინიციატორებს. სხვა-დასხვა გაზეთებში იმართებოდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების პაექრობები, რომელთა უპირველესი მიზანი სახალხო განათლების გაუმჯობესება იყო. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელთან სატექნიკო კურსების გახსნის თაობაზე გამართული დისკუსია. ი. გოგებაშვილი ეხმიანება სატექნიკო კურსების გახსნის საკითხს და აღშფოთებული წერს:

შემუშავებული პროექტით ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზე და რუსული ლიტერატურაც სავალდებულო საგანი უნდა იყოს. ქართულ ენაზე, არამცთუ არც ერთი საგანი ისწავლება, არამედ თვითონ ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ჭაჭანებაც არ იქნება ამ ახალ კლასებში. ქართულ ენას, თურმე, არც ერთი გაკვეთილი არ აქვს დათმობილი არც ერთ კლასში. სრული ექსორიით დაუსჯიათ იგი (კოლხიდა 1911, №97).

ი. გოგებაშვილის აღშფოთებას უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ამ უკუღმართობის ვნება მარტო ჭიათურის სასწავლებლით როდი შემოიფარგლებოდა. ეს უკუღმართობა გადაედებოდა სხვა სასწავლებლებსაც და „ჭიათურის სასწავლებლის მაგალითი ჯერ შეარყევს და შეამცირებს ჩვენს ენას სპეციალურ სასწავლებლებში, ბოლოს სულ გააქრობს“. ვნებას ამ სკოლისას, ასევე, აძლიერებდა მისი დაარსება წმინდა ქართულ მხარეში, სადაც არაქართველი თითქმის არ ცხოვრობდა. ამიტომაც აუცილებლად მიიჩნევს ჭიათურის სატექნიკო კლასებში გაკვეთილები დაეთმოს ქართულ ლიტერატურას (კოლხიდა 1911, №97). სკოლის დაარსების ინიციატორი კ. აბა-

შიძე საპასუხო წერილით „ფრიად სამწუხარო სენი“ გამოეხმაურა ი. გოგებაშვილს და მიუთითებს, რომ „მთავრობას ვთხოვეთო, ნება მოგვეცით რამდენიმე საგანი ქართულს ენაზე მოვაწყოთო, მაგრამ უარი მივიღეთო“ (სახალხო გაზეთი 1911, № 370).

დალოცვილებო, თქვენც უნდა განგესაჩივრებინათ, მზრუნველის უარი და ვრცლად დასაბუთებული მოხსენება უნდა წარგედგინათ ნამესტნიკისთვის... საკითხი მეტად საარსო და დიდმნიშვნელოვანი იყო, და ღირდა იმათ, რომ თქვენ გარჯილიყავით, რადგანაც თქვენი გამარჯვება ამ საკითხში მეტად კარგს გავლენას იქონიებდა მთელის ხალხის განათლებაზედ ჩვენს ქვეყანაში. გამარჯვებას აადვილებდა ის გარემოება, რომ თქვენი ახალი სკოლისთვის არავითარ უფლებას არ ითხოვდით, კერძო სასწავლებელს არასებდით სპეციალური ცოდნის გასავრცელებლად (სახალხო გაზეთი 1911, № 370).

მოპაექრებებს მაგალითად უნივერსიტეტი დაუსახელებიათ. ი. გოგებაშვილი მიუთითებდა, რომ უნივერსიტეტი იყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისათვის, რაც ავალდებულებდა საგნების სწავლება სახელმწიფო ენაზე. სატექნიკო სკოლა კი იყო კერძო სასწავლებელი და ამ თვალსაზრისით არ იყო შეზღუდული (სახალხო გაზეთი 1911, №390).

სად არის ფხიზელი, გაბედული დაცვა, ქართულის ენის უფლებისა? რომ იყოს განა შესაძლებელი იქნებოდა სახელოვანს ხონში დაარსებულიყო ანტიქართული სასწავლებელი ბევრად ადრე, ვიდრე ჭიათურაში. ეს სასწავლებელი გახლავთ ხონის სახელოსნო სკოლა, სადაც თურმე ქართუ-

ლის ენის ჭაჭანებაც არა ყოფილა, არ არის და არც შემდეგში იქნება, თუ სიჩუმით იქნება მოცული ჩვენი პრესის მხრივ ეს ეროვნული და პედაგოგიური სიმახინჯე (კოლხიდა 1911, №109).

ი. გოგებაშვილის შეუპოვარი ბრძოლა ჩვენ სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი მისივე მრავალმხრივ საინტერესო პუბლიკაციაში „ანტიპედაგოგიური ჯიუტობა „კოლხიდის“ პედაგოგისა“ (სახალხო გაზეთი 1911. № 447, 448, 449, 451, 451). წერილი მიემდვნა „პედაგოგის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მწვავე კრიტიკულ წერილს „პედაგოგიური ჭირვეულობა“ (კოლხიდა 1911, №151). ანტიპედაგოგიური და ანტინაციონალური უწოდა ანონიმმა მოპაექრემ მის „რუსსკოე სლოვოს“ მასში რუსეთზე პირველდაწყებითი ცნობების ჩართვის გამო. უმთავრესი მიზეზი რისთვისაც ჩაურთავს ეს ინფორმაცია წიგნში ი. გოგებაშვილს ისევდაისევ ქართული ინტერესის დაცვა ყოფილა. „პროგრამა მოითხოვს პირველ დაწყებითს გეოგრაფიულს ცნობებს რუსეთის შესახებ რუსულს ენაზე... მე რომ ეს პატარა წერილი არ ჩამერთო, რუსეთის ცალკე გეოგრაფიას შემოიღებდნენ ჩვენებურს სახალხო სკოლებში, აყიდვინებდნენ საწყალ ბავშვებსა და მისი გაზეპირებით ტვინს გამოულაყებდნენ...“ ყოველ ღონეს ხმარობდა ი. გოგებაშვილი ქართულ სასწავლებლებში ეროვნული ხასიათის შესანარჩუნებლად. რეაქციის პერიოდში, როდესაც ბიუროკრატია ცდილობდა ვიწრო ფარგალში მოექცია ქართული ენის სწავლება, ი. გოგებაშვილს „დედა ენა“ პატარა წიგნაკად გადაუკეთებია და პრესაში გამოუთქვამს აზრი „ამისთანა პატარა წიგნი

ხელსაყრელია ბიუროკრატიისათვის, რომელსაც განზრახვა აქვს ერთი პატარა წიგნით ქართულის ენის სწავლება შეზღუდოსო. ბიუროკრატამ არ დააყოვნა ამ მცირე სახელმძღვანელოს მოწონება“... ქართული ენის სწავლების საერთოდ ამოღებას, პატარა წიგნაკით სწავლებას ამჯობინებდა. ხოლო, როდესაც შესაძლებელი იყო. პატარა წიგნაკს კვლავ ვრცელ წიგნად გადააქცევდა და ქართული ენის გაფართოებას მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თუ როგორ ააღებინა ხელი თავის განზრახვაზე ი. გოგებაშვილმა სამოსწავლო მზრუნველს კ. იანოვსკის. მზრუნველს ასეთი წინადადებით მიუმართავს ი. გოგებაშვილისთვის: „ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი, რუსულის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის, ამ მიზანს, სხვათა შორის აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა ენისა“, რომელიც დიდს დროს ითხოვს თავისი გათავებისათვის. ქართულის წერა-კითხვა ადვილია, და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვექონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდინ მივედით: მოგცეთ წინადადება ერთი-ორად შევამოკლოთ „დედა-ენა“ და გვერდში, პარალელურად ამოვუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც წინ წავა. გაძლევთ ერთ კვირას მოსაფიქრებლად. თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თვითონ გამოსცემს სახელმძღვანელოს და, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი „დედა-ენა“ გაირიყება“. მზრუნველის წინადადება არ მიუღია ი. გოგებაშვილს იმ მიზეზით, რომ მისი განხორციელება მავნებელი იქნებოდა როგორც რუსულისთვის ასევე ქართულისთვისაც, რადგან პედაგოგია მოითხოვდა არა პარალელურ სწავლებას

როგორც ამას კ. იანოვსკი სთავაზობდა, არამედ შედარებით მეთოდს.

როგორც ზემოთ განხილული მასალა მოწმობს, არსებული განათლების სისტემა არ შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს. ი. გოგებაშვილი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა სქოლასტიკურ სწავლებას, სასტიკად აკრიტიკებდა კლასიკური გიმნაზიის უარყოფით მხარეებს და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა კლასიკური განათლების უსაფუძვლოებას. სვამდა საკითხს განათლების ახალი სისტემის შემოღების აუცილებლობის შესახებ, რომელიც ხალხის ეკონომიკური, გონებრივი და ზნეობრივი ამაღლების სამსახურში ჩადგებოდა. მოითხოვდა ისეთი სკოლების გახსნას, რომლებიც მისცემდა რეალურ ცოდნას მოსწავლეებს. ასეთ ცოდნას მისი თვალთახედვით სამეურნეო სკოლა მისცემდა მათ. იგი მიუთითებდა, რომ „ამ ცოდნას უპირველესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგანაც მთელი საქართველო წარმოადგენს ერთ დიდ სოფელს, რომელიც მეურნეობით სცხოვრობდა, სცხოვრობს და იცხოვრებს“. ამიტომ ამ მიმართულებით ხშირად მართავს მსჯელობებს ბექდური მედიის საშუალებით მკითხველებთან (დროება 1884, №227; ივერია 1891, № 113). ვინაიდან სწორედ სამეურნეო სკოლის დაარსება-აღორძინება-გაძლიერება იდენტობის არსებობისათვის ეკონომიკურ საძირკველს. ამ მხრივ, სამაგალითო ნიმუშად ასახელებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლას, რომელიც წარმატებით ასრულებდა თავის დანიშნულებას. ამ წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი ყოფილა დედა ენაზე სწავლება (დროება 1884, №140). ეს ერთადერთი სკოლა იყო საქართველოში, რომელშიც დედა ენაზე წარმოებდა სწავლება.

სკოლა შემწეობას საჭიროებდა. ამიტომაც მოუწოდებდა ქართულ საზოგადოებას ყველაფერი იღონონ საიმისოდ, რომ ამ კეთილ საქმეს შეუწყონ ხელი. ი. გოგებაშვილი სათავადაზნაურო ბანკის შეკრებაზე წარდგა მოთხოვნით გამოიყოს ბანკიდან ყოველწლიურად შემწეობა, რათა ამ ერთადერთმა ეროვნული სულის სკოლამ გააგრძელოს არსებობა. ყურადღებას ამახვილებს სკოლის არსებობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. მიუთითებს, რომ სამეურნეო სკოლის არსებობა აუცილებელია სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის. სამეურნეო განათლება მიღებული ახალგაზრდა მამულის შემოსავალს გააძლიერებს და დოვლათს გაზრდის. გარდა ამისა, ეს კერძო ინიციატივა უნდა იქცეს სამაგალითოდ და მეტი მხარდაჭერა და თანადგომისაკენ მოწოდებაა მიზანი (ივერია 1890, №77).

თბილისის გუბერნიის სასწავლებლები ძირითადად ქართველთა ფულით ინახებოდა, თუმცა ამ სასწავლებლებში სხვადასხვა ხალხის შვილები სწავლობდნენ, რომელთა შორის მცირე რაოდენობით იყო ქართველი ახალგაზრდობა. ამასთან ეს სასწავლებლები დაშორებული იყვნენ ყოველგვარ ეროვნულ ძალას, იმდენად გაწყვეტილი ჰქონიათ კავშირი სამშობლოს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან, რომ მისი მოსწავლეები ხეირიანი წერა-კითხვის ცოდნასაც კი მოკლებულნი ყოფილან.

სასწავლებელმა საზოგადო განათლების გარდა, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაუთმოს ეროვნული ღირსების მოწაფეების აღზრდას. „ამ სასწავლებელში ღარიბმაც და მდიდარმაც საზოგადო განათლებასთან ერთად უნდა შეიხორციონ ქართული მამულიშვილობა, აივსნენ ქართული თავისებურებით და გახდნენ ნამდვილნი, სრულნი ადამიანები, გამოსა-

დეგნი თავის სამშობლოსათვის და სასარგებლონი სახელმწიფოსათვის“. მიუცილებელ საჭიროებად ისევდაისევ რეალური სასწავლებლების დაარსებისათვის ხელშეწყობას ასახელებს 1893 წელს სააზნაურო სკოლის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაშიც ი. გოგებაშვილი: „ჩვენ გვესაჭიროება სრულნი ქართველნი, განათლებულნი მამულიშვილნი, შეიარაღებულნი ნამდვილ სამეურნეო სწავლითა“. მიუღებლად აცხადებს მოსაზრებას გიმნაზიის წარმატებისთვის მისი მთავრობისთვის გადაცემის შესახებ. ამით თავისუფლებას დაკვარგავთ და

თუ იგი, მაგალითად, მოინდომებს ქართულს ისტორიას აქენდეს თუნდაც ცოტაოდენი ადგილი სავალდებულო საგანთა შორის, პასუხად მიიღებს (და უკვე მიღებულიც არის): საქართველოს ისტორია რუსეთთან შეერთებამდის მსოფლიო ისტორიის ნაწილს შეადგენსო და რუსეთთან შეერთების შემდეგ არის ნაწილი რუსეთის ისტორიისაო, და რა საჭიროა მისი ცალკე სწავლებაო. თუ მოისურვებს, რომ ქართული ენა სავალდებულო იყოს და არა მაჩანჩალა, უპასუხებენ: ეგ ოფიციალურს პროგრამას ეწინააღმდეგება და შესაძლებელია მხოლოდ მსურველთათვის კვირაში ერთხელ-ორჯელ მეექვსე გაკვეთილი ვუწილადოთო. ჭაჭანებაც აღარ იქმნება მაშინ იმ ქართველის სულის და გულისა, იმ ეროვნულის ღირსებებისა, რომელთათვის, უმთავრესად გახსნა საზოგადოებამ ცალკე სასწავლებელი და იკისრა დიდი ფულის ხარჯვა ყოველს წელსა (ივერია 1893, №177).

„სამეურნეო ცოდნა – უპირველესი და უსაჭიროესი ცოდნაა ჩვენს მდგომარეობაში“. ჩვენ მდიდარი ბუნება გვაქვს და ღარიბები ვართ იმის გამო რომ ამ ბუნების მოვლა არ ვიცით. სხვებმა იციან მოვლა და ხელიდან გვაცლიან მიწა-წყალს. ამ

მოვლენას თუ დროულად არ მივხედეთ ჩვენ თვითონ აგვიგებს ანდერძს.

წარმოვიდგინოთ, ბატონებო, რომ ჩვენმა ერმა დაჰკარგა ყველა საჩინოვნიკო, სამოხელო ადგილები, ერთი ქართველი აღარ ურევია ქვეყნის მართვაში, მაგრამ მას ამავე დროს მტკიცედ უჭირავს ხელში თავისი მიწა-წყალი და მარჯვედ სარგებლობს. საშიში აქ არაფერია, დღეს დაკარგული სამოხელო ადგილები ხვალ ადვილად შეიძლება ისევ დაიბრუნოს. მაგრამ თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება, თუნდაც პირველს ხანებში მრავალი სამოხელო ადგილი ეჭიროს ადმინისტრაციაში, სამართალში და ჯარში. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს – ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდგან ეცლება მიწა-წყალი (ივერია 1893, № 178).

საამისოდ მამული გადაუცია თავად ზაქარია გიორგის ძე ერისთავს (ივერია 1893, №179).

ი.გოგებაშვილის აღნიშნულ მსჯელობებში აქცენტი გაკეთებულია სამეურნეო ცოდნის და ამ მხრივ ხელშეწყობის აუცილებლობაზე, ვინაიდან ქართველმა შეძლო შესაბამისი განათლებით თავისი წვლილი შეიტანოს, ერთი მხრივ, იდენტობის ეკონომიკურ განვითარებაში, მეორე მხრივ, შეძლოს საკუთარი მამულის შენარჩუნება.

ი. გოგებაშვილი ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების უმთავრეს გზად დაწყებითი და საშუალო სკოლებს აღიარებდა, ამასთან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახალხო უნივერსიტეტსაც. მაგრამ მზად იყო კი ქართველობა უნივერსიტეტისთვის? სვამს კითხვას და მიუთითებს, რომ უნივერ-

სიტეტის დასაარსებლად საჭიროა სათანადო მომზადება, უპირველესად საშუალო სასწავლებლების გაძლიერება (დროება 1882, №16). იაკობ გოგებაშვილი მარტო საუნივერსიტეტო შენობის გეგმასა და უნივერსიტეტის დაარსებაზე კი არ ზრუნავდა, არამედ ახალგაზრდობის იმ კონტიგენტის მომზადებაზე, რომელიც აღსაზრდელად ახლად შექმნილ უნივერსიტეტს უნდა მიეღო (სარიშვილი 1978: 376). აუცილებელი იყო განათლების სისტემის რეორგანიზაცია და სწავლა-განათლების ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა საქართველოში. თუმცა ამას არ მიიჩნევდა საკმარისად ხალხის კულტურული განვითარებისათვის და აქტიურად მსჯელობს სახალხო უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე, რომელიც საუკეთესო ღონისძიება იქნებოდა მაღალი სწავლის მოფენისათვის ხალხში, სადაც სწავლება აუცილებლად ეროვნულ ენაზე უნდა ყოფილიყო (ივერია 1905, №142). ამას მოითხოვდა არა მარტო ხალხის სიკეთე, არამედ დიდი ნაციონალური ინტერესიც.

ენა, როგორც მოგეხსენებათ, ცოცხალი ორგანიზმია. იგი თხოულობს მუდმივ ზრდას, განვითარებასა. შეაჩერეთ მისი ზრდა, და იგი დაჟანგებას იწყებს, უკან-უკან წავა, გადატაკდება, გაქრება, დაიმარხება და სამარეში თან ჩაიტანს თავის შემქმნელ ერსაც... (ცნობის ფურცელი 1905, №2885).

ი. გოგებაშვილის პუბლიკაციიდან მოხმობილ ამონარიდში თვალსაჩინოადაა წარმოდგენილი ერის არსებობისათვის ენის სასიცოცხლო მნიშვნელობა. იგი აგრძელებს ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის, ამ უნივერსიტეტში შესასწავლი საგნების შესახებ მსჯელობას. ამ მსჯელობის

არსი მდგომარეობს შედეგში, რომ უნივერსიტეტი არ მხოლოდ ერთი სოციალური ფენის ინტერესს ემსახურებოდა, არამედ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს სახალხო ხასიათი (ცნობის ფურცელი 1905, №2885). ი. გოგებაშვილი სახალხო უნივერსიტეტების დაარსებას კავკასიაში მიიჩნევს არა მხოლოდ ხალხში განათლების გავრცელების, არამედ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საშუალებადაც (გოგებაშვილი 1955: 438, შენიშვ. 18).

სასკოლო სახელმძღვანელო არ იყო ერთადერთი, რომლის გამოც მძაფრი პაექრობა გაიშალა გაზეთის ფურცლებზე. ფართო დისკუსია გაიმართა საგრამატიკო საკითხებზე ი. გოგებაშვილ-ნასიძეს, ი. გოგებაშვილ-ს. ხუნდაძეს, ი. გოგებაშვილ-ა. წერეთელს, ი. გოგებაშვილ-გ. წერეთელს, ი. გოგებაშვილ-დ. მეგრელს შორის. მ. ნასიძესა და ი. გოგებაშვილს შორის პოლემიკა მოჰყვა მ. ნასიძის საგაზეთო განცხადებას იმის თაობაზე, რომ იგი აპირებდა გრამატიკის სახელმძღვანელოს გამოცემას ანტონისეული გრამატიკის პრინციპით (ივერია 1886. № 17, 18). „ანტონისა და მისი სკოლის თვალსაზრისით ქართული ენის გრამატიკის საგანია „მაღალი საზოგადოება“, „დარბაისელთა“ ენა, ხელოვნური ენა, და არა ის ენა, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს, ე.ი. ხალხური ენა“ (რამიშვილი 1993: 170). ი. გოგებაშვილის თვალსაზრისით „უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვაკაზმული პროზა, ერთი სიტყვით, ლიტერატურა არის ერთადერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის... გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარებელი ღონისძიება, რომელიც სარჩულად დაედება პრაქ-

ტიკულს ცოდნასა“ (ივერია 1886. № 25, 26). ი. გოგებაშვილის მიერ გამოთქმულ ენათეცნიერულ მოსაზრებებს თავის დროზე სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდა და ბევრ მათგანს შემდგომშიაც არ დაუკარგავს თავისი საენათმეცნიერო და მეთოდოლოგიური ღირებულება (რამიშვილი 1993: 182). არ გავაგრძელებ საგრამატიკო საკითხებზე პაექრობის განხილვას, ვინაიდან ეს საკითხი არაერთხელ არის განხილული სპეციალისტების მიერ (ჭუმბურიძე 1956: 182; თავზიშვილი 1968; ობოლაძე 1977; მეგრელიძე 1988; გოზალიშვილი 1990; რამიშვილი 1993: 182-187), მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ პაექრობა ხელს უწყობდა ქართული ენის ნორმების შემუშავება-დახვეწას. ეს არის პერიოდი, როდესაც ხდება ძველი სალიტერატურო ქართულის შეცვლა ახალი სალიტერატურო ქართულით. ახალი სალიტერატურო ნორმების შემუშავებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ჭავჭავაძე, აქტიურად იყო ჩართული ი. გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილის ფიქრი და გონება მუდმივად საზოგადო კეთილ საქმეს დასტრიალებდა. ხელიდან არ უშვებდა არცერთ შესაძლებლობას, რომელიც კი ქვეყნის კეთილდღეობას წაადგებოდა. ამჯერად ვისაუბრებ სათავადაზნაურო ბანკიდან მის დამფუძნებელთათვის დასაბრუნებელი თანხის სამერმისო, საშვილიშვილო საქმისთვის გამოყენების სარგებლიანობაზე მისი მსჯელობის შესახებ. მოუწოდებს დამფუძნებლებს რომ ეს თანხა მიუცილებლად გამოიყენონ სწავლა-განათლებისთვის (ივერია 1899, №41).

იმისთანა პატარა ერი, როგორც არის ქართველობა, მხოლოდ მაშინ დაიცავს თავისს არსებობას და უკან არ ჩამორ-

ჩება სხვა ერებს წარმატების გზაზედ, როცა ყოველი მისი ნაწილი სალი და მომქმედი იქნება. მარტო ერთს რომელსამე წოდებას ვერ ძალუმს გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა დაცემას, დაჩაგვრას და მიწასთან გასწორებასა. საჭიროა შეერთებული ძალა ყოველთა წოდებათა (ივერია 1899, №42).

ბოლოს კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას, რომ არ უნდა გამოსწირონ თბილისისა და ქუთაისის სააზნაურო ბანკის დამფუძნებელთ მისაღები ფული და კვლავაც სწავლა განათლების საქმეს მოახმარონ.

პირველდაწყებითი განათლების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად ქართველ მასწავლებელთა გადაწყვეტილება პროფესიული საზოგადოების შექმნის შესახებ. საზოგადოებას უნდა ეზრუნა დაწყებითი სკოლების გამრავლებაზე. ი. გოგებაშვილი აღნიშნულ საკითხს შეეხო საგანგებო სტატიაში „ახალი შეძენა“, სადაც მიუთითებს, რომ ერთი და იგივე დანიშნულების ორი საზოგადოების შექმნა საფრთხეს ხომ არ შეუქმნიდა საზოგადო საქმეს. იმ მიზეზით, რომ ძველი საზოგადოება ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ახლის დაარსება, ვერ წაადგებოდა სახალხო განათლების მხრივ არსებულ რთულ მდგომარეობას. საუბარია იმ გარემოებაზე, რომ გიმნაზიებში ქართველთა ნაკლებობაზე შეინიშნებოდა. პრობლემის გადაჭრის გზად ი. გოგებაშვილი მიიჩნევს „საშუალო და მაღალი სწავლის აღორძინების საზოგადოების“ დაარსებას საქართველოში, რომელიც იზრუნებდა საშუალო და მაღალ სასწავლებლებში ქართველთა მომრავლებაზე, ღარიბ მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენაზე, სტიპენდიებზე, საგნების ქართულ ენაზე სწავლებაზე (შრომა 1906, №19). მართალია, კრი-

ტიკული გამოხმაურება მოჰყვა (შრომა 1906, №34) ი. გოგებაშვილის ამ წერილს, მაგრამ ამ პაექრობაში თვალსაჩინოდ იკვეთება, რომ ერთადერთი აზრი რაც ი. გოგებაშვილს ამოძრავებდა, როდესაც რაიმე საქმეს ეყრებოდა საფუძველი, იყო საზოგადო სიკეთე.

ასევე საუბრობს ხალხის განათლებისათვის საკვირაო სკოლების მნიშვნელობაზე (დროება 1883 №77).

როგორც ზემოთ განხილული მასალა მოწმობს, XIX ს-ს II ნახევარში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მთავარი სამიზნე გახდა იდენტობის ენობრივი მახასიათებელი. რუსიფიკაციის პოლიტიკას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მაშინდელი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. ამ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული იაკობ გოგებაშვილი. იგი, ერთი მხრივ, დაუღალავ მოღვაწეობას ეწეოდა სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად მშობლიური ენის სიყვარულის გასაღვივებლად და გასაძლიერებლად. მეორე მხრივ, ყმაწვილებისთვის მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო „დედა ენათი“, ქართული იდენტობის „აღუხოცველი ძეგლით“²¹, აღძრა ხალხში დიდი ნაციონალური სენტიმენტები და ქართული იდეის გარშემო გააერთიანა ქართული საზოგადოება.

მეხუთე თავი.

ქართველთა რელიგიური იდენტობა

²¹ეს სიტყვები ი. გოგებაშვილს ეკუთვნის და იყენებს იმერეთის მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის აღსანიშნავად (ივერია 1896, №56).

იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით

ქართული იდენტობის ისტორიის ანალიზის დროს, სხვა იდენტობრივ ნიშნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია რელიგიას, როგორც ქართველობის შენარჩუნების უმთავრეს მახასიათებლს. ამ თვალსაზრისით წინამდებარე თავში წარმოდგენილია რელიგიის როლი ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით საზოგადოებრივ პერცეფციებზე, გრძნობებზე, ღირებულებებზე დაკვირვებით. ამგვარი ანალიზი შესაძლებლობას მძლევს განსხვავებული კუთხით წარმოვაჩინო ი. გოგებაშვილის დამსახურება.

როგორც ცნობილია, XIX ს-ის მეორე ნახევარში, რუსული მმართველობის რეაქციის პერიოდში განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართული ეკლესია. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნე, წინა თავებში, ი. გოგებაშვილი განსაზღვრავს ქართველთა სამოქმედო მიმართულებას, რომელთა შორის ერთ-ერთ უმთავრეს ბურჯად ასახელებს ეკლესიას. ამიტომაც აქტიურად მსჯელობს რელიგიური თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე თუ მათი გადაჭრის გზებზე და მის მნიშვნელობაზე იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

კათალიკოსობის გაუქმებამ და ეგზარქოსობის შემოღებამ, სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდა და სწავლა ააცდინა თავის ნამდვილ მიზანს – „ქართველ ხალხისათვის ჭეშმარიტის მოძღვრების მომზადებას – და დააყენა გადაბირების გზაზე“.

ამ დროიდან დაარსდა ჩვენში სასულიერო სასწავლებლების ნაცვლად, სქოლასტიკური (ანუ ფორმალური) – ბერძნულ-ლათინური სემინარიები.

ჩვენი ქვეყნის სასულიერო საქმეების წარმართველად დაინიშნა უმაღლესი სინოდი, რომელმაც რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა ჩვენი სემინარიები.

ეგზარქოსები თუ რაიმე გონიერს მოსაზრებას წარადგენდნენ ხოლმე სინოდში, ისეთ მოსაზრებას, რომელიც ზედგამოჭრილი იყო ჩვენს განსაკუთრებულს ცხოვრებაზედ, უარი მოსდიოდათ – იმ საბუთით, რომ თქვენის წადილის შესრულება საზოგადო წესდების ჰარმონიას დაფუძნავსო, თითქოს ერის ცხოვრება იყოს დაარსებული წესდებისათვის და არა წესდება ცხოვრებისათვის (ივერია 1882, №2).

სასულიერო სასწავლებლებში აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სასწავლებლები განსაკუთრებით საჭიროებდნენ დედა ენაზე სწავლებას, რადგან სასწავლებელს უნდა აღეზარდა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრები. სულიერი მოძღვრები ხომ ყველაზე მეტად იყვნენ დაახლოებულნი ხალხთან, მუდამ ხალხში ტრიალებდნენ.

ყოველი წვერი სამწყსოსი აკვნიდგან დაწყობილი ვიდრე სამარემდის მოძღვრის გავლენის ქვეშ არის. ამ გავლენას შეუძლიან დიდი ნაყოფიც მოიტანოს და დიდი ვნებაცა. თუ მოძღვარი შეკავშირებულია ერთან მისის წარსულის და აწმდგომის ცოდნით, მის ენის და ლიტერატურის შეთვისებით და აღზრდილი აქვს გულში სიყვარული და პატივისცემა თავის ხალხისა, ღმერთმა თქვენ ნუ მოგაკლოთ ის სიკეთე, ის ნუგეში, ის შვება და ლხენა, რომელსაც იგი ხალხში მოჰფენს (ივერია 1882, №2).

მაგრამ ეროვნული საუნჯის ცოდნას და თავისი ერის პატივისცემას მოკლებული მოძღვარი დიდ ზიანს მიაყენებდა თავის სამწყსოს. მოისპობოდა სულიერი კავშირი მოძღვარსა და ერს შუა. სულიერი მოძღვრების ხალხთან სიახლოვე რწმენის განმტკიცების, საერთოდ რელიგიური იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. თვითონ მოციქულებიც კი მას შემდეგ იწყებდნენ სახარების ქადაგებას რომელიმე ერში, როდესაც შეისწავლიდნენ მის სამშობლო ენას. მათი ქადაგება უფრო ნაყოფიერი იყო ხალხთან კავშირით და ხალხის ენის მარჯვე ცოდნით.

ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში სწორედ, გაუკულ-მართებული სწავლების შედეგად, საზოგადოებას უბრუნდებოდა ყოველი ეროვნული საუნჯის ცოდნას მოკლებული მოძღვარი, რომელიც თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ

ჩვენს სასწავლებლებს დავიწყებული ჰქონიათ მომავალი მოძღვრისთვის უსაჭიროესი საგანი. საფუძვლიანი ცოდნა ხალხისა, რომელშიაც მან უნდა იმოქმედოს, მისი ლიტერატურისა, მხოლოდ ეს ცოდნა სდებს მჭიდრო კავშირს ხალხსა და სულიერს მწყემსს შორის. მხოლოდ ამ ცოდნით აღჭურვილს მოძღვარს შეუძლიან ნაყოფიერად აღასრულოს თავისი მაღალი მოვალეობა, იქონიოს კეთილი ზემოქმედება ხალხზედ (დროება 1881, №109).

XIX ს-ის 60-იან წლებში ეგზარქოს ევსევის შეუნიშნავს ის გარემოება, რომ ქართველი მღვდლები არამცთუ ვერ აღავლენდნენ ქადაგებას ქართულ ენაზე, არამედ საეკლესიო წიგ-

ნებს ბორძიკით კითხულობდნენ და წინადადება წამოუყენებია თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების თაობაზე, თუმცა მთავრობისაგან უარი მიუღია. სინოდის მაშინდელ ობერ-პროკურორის გრაფ ტოლსტოის ჩინოვნიკებს უსარგებლოდ მიუჩნევიათ ქართული ენის კათედრის დაარსება. მაგრამ მას შემდეგ, რაც სინოდის ობერ-პროკურორი შეიცვალა, ი. გოგებაშვილი საკითხის ხელახლა აღძვრის – სემინარიის რეორგანიზაციის და ქართულ ენაზე სწავლების შესახებ, წინადადებით გამოდის (დროება 1881, №109; ივერია 1882, №2).

მოგვიანებით ისევ სკოლებში განათლების საკითხზე მსჯელობისას, ი. გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს საღმრთო სჯულის სწავლების მნიშვნელობაზე:

„იგი უნერგავს გულში მოსწავლეთ სარწმუნოებას, განუმტკიცებს და განუწმენდს ზნეობას და ამასთან უხსნის ხელოვნებითს გემოს და ნიჟსა, რადგან საღმრთო წერილი ხელოვნური ელემენტით სავსეა“ (ივერია 1892, №23).

მაგრამ ამ ფასდაუდებელი სიკეთის წყაროდ საღმრთო სჯული იქცევა მხოლოდ და მხოლოდ დედა ენაზე სწავლების შედეგად. საგნის დედა ენაზე სწავლების უფლებას აძლევდა მთავრობისგან დადგენილი ოფიციალური გეგმა კავკასიის სკოლებისათვის. მაგრამ გარუსების აქტივისტები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს დედა ენაზე სწავლებას. ერთ-ერთი ასეთი აქტივისტი იყო ფ. ლევიცკი, რომელსაც არ მოსწონდა ეს უფლება და მასწავლებლებს ავალდებულებდა მეორე წლიდან საღმრთო სჯულის რუსულ ენაზე სწავლებას:

„ამისთანა სწავლება არამც თუ სარწმუნოებას და ზნეობას არ ჩაუნერგავს ბავშვებს, არამედ დაუბზობს გულსაცა და გონებასაცა, თვით საღმრთო სჯულსაც შეაძულებს...“ – აღნიშნავს ი. გოგებაშვილი. ე. ი. სკოლის სრულ უნაყოფობას გამოიწვევდა (ივერია 1892, №23).

არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი იყო ზრუნვა სახალხო განათლებაზე, სკოლების დაარსება-გამრავლებაზე. სკოლების გახსნა არავითარ პრობლემას წარმოადგენდა საერო პირებისგან განსხვავებით, სამღვდელოებისთვის. მათ უფლება ჰქონდათ დაუკითხავად გაეხსნათ სკოლები. ამ უფლებას იყენებდნენ ი. გოგებაშვილის მითითებით, გასული საუკუნის დამლევს სასულიერო პირნი, მრავლად ხსნიდნენ და მთელი საქართველო მოფენილი იყო სკოლებით. პუბლიკაციის გამოქვეყნების დროს კი რადიკალურად განსხვავებული ვითარება ყოფილა. „საქართველოში არ მოიძებნება ერთი სკოლა, ერთი სასწავლებელი, რომელიც გახსნილი იყოს სამღვდლო პირის კერძო თაოსნობით, მეცადინეობით და სადაც იღწვოდეს ეს პირი სწავლისათვის, განათლებისათვის“ – აღნიშნავს გულისტკივილით ი. გოგებაშვილი (დროება 1881, №109).

იგი, ერთი მხრივ, ქართულ სამღვდელოებას ახსენებს თავის დანიშნულებას „ვალდებულია შეუწყვეტლივ ჰფინოს ხალხში ნათელი სახარებისა, დაუღალავად ავრცელოს საზოგადოებაში განმაცხოვრებელი ჭეშმარიტებანი მაცხოვრის სწავლისა“ (დროება 1881, №109); მეორე მხრივ, ცდილობს მათში აღძრას და გააძლიეროს ვალდებულების შესრულების სურვი-

ლი. ამ მიზნით უმართავს საუბრებს ისტორიულად სამღვდელოების დამსახურებასა და ღვაწლზე:

„ძველის საქართველოს სამღვდელოება ჰბრწყინავდა ერთი მხრივ ღრმა სარწმუნოებით მაცხოვრისადმი და მეორე მხრივ მხურვალე სიყვარულით მამულისადმი. ეს ორი მაღალი გრძნობა, ერთი ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული, შეადგენდა იმ ზნეობრივს ძალას, რომელმაც ჩვენს სამღვდელოებას მისცა შეძლება შეუდარებელი დამსახური გაეწია საქართველოსათვის თხუთმეტ-თექვსმეტის საუკუნის განმავლობაში და დაეცვა იგი შემუსვრისაგან მტერთა ხელით“.

სამწუხაროდ, ეს ორი გრძნობა იაკობ გოგებაშვილის თანამედროვე სამღვდელოებაში მისუსტებული იყო, შეინიშნებოდა მამულისა და სარწმუნოებისადმი გულგრილობა. თუმცა, ჩვენდა სასიხარულოდ აღმოუჩენია ქართულ სამღვდელოებაში ისეთი გვამნი, რომელნიც ძველებურ მამებს მოაგონებდა სარწმუნოებით და მამულიშვილობით. ერთ ამგვარ პირად ასახელებს დეკანოზ პეტრე დავითის ძე კონჭოშვილს, რომელსაც უმოგზაურია წმინდა მიწაზე და აღუწერია მოგზაურობის შთაბეჭდილებები. წიგნი საყურადღებო იყო იმითაც, რომ ავტორი ნანახი შთაბეჭდილებების გარდა, შეეხება წინანდელი მოგზაურების ჩანაწერებსაც, რომელშიც დაცული ყოფილა ქართული საზოგადოებისათვის უცნობი ძვირფასი ცნობები. თხზულება შეადგენდა სასულიერო ლიტერატურის განძს. აღნიშულიდან გამომდინარე, ი. გოგებაშვილი ცდილობს წიგნის გაცნობის ინტერესი აღძრას მკითხველებში. მათ ყურადღებას იქცევს წიგნის სიიაფითაც. ესეც გარკვეულ წილად

ხალხში ამ წიგნის მოფენის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა.

წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ აღასრულებდა თავის მაღალს დანიშნულებასა. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰფინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შეჰქმნა სასულიერო ლიტერატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც-კი გახადა ასპარეზად სახარების ძლევამოსილი ქადაგებისა... (ივერია 1901, №110).

აგრძელებს ი. გოგებაშვილი მკითხველებთან საუბარს ეკლესიის როლსა და მნიშვნელობაზე.

სწორედ, ქართული ეკლესიის წყალობით სარწმუნოებრივი ელემენტის გაძლიერების შედეგად ამარცხებდნენ ქართველები ურიცხვ მტერს. რელიგია ცხოველ გრძნობად გადაიქცა და გახდა ქართველთა დარაზმულობის სიმბოლო ქვეყნის ტერიტორიული შენარჩუნებისათვის. რელიგიის დაცვას თან სდევდა იდენტობის დაცვა. ამ დაცვას და ბრძოლას სარწმუნოებისათვის საქართველოს არსებობის გაგრძელება მოჰყვა.

წერილში „სომეხთა ეკლესია“ (ცნობის ფურცელი 1892, №46) და „დღევანდელი მომენტი ქართველთა და სომეხთა ეკლესიისა“ (შრომა 1905, №51) ავტორი სომეხთა და ქართველთა ეკლესიის მართვა-გამგებლობის შედარებითი ანალიზით წარმოაჩენს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ერის წარმატებისათვის ეკლესიის დამოუკიდებლობა. უცხო იდენტობის მაგალითით ნაჩვენებია თუ რამდენად ძლიერია ერი თუ მასში ძლიერია თვითმოქმედების ძალა. ამ მხრივ სომეხების ეკლესი-

ის სიძლიერის ნიშნად თვლის თვითმოქმედების უფლების წყალობით სომეხთა ეკლესიის მეთაურად ხალხის საუკეთესო შვილის ყოლას, რომელიც თავის სამწყსოსთან შეკავშირებულია სისხლით და ხორციით, სულით და გულით, ხასიათით და მისწრაფებით... ერის რჩეული ამიტომაცაა ჩამდგარი ერის სამსახურში. ქადაგებს არა გაუგებარ ენაზე, არამედ ხალხის დედა ენაზე. ორი დიდებული საქმის მსახურია „ღმერთის და სომხის ერის“, რომელსაც ამსახურებს მთელ თავის სამღვდელოებას და თავისი სამწყსოს თითოეულ წევრს. მამულიშვილი კათალიკოსი თავის თანაშემწეებს ირჩევს საუკეთესო მამულიშვილთაგან. მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი სომეხთა არიან თავისი ერის ღვიძლი შვილები. ისინი არიან მხნე მცველნი, ერთი მხრივ, თავისი სამწყსოს სასულიერო ინტერესების, მეორე მხრივ, ეროვნულ თვისებათა და საუნჯეთა. ეპისკოპოსნი თავის ხელქვეითებს ირჩევენ აგრეთვე მამულიშვილთა შორის. სომხის სამღვდელოთა მთელი დასი ხორცია ხალხის ხორცისაგან, სისხლია ხალხის სისხლისაგან, და რადგანაც ეს მახლობელი მწყემსნი ხალხისანი, ინიშნებიან მამულიშვილების მიერ და მუდამ იმათის ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ არიან, ამიტომ ერთგულად ემსახურებიან თავის სამწყსოს სიკეთესა, სულიერსა და ხორციელსა, იმისს კეთილდღეობასა და ბედნიერებასა. სასულიერო მამულიშვილთა აღსაზრდელად საჭიროა სასულიერო ეროვნული სწავლა-განათლება. სწორედ ეს კარგად გაუცნობიერებიათ სომეხებს და ამან განაპირობა მათი წარმატება. სასულიერო სასწავლებლებში სწავლა დედა ენაზე გაუმართავთ და მოსწავლეებს უნერგავენ კეთილშობილურ გრძნობა-მისწრაფებებს.

სასულიერო სემინარიაც ეროვნულ ნიადაგზე გაუმართავთ. ეს სასწავლებელიც თავის მოწაფეებს მომავალ მწყემსებს ერისას გონებისა და გულის ათასის ძაფით მტკიცედ აკავშირებენ სომეხთა ერის აწმყოსა და წარსულ ცხოვრებას. თავის ერის ენა, მოთხოვნილება, ხასიათი, ღირსებანი და ნაკლულევანებანი ამ მომავალ მამებს ერისას ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი თავის ეროვნულ საშუალო სასწავლებლებში. ეროვნული მიმართულება მძლავრობს ექმიანობის სასულიერო აკადემიაშიც. ამ ეროვნული სასულიერო განათლების საშურველი შედეგია სომხური სასულიერო მწერლობა, ხალხის ცხოვრებას მისადაგებული ქადაგებები. ეს ქადაგებები იბეჭდება ყოველთვიურ სასულიერო გამოცემაში. ზნეობრივი ხასიათის წიგნაკები ათასობით იფინება ხალხში, რომელიც აუკეთესებს მათ ხასიათს, აყვარებს თავის ეროვნებას. ეკლესიის მეთაურის დამსახურებაა სომხური ლიტერატურის აღორძინება. ავტორი მის მოღვაწეობას ანტონ პირველი კათალიკოსის მოღვაწეობას ადარებს. ანტონ პირველს ქართული ლიტერატურა ორმოცი თხზულებით გაუმდიდრებია (ცნობის ფურცელი 1892, №46).

ამ მაგალითით ი. გოგებაშვილი ცდილობს აჩვენოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობა და მოუწოდებს შეუპოვარი ბრძოლისაკენ ქართველებს. ამავე საკითხზე აგრძელებს მსჯელობას პუბლიკაციაში „ორი რუსული გამოცემის (ჟურნალ „Вопрос Жизни“-ს და გაზეთ „Московския Ведомости“-ს) აზრი ქართულ სამღვდელოებაზე“. ეს არის ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი ქართულ სამღვდელოებაზე, როგორც ჩანს, რუსების მიერ დაწერილი. ჟურნალს პროგრესულ გამოცემად ასახელებს, გაზეთს რეტროგრადულ გამოცემად. რეაქ-

ციონული გაზეთის პუბლიკაცია სამღვდელოებას მოიხსენიებს დიდის ძაგებით, თითქმის ლანძღვა-გინებით აბრალებს მოლა-ლატეობას, სეპარატისტობას და დაჟინებით თხოულობს რეპრესიული ზომების მიღებას, პროგრესული ჟურნალი ქართველ სამღვდელოებას ურჩევს დაადგეს ნათელ გზას. ქართულ სამღვდელოებას უწონებს კლერიკალური-ბიუროკრატიის ბატონობის თავიდან მოშორების სურვილს, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს, სურვილს იყოლიოს ხალხის არჩეული კათალიკოსი. „თვითმმართველობა და ავტონომია ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება პროგრესული ღონისძიება, მეტად სიმპატიური და მიმზიდველი ყველა ადამიანისათვის. მაგრამ იქნება არსად ისე საჭირო არა ყოფილიყოს ამ პრინციპის განხორციელება, როგორც ჩვენი ეკლესიის სფერაში. იგი იმყოფება, აგერ ერთი საუკუნე მეტია, იმისთანა მონობაში, რომელიც არ გამოუცდია არც ერთს წარმართ სარწმუნოებასაც-კი ქრისტიანულს სახელმწიფოში. გადაგვარება, დენაციონალიზაცია – აი რას ნატრულობდნენ, რას მისდევდნენ ჩვენი ეკლესიის უცხო მმართველნი ასის წლის განმავლობაში. დროა თავიდან ავიშორეთ ეს სენი, დროა კლერიკალურის ბიუროკრატიის ბრჭყალებიდან განვთავისუფლდეთ და მოვიპოვოთ თავისუფლება.“ ამის ერთადერთი წამალია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელსაც ერთხმად ითხოვს იმიერ და ამიერ საქართველოს სამღვდელოება. სომეხთა სამღვდელოებამ ეს შეძლო მთელი სომხობის მხარდაჭერით და მონაწილეობით. ქართველი საზოგადოებაც ასე უნდა მოიქცეს, გააძლიეროს მოქმედება ნაციონალური ეკლესიის აღსადგენად (ივერია 1905 №199).

ი. გოგებაშვილის თანამედროვეობაში რუსული მმართველობის შედეგად, ქართველებში, რომელთა ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე ქართველობა ქრისტიანობასთან ასოცირდებოდა, იმატა სარწმუნოებრივმა გულგრილობამ. ქართული ეკლესია დღითიდღე ცარიელდებოდა, იშვიათად ისმოდა სახარების ქადაგება. თანდათან ქრებოდა სარწმუნოებრივი გრძნობა, ეცემოდა ზნეობა. ხალხის ზნეობის, ეთიკის სათავე არის სკოლა და ეკლესია. აუცილებელი იყო სკოლას და ეკლესიას დაებრუნებინა თავისი მაღალი დანიშნულება. ეკლესიის ასეთი უნუგემო მდგომარეობა განპირობებული იყო სამღვდელოების განათლების მხრივ უკიდურესი დაქვეითებით. სამღვდელოების განათლების ასამაღლებლად აუცილებელი იყო სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება ქართულ ენაზე (ივერია 1901, №116, №117).

რელიგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გამოსწორების ძირითად გზად ი. გოგებაშვილი მიიჩნევს საქართველოს ავტოკეფალიის მოპოვებას. კვლავაც აგრძელებს მსჯელობას ამ საკითხთან დაკავშირებით. ქართული ეკლესიის განახლება-აღორძინების საკითხმა XX ს. პირველ ათწლეულში ერთიანად მოიცვა ქართული საერო თუ სასულიერო საზოგადოებრიობა, რომლებმაც 1905 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პეტიციით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ი. გოგებაშვილის რუსულ გაზეთ „Возрождение“-ში (1905, №9) გამოქვეყნებული წერილი „ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის (ისტორიული ცნობა)“. ვსარგებლობ ი. გოგებაშვილის თხზულებების მეოთხე ტომში გამოქვეყნებული გ. შალამბერიძისეული თარ-

გმანით (გოგებაშვილი 1955: 159-161). ი. გოგებაშვილი, იმის საჩვენებლად თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკლესიის დამოუკიდებლობა ქართველობისთვის, მკითხველებს აწვდის ისტორიულ ცნობებს ქართული ეკლესიის შესახებ. გამოჰყვამს სამ პერიოდს: ანტიოქიურს, ნაციონალურს და რუსულს. ანტიოქიის პატრიარქისადმი დაქვემდებარების მთავარ მოტივად ასახელებს ეკონომიკურ დაინტერესებას. აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ანტიოქიის პატრიარქი დიდძალ სარგებელს იღებდა ფულადი სახით და ფლობდა შემოწირულობის სახით ბოძებულ მამულებს. ანტიოქიის პატრიარქი, ი. გოგებაშვილის თვალსაზრისით, ამ მამულების დაკარგვის შიშით რთავს მირონის დამზადების ნებას ქართველებს. მირონის დამზადების უფლების მოპოვებით კი ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქართული ეკლესიის ნაციონალურ პერიოდს ცვლის რუსული პერიოდი და იწყება ქართული ეკლესიის ახალი ფაზა. რომლის დროსაც ქართული ეკლესია ძალით დაუქვემდებარეს რუსეთის სინოდარულ კანტორას. ქართული ეკლესიის მეთაურად დასვეს ეგზარქოსი, რომლის უპირველეს მიზანს ქართული ეკლესიის დენაციონალიზაცია შეადგენდა. აარსებს სქოლასტიკურ სასულიერო სემინარიას, სადაც ყველა საგანი მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე ისწავლებოდა რუსი მასწავლებლების მიერ. არც ერთხელ არ ყოფილა ეგზარქოსად დანიშნული ქართველი, თუმცა ქართველებს შორის იყვნენ ღირსეული მაღალგანათლებული სასულიერო პირები, მაგალითად, იმერეთის განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი მოჰყავს. „ეს სისტემა ქართული ელემენტის გაუქმებისა და

შევიწროებისა მიყვანილი იყო ყველაზე მძაფრ უკიდურესობამდე“ (გოგებაშვილი 1955: 159-161).

ეს იყო მიზეზი, რისთვისაც უნდა გაერთიანებულიყო ქართული საზოგადოება ქართული იდეის, ამ შემთხვევაში საუბარია ქართული ეკლესიის ნაციონალიზაცია/ავტოკეფალიისათვის.

ი. გოგებაშვილს უყურადღებოდ არ რჩება არცერთი მცირე თუ დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვეყნის წარმატებას. განიხილავს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დებულების პროექტს, რომლის მიხედვითაც საარჩევნო სფეროში ერთგვარი რეფორმების გატარების შედეგად სახელმწიფო საბჭოს წევრების სანახევროდ განახლების შესაძლებლობა შეიქმნა. ეკლესიებს მიენიჭათ უფლება იყლიონ თავიანთი წარმომადგენელი საბჭოში. ამგვარი უფლება მოუპოვებია სომეხთა ეკლესიას. მხოლოდ ქართული ეკლესიის წარმომადგენელი არსად ჩანდა. ქართულმა სამღვდლოებამაც უნდა მოიპოვოს უფლება იყლიოს საბჭოში თავისი წარმომადგენელი – ორი დასავლეთ საქართველოდან და ერთი აღმოსავლეთ საქართველოდან: „ეს სამი დეპუტატი მხარს მისცემს ჩვენებურს საერო დეპუტატებს და დაეხმარება პროგრესიულ რეფორმების შემოღებას საზოგადოდ რუსეთში და კერძოდ ჩვენში“ (ივერია 1905, №205).

1905 წელს რევოლუციური მღელვარებების ფონზე, რუსული მმართველობა იღებს საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარების გადაწყვეტილებას. რეფორმის შედეგად, არქიეპისკოპოსის ნაცვლად ქართული ეკლესიის მეთაური იქნებოდა მიტროპოლიტი, ეყოლებოდა ერთი ოთხად უფრო

დიდი სამწყსო, რადგან მის მფლობელობაში შევიდოდა ჩრდ. კავკასია. რეფორმა, რომლის გატარებასაც გეგმავდა მართებლობა, ი. გოგებაშვილის აღშფოთებას იწვევდა, ვინაიდან მიტროპოლიტი აღიჭურვებოდა ავტონომიური უფლებებით და შინაურ მართვაში იქნებოდა დამოუკიდებელი, რის გამოც მიტროპოლიტზე საჩივარიც კი ვერ დაიწერებოდა თუ იგი ეგზარქოსზე უფრო მდევნელი იქნებოდა. ე.ი. ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი მიტროპოლიტი, ბიუროკრატიული დემოკრატია არავითარ სარგებლობას მოუტანდა ქართულ ეკლესიას. საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა სჭირდებოდა. სამართლიანად შენიშნავდა, რომ ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა ზევიდან არ დაუბრუნდებოდა „ვინც მონობა დაუმყარა, მას მხოლოდ შეუძლიან შესცვალოს ფორმა მონობისა და თავისუფლებას-კი არასდროს არ მიანიჭებს. ეს თავისუფლება უნდა თვითონ მან მოიხვეჭოს, თვითონ მან უნდა აღადგინოს უკანონოდ და უნამუსოდ გაუქმებული ავტოკეფალია“ (ცნობის ფურცელი 1905, №2942).

ი. გოგებაშვილი შეუდრეკელი თავგამოდებით იცავს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღვლენის საკითხს, ვინაიდან ეროვნულობის ერთ-ერთ მთავარ ბურჯად რწმენის შენარჩუნებას მიიჩნევს. ე.ი. წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღვლენისთვის ბრძოლა ხდება რელიგიური იდენტობის, საერთოდ, ქართველობის შენარჩუნების ტოლფარდი.

მეექვსე თავი.
ისტორიული მახსოვრობა და ქართული იდენტობა
იაკობ გოგებაშვილის
პუბლიცისტური წერილების მიხედვით

ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ავტორი ე. სმითი თავის ნაშრომში ნაციონალიზმის შესახებ მიუთითებს „ნაციონალიზმი უნიკალური ნაციონალური იდენტობის ხელახალ აღმოჩენასა და განახლებას მოითხოვს; ეს წინაპართა სამშობლოში მოსახლე ისტორიულ-კულტურულ ერთობაში ავთენტური ფესვებისადმი დაბრუნებას ნიშნავს. ნაციონალისტთა-

თვის ნაცია, როგორც კულტურის ფორმა, ის ერთობაა, რომლის წევრებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი კულტურული ერთიანობა და ნაციონალური ისტორია და თავდადებით იღწვიან ვერნაკულური ენების, ტრადიციების, ხელოვნების დარგების, ლანდშაფტის, ნაციონალური განათლებისა და ინსტიტუციების მეშვეობით ნაციონალური ინდივიდუალობის განვითარებისათვის“ (ჩხარტიშვილი 2004: 62).

ე.ი. ე. სმითის შეხედულებით, იდენტობის ისტორიული ფესვებისადმი მიბრუნება/ძიება აუცილებელია ნაციონალური ერთიანობის შესაქმნელად.

ისტორიული მახსოვრობის გააქტიურება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ ბეჭდურ მედიაში, კერძოდ, ი. გოგებაშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. მისი მართებული შენიშვნით, ისტორიულ მოთხრობებს შეუძლია მისცეს ნაციონალური გაკვეთილები და გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ცნობიერების ამალგების თვალსაზრისით. ისეთ ვითარებაში, როგორშიც იყო საქართველო ი. გოგებაშვილის თანამედროვეობაში, ეროვნული სენტიმენტების გაღვივება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ ხასიათის გამოკვლევების შექმნა აუცილებლობით იყო განპირობებული, ვინაიდან, ერთი მხრივ, საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულს ემუქრებოდა საფრთხე, ამავე დროს, რუსული მმართველობის შედეგად, შეინიშნებოდა ეროვნული საკითხებისადმი ქართველთა ინდიფერენტული მიდგომა. როგორც ზემოთ მივუთითე, საზოგადოებაში ნაციონალური გრძნობების აღძვრის და გამოფხიზლების მიზნით ცოცხალი

ისტორიული ფაქტების პოპულარიზაციამ კრიტიკული გამოხმაურება ჰპოვა ბექდურ მედიაში, რომელიც აღნიშნული მაქვს „მამული მამულიშვილობა იდენტობის“ განხილვისას. აქ ისევ არ შევჩერდები ამ საკითხზე. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, დიდი იყო ამგვარი ნაშრომების როლი ქართული ერთობის შექმნაში. წინამდებარე ნაშრომი ამის თვალსაჩინო დადასტურებაა.

ზემოაღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მეთვრამეტე საუკუნეში ქართველთა ჩამორჩენილობის მიზეზების განხილვისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები. საზოგადოების ნაწილი უმეტესად ბაგრატიონთა სამეფო სახლის დაწვრილმანებას, გაფუქსავატებას და დაუძღურებას მიაწერდა მთელი ერის ჩამორჩენას და ამას საზოგადო სენად მიიჩნევდა. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ განხილვებში ი. გოგებაშვილი. წერილში „რანი ვიყავით გუშინ?“²² ავტორი ჩამორჩენილობის მიზეზებს ეძიებს არა წარსულში, არამედ თანამედროვეობაში²³. მას სწამს, რომ ახალი გარემოებებით მდგომარეობაც შეიცვლება და ქვეყანა პროგრესის გზას დაადგება.

განიხილავს ერეკლე მეფის ეპოქას. მეფის სისუსტეებს იმერეთის ტახტის შემოერთების საკითხში. აღნიშნავს იმასაც, რომ მართალია, ერეკლე მეფე წინ აღუდგა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას, იმ მიზეზით, რომ თავის შვილიშვილისთვის არ ეწყენინებინა და არ მოეკლო იმერეთის ტახტზე “ვარფაში”. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა,

²²ამავე ხასიათის წერილს აქვეყნებს „დროებაში“ სათაურით „ზოგიერთი შენიშვნები“ (დროება 1880, №31, №32, №33).

²³ წერილს რეცენზია მიუძღვნა სტეფანე ჭრელაშვილმა (იმედი 1881. №10-12: 67-97).

აღნიშნავს ავტორი, რომ თვით საქართველოს ტახტის მემკვიდრემ გიორგიმ „უბრალო უსიამოვნების გამო მამასთან, განსაცდელის ჟამს არ მიაშველა ერეკლეს ქიზიყიდან ჯარი სპარსელების წინააღმდეგ და შეიქმნა თავისი ქვეყნის ალა-მაჰმად-ხანისაგან აოხრების მიზეზი; იმის მაგივრად რომ ქვეყანას პატრონად მოვლინებოდა, გიორგი მეფე მთელ თავის დროს, ერთი მხრივ, ზაქის ხორცის შექცევაში, მეორე მხრივ, ხატების მთხვევასა და ბერულ ჩხირკედელაობაში ატარებდა, იმ დროს, როდესაც საქართველოს ყოველი მხრით აოხრებდა მტერი“. ასევე მკაცრად აფასებს გიორგის მემკვიდრეს დავითს ი. გოგებაშვილი. იმის ნაცვლად, რომ ქვეყნისთვის ეპატრონა, თავის რენეგატობის უფლებას პიროვნული ჯავრის ამოსაყრელად ხარჯავდა და საპყრობილეში სვამდა შორსმჭვრეტელ მამულიშვილებს. სამეფო სახლის სხვა წევრებიც ერთმანეთის მტრობით ყოფილან დაკავებულნი და ამ მიზეზით საქართველოს მოსისხლე მტრებსაც კი უკავშირდებოდნენ. ავტორი ასკვნის, რომ ამ დროისათვის ბაგრატიონთა სამეფო გვარი ქვეყნის სიკეთეს არ ემსახურებოდა, ზრუნავდა მხოლოდ წვრილმან პიროვნულ სარგებლობაზე და მსხვერპლად სწირავდა ერის სარგებლობას, ხალხის ინტერესებს.

ვაჟკაცობა, გულადობა და მამულისათვის თავდადება მძიმე ისტორიულ წარსულს ვერ შეეცვალა და ძველებურად ღვიოდა ქართველთა გულში. წარსულ საუკუნეში რუსეთის ჯარზე მამაცი არ მოიპოვებოდა, მაგრამ ქართველებმა არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი მამაცობით და შეუპოვრობით უკან არ ჩამორჩებოდნენ სუფოროვის სკოლაში გამოწვრთნილ თანამორწმუნე ლაშქარს. ამ მხრით მეტად შესანიშნავია

ასპინძის ომი და ალა-მაჰმად-ხანთან ბრძოლა, რომლის დროსაც გმირული თავდადება გამოიჩინეს ქართველებმა მამულისათვის: „ვფიცავ ჩემს ღმერთსა, რომ ჩემს მტრებში ჯერ ამისთანა მამაცი და შეუპოვარი მეომარნი არ მინახავს“, – წამოიძახა ალა-მაჰმად-ხანმა, როცა ნახა ერთმა მუჰა ქართველთა ჯარმა პირველი შეტევით მუსრი გაავლო მის უმრავლეს ლაშქარს. როგორც სხვა დროს ამ ბრძოლაშიაც გლეხთა გამოიჩინეს ისეთივე თავგანწირული ვაჟკაცობა და მაღალი სიყვარული მამულისა, რომლითაც იყო შემკობილი თავადაზნაურობა. ამის მაგალითია სამასი არაგველის მამულისათვის ვაჟკაცური თავდადება. ევროპაშიც განთქმული ყოფილა ქართველთა ვაჟკაცობა და მამაცობა. თვით ფრიდრიხი, სამხედრო გენიოსი, ძღვევამოსილი მებრძოლი მთელი ევროპისა, თავის ჯარს ქართველების მამაცობას მაგალითად უდებდა და ეუბნებოდა: „იბრძოლეთ ისე შეუპოვრად, როგორც იბრძვიან ერეკლეს ივერნიო“.

ძალიან საგულისხმოა ავტორის ცდაც მამულისათვის თავდადებულ გმირთა გალერეას შექმნათოს ხალხის წარმომადგენლები. მარტო მეფეები და თავადაზნაურობა კი არ იყვნენ მამულისათვის თავდადებულნი, არამედ გლეხობაც.

თუმცა საქართველოს მდგომარეობა დიდ ხანს იყო იმგვარი, რომ ითხოვდა მხოლოდ ხმლის მღელვარების ხელოვნებას და სრულიად არ უწყობდა ხელს პოლიტიკური აზრების აღზრდას, მაგრამ მაინც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველოს ჰყავდა შორს-გამჭვრეტელობით და ნამდვილი სახელმწიფო ჭკუით შემკობილი მამულიშვილები, რომელთაც კარგად ესმოდათ, ერთი მხრივ, რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დიდი მნიშვნელობა, მეორეს მხრივ, გაცნობი-

ერებული ჰქონდათ, რომ ეროვნების გზის დატოვება, ნაციონალურთა ძალთა უარყოფა, თვითმმართველობის გაცვლა შინაგან და გარეგან დამოკიდებულებაზე, ერს აყენებს დაუძლებლობის, დაწვრილმანების გზაზე, მიჰყავს იგი უკან ყოველმხრივ, და თუ დროზე არ უშველა ამ პრობლემას, არ მოიპოვა სრული თვითმმართველობა, არ დაისაკუთრა შინაური ბატონობა და არ მიეცა ნაციონალურ ძალთა და ღონეთა გაძლიერებასა და აღორძინებასა, უსათუოდ გამოიბრდებოდა, გაფუქსავატდებოდა, დაეცემა, დაკარგავს გონების და ზნეობის ძალას, მოაკლდება თავისუფლებასა და გარდაიქცევა პროლეტარიატის ნახირად (ივერია 1881, № 8).

აქაც, როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით გამოკვეთილია ნაციონალური ავტონომიურობის იდეალი.

აქვე ეხება ი. გოგებაშვილი ს. ლიონიძის პოზიციას. სოლომონ მსაჯული მამულიშვილური, წანასწარმეტყველური შეუცდომლობით უხატავს მეფეს საქართველოს მომავალ ბედს, როგორც მიუცილებელ შედეგს იმ წინდაუხედავი პოლიტიკური წადილისა, რომელიც გაუზიარა ერეკლე მეფემ მას.

განხილულია სოლომონ ლიონიძის მოქმედება მეფე გიორგის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის გარემოება მომეტებულად აირია. სოლომონ ლიონიძე

„ვითარცა ლომი გარემოცული მტერთაგან, იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, თვალებს უხელდა დაბრმავებულთა, აფხიზლებდა მიძინებულთა, გონზე აყენებდა მოტყუებულთა და შეარიგებდა მემბოხეთა“.

ს. ლიონიძის პატრიოტული სიმხურვალე იმდენად ძლიერი იყო, რომ გადაედო თვით „იოანე ორბელიანს, სარდალს, დავით მემკვიდრის მტერს და დაავიწყა მისი პიროვანი მტრობა. ვუწოდებ მას, პატროსნებისა გამო მაღლისა დროთა

ამათ, ფაბრიციოს ქართველთა“, ამბობს ავტორი „და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიის კატონად“ (ივერია 1881, № 8).

ავტორი ეხება მეთვრამეტე საუკუნეში ქართველების განათლების საკითხსაც. წერილში ვრცლად არის მიმოხილული ამ თვალსაზრისით არსებული ვითარება საქართველოში, წარმოჩენილია საერო თუ სასულიერო პირების დამსახურება ამ საქმეში. ხაზგასმულია, რომ სწავლება დედა-ენაზე წარმოებდა და სასულიერო სემინარიების მთელი სისტემა ნაციონალურ ნიადაგზე იყო დამკვიდრებული. სასულიერო სემინარიები ზრდიდა ისეთ პირებს, რომლებიც შემდგომ გამოდიოდნენ შესანიშნავი სწავლულნი, სახელოვანი მქადაგებელნი და ჭეშმარიტი მწყემსნი ერისა. საინტერესო ცნობებს მოიხმობს „გიორგი მეცამეტის ცხოვრებიდან“. მიუთითებს, რომ თვით გიორგი მეფე დაივლიდა სასწავლებლებს, სცდიდა სწავლაში მოწაფეებს, ასაჩუქრებდა გამორჩეულებს და მამობრივ დარღვებას აძლევდა. ამ მაგალითების მოხმობით ადასტურებს იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ქვეყანა ღარიბი არ იყო ნასწავლი და განათლებული პირებით. სასულიერო წოდებას ამხნევებდა და ფრთას უშლიდა ის გარემოება, რომ მას თავს უდგა არა შორიდან გადმოვარდნილი პირი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ქვეყანასთან, რომელიც ავი თვალთ უყურებს ყოველგვარს ნაციონალურს, არამედ მამულიშვილი, შეკავშირებული თავის სამწყსოსთან სულის, გულის მრავალი ძაფებით, მოყვარე თავისი ქვეყნისა.

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მეთვრამეტე საუკუნის საქართველო, მიუხედავად ზემოთქმულისა, საღ

სახელმწიფო ორგანიზმს არ წარმოადგენდა. იყო დასუსტებული, მის შვილთა შორის დიდი იყო უმეცრება“, გავრცელებული იყო აზიური წესები. მაგრამ გულგატეხილი არ ყოფილა. დიდი იყო მონდომება მტკიცედ დასდგომოდა განათლების, თავისუფლების, პროგრესის გზას. ამისთვის საჭირო იყო „ერთობა ქართველთა ტომთა, მოკრება აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსი ერთის მძლავრის მარჯვენის ქვეშ“. მთელი ქართველი ერი, ყოველი მისი წოდება გრძნობდა ერთობის აუცილებლობას, მის დიდ სარგებლობას. გულით და სულით იყო მოწადინებული შეედგინა ერთი სახელმწიფო დაღესტნის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის კიდებამდის. ერთობას მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება, რომ გაუვალი კედელი, რომელიც აღმართა საქართველოსა და ევროპას შუა ოსმალეთის მფლობელობის დამკვიდრებამ შავ ზღვაზე, შემუსვრილ იქნა რუსეთის მიერ და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო, მძიმე, განიერ გზას საქართველოს ერის დაახლოება-დაკავშირებისათვის აყვავებული ევროპის ერებთან. ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ჩვენებს და ამიტომაც პირველივე შემთხვევისას მოითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას. ეს მოხდა 1790 წელს, როდესაც იმერეთიდგან დესპანები მოვიდნენ თბილისში. ამ დესპანების მოსვლა, სახელმწიფო კრება ერეკლეს სასახლეში, ცხარე ბაასი და ხანგრძლივი სჯა საქართველოს გაერთიანების შესახებ, ისეთი შესანიშნავი ფაქტია ჩვენს ისტორიაში, ისე ცხადად გვიხატავს, ერთი მხრივ, ჩვენი ერის გონიერებას და სახელმწიფო პოლიტიკას და მეორე მხრივ, სამეფო სახლის ეგოიზმს, წვრილმანობას, რომ დაწვილებით გადმოგვცემს

ყოველივე ამას ი. გოგებაშვილი, რათა თვალსაჩინოდ წარმოდგინოს მკითხველს არსებული ვითარება და არგუმენტებით დაასაბუთოს თავისი შეხედულება.

„ერთობას თხოულობდნენ ყველანი: გლეხნი, აზნაურნი, თავადნი, სამღვდელონი, იმერნი და ამერნი. თვით მთავართა გურიისა და ოდიშისათა სწყურიათ შეერთება მცხოვრებთა გლეხთაცა იციან და უხარიათ, ამერნიც ისეთივე მხნეობით და შორს გამჭვრეტელობით მოითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას, როგორც იმერნი“.

ჩამოთვლის „გიორგის მეცამეტის ცხოვრების“ მიხედვით იმერეთით ჩამოსულ მამულიშვილთა სახელებს: ექვთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცის კაცნი: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვები. აღნიშნულია, რომ

პირველი და ძლიერი ხმა საქართველოს ერთობისთვის იყო ჭაბუა ორბელიანი... ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებით დიდსა საქვეყნოსა სარგებლობას; ნუ ჰყოვნი მეფეო! იტყოდა ჭაბუა. ერი იმერთა ითხოვს ერთობას და კავშირსა; ვითარ ეტყვის მეფე უარსა? მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ვიცი და მესმის აზრი თქვენი მეფეო! ვითარ მოვულო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესეთი აზრი უეჭველად არის უსარგებლო ქვეყნისათვის, დამლუპავი ქვეყნისა... ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთად დაკავშირება (ივერია 1881, № 8).

ამ ბრძნულ წადილს წინ აღუდგა წვრილმანი ანგარიში მაშინდელი ფეოდალებისა, რომელთაც ერთობა და მეფის

გამლიერება არაფრად ეპიტნავებოდათ. მეფე დუმდა. მეფის დუმილის შემდეგ მუხრანბატონმა მოახსენა კრებას:

„დაკავშირება იმერეთისა დიად ძნელიაო. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რად ვექმნათ ბატონათ ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი ბატონი, შვილიშვილი მეფისა?“

მაშინ დავით სარდალმან, ერთმა გულწრფელ პატრიოტთაგანმა განრისხებული ხმით წარმოთქვა:

„მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის დღეს ის ქვეყანასა თვისის ხმლითა და ბაირადითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანისბატონსა, რომლის ხმალი უფრო მჭრელი იქნება“.

ავტორი ეხება დარეჯან დედოფლის პიროვნებასაც, რომლის ქმედებები წარმოდგენილია, როგორც საბედისწერო საქართველოსათვის. საქართველოს ერთობას საფრთხეს უქმნიდა დარეჯან დედოფალი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ერეკლე მეფეზე და სახელმწიფო საქმეებშიც ერეოდა. ერთ-ერთი მაგალითი არის მეფის ანდერძი, რომლითაც ერეკლე თავის პირმშო შვილის გიორგის შვილს გამოსწირავდა სამეფო ტახტს და დაუმტკიცებდა დარეჯანის უფროს შვილს. ამით იცვლებოდა მემკვიდრეობითობის ტრადიცია და მკვიდრდებოდა ოსმალური წესი. ავტორის შენიშვნით,

ეს ანდერძი სრულიად გვარწმუნებს, რომ ერეკლე, შემკული მრავლითა სამაგალითო სამხედრო თვისებითა და სახელგანთქმული ვაჟკაცურ ხმლის მღელვარებითა, ჩვენდა საუბედუროდ, ნადირ-შახივით და მეთორმეტე კარლოსისავით,

მოკლებული იყო პოლიტიკურ შორს გამჭვრეტელობასა (ივერია 1881, № 8).

ტახტის მემკვიდრე გიორგიც ახსენებდა მეფეს:

ხელმწიფეო ჩემო! შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა, რა არის უკეთესი, რა არის მშვენიერი, ვითარ ერთობა ძმათა, იტყვის წინასწარ-მეტყველი დავით. სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ როდესაც განსქდა ორად სამეფო სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დადგრეს, ბრძანებს მაცხოვარი (ივერია 1881, № 8).

მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო. ბრძნული წადილი მთელი ერისა ჩაშლილ და განქარწყლებულ იქნა სამეფო სახლის უკუ-ღმართობის გამო. დედოფალი იტყოდა უარს და მხარს უჭერდა ერეკლე მეფეც, რომელმაც ქვეყნის საუბედურო და თავის დიდების დასამცირებლად უკანასკნელ წლებში სრულიად დაკარგა უწინდელი წინდახედულება, სამაგალითო ვაჟკაცობა, ნათელი გონება, შეუპოვარი მხნეობა, მიეცა თავის გვარის წვრილმან ინტერესების ძებნას და უმეტესად იმაზე ზრუნავდა, რომ დაეკმაყოფილებინა ეგოისტური მოთხოვნილებანი თავის არეულ და განხეთქილებით სავსე სახლობისა, რომლის დამღუპველი რაოდენობა წრეს იქით გადავიდა იმის გამო, რომ ერეკლემ და გიორგიმ მეორე-მესამე ცოლები შეირთეს წინააღმდეგ სახელმწიფო ინტერესების მოთხოვნილებისა. ერთი მხრით, დგას ერი, მრავალტანჯული სხვის შეცდომილებითა და პატივისცემით მოახსენებს მეფეს:

შენმა წინაპრებმა ჩაიდინეს დიდი უსამართლობა და უწყალობა: ერთი სისხლი და ერთი ხორცი დამანაწილეს რამდენსამე პატარა სამთავროდ და ამით შექმნენ მიზეზი ჩემის თავის დაუძღვრებისა, დაუსრულებელ წვალებისა და გამოუთქმელის უბედურებისა. დროა, მოსპო ეს უსამართლობა, მიხსნა ამ სენისაგან, შემაერთო ერთ დიდ ერად, მიიღო ერთმთავრობა, განძლიერდე ჩემით, განმადლიერო შენით, შემოვიფანტოთ მტერნი და მტკიცედ დავდგეთ დამოუკიდებლობის, წარმატების და კეთილდღეობის გზასა (ივერია 1881, № 8).

მეორე მხარეს დგანან მეფე-დედოფალნი, რომელნიც თავის მრავალწამებულს, მაგრამ კიდეც ერთგულ ერს ეუბნებოდნენ: ორივე მხარე უწინდებურად დანაწილებულნი უნდა დავრჩეთო.

ავტორის მითითებით, ბევრ ხელმწიფეს უნატრია ამისთანა წადილი დანაწილებულისა ერისა, რომელიც საქართველომ გამოუცხადა ერეკლესა, მაგრამ ნატვრა, რომ არ ასრულებია, დიდის ხნის განმავლობაში ხელში ხმალი სჭერია, უღვრია თავისივე ხალხის სისხლის ნაკადულები და ძალდატანებით შეუერთებია იგი ერთი სკიპტრის ქვეშ. იტალიამ, ინგლისმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, ესპანეთმა, რუსეთმა სისხლით დაამყარა თავისი ერთობა. თითქმის ყველგან დანაწილებული ხალხი ესარჩლებოდა ამ დანაწილებას. ჩვენში ხალხმა, თვითონ ერმა იგრძნო ერთობის საჭიროება და მეფისგან მოითხოვა ერთმთავრობის დაფუძნება, მაგრამ მეფემ უარი თქვა იმაზედ, რასაც სხვა გვირგვინოსანნი მხოლოდ ხანგრძლივი სისხლის ღვრით მოეწეოდნენ ხოლმე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ი. გოგებაშვილი მიუთითებს ნ. ბარათაშვილზე, რომელსაც მაღალი მნიშვნელობის

საქმის უკუღმართად დატრიალებამ ათქმევინა სოლომონ მსაჯულის პირით:

მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება,
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევედ შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ თვით მძლავრი მთავრობაც დიდხანს ვერ ეწინააღმდეგებოდა ერის გულითად წადილს. ჭაბუა ორბელიანები, სოლომონ ლიონიძეები და ქაიოსრო წერეთლები მრავლდებოდნენ საქართველოში. მაგრამ ბედმა ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას აღარ აცალა და არსებობის ჩარხი სხვანაირად დაუტრიალდა. მოხუცებულმა ერეკლემ, დაუძღურებულმა გიორგიმ, უხასიათო და ხელზე დახვეულმა დავით მემკვიდრემ დასუსტებულის მარჯვენიდგან სრულიად გააგდეს სკიპტრა საქართველოსი და რუსეთმა შეაერთა საქართველოს ნაწილები ერთი ვალდებულების ქვეშ. ეს პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე: „მაგრამ კეთილად მოვიხმარეთ ეს საუნჯე?... კარგად გამოვიყენეთ ეს მშვიდობიანობა, რომელიც ძლევამოსილმა რუსეთმა დაამყარა საქართველოში?... რანი ვართ დღესა?“²⁴ (ივერია 1881, № 8).

აი, ამ ვრცელი ისტორიული ექსკურსით რა დასკვნამდე მიჰყავს ი. გოგებაშვილს „ივერიის“ მკითხველი. ქართველ ნაციონალისტთა „ივერიის“ გარშემო შემოკრებილ გუნდს

²⁴ ი. გოგებაშვილის აღნიშნული პუბლიკაციის განხილვა აღებული მაქვს მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომიდან (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 258-265).

დრმად სწამდა, მიუხედავად მრავალი შევიწროებისა, რომელსაც ქართველობა განიცდიდა რუსეთის იმპერიაში, რუსეთთან საქართველოს ყოფნას ალტერნატივა არ ჰქონდა. ეს იყო რაციონალური პოზიცია და არ იქნება გამართლებული მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტები, ამ პოზიციის გამო ან გავამტყუნოთ ან მათი ეს პოზიცია დავმალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ქართულ ნაციონალიზმს (ასევე რაციონალური მოსაზრებების გამო) რუსეთთან მიმართებაში სხვა პოზიცია უკავია (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 263-265).

ისტორიული მახსოვრობის გააქტიურებას ემსახურება კიდევ ერთი წერილი „უძლური ბოროტება“, რომელიც წარმოადგენს „კვალის“ კრიტიკული წერილის პასუხს მოთხრობა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალის“ თაობაზე. „კვალი“ შეუძლებლად აცხადებს მოთხრობის თემას. დამაჯერებლად არ მიიჩნევს თორმეტი წლის ინგილო ქალს, ისიც გლეხის შვილს გამოეჩინა იმდენი უშიშრობა რომ ზევიდან ბლუჯა ქლიავი დაეყარა ერეკლე მეფისთვის, რომელიც მას ყიზილბაში ჰგონებია სპარსული ჩალმის დახურების გამო.

ი. გოგებაშვილი უმართებულოდ აცხადებს „კვალის“ ამ შენიშვნას და არგუმენტად მოიხმობს იმ გარემოებას რომ ეს ამბავი არამცთუ შესაძლებელია, არამედ ნამდვილ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. ეს თქმულება ძლიერ გავრცელებულია კახეთში. გარდა ამისა, ეს ამბავი ჩართული ჰქონია ალექსანდრე ორბელიანს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში. მას ეს ამბავი თავისი დედისგან თეკლა ბატონიშვილისგან (ერეკლეს შვილი) უნდა გაეგო. ასე თანხმობაში მოსულ ხალხის თქმულებას და საგვარეულო გადმოცემას მიიჩნევს სარწმუნო

ისტორიულ ფაქტად ი. გოგებაშვილი. გარდა ამისა, აღნიშნავს, რომ სახალხო თქმულების საგნად მხოლოდ არაჩვეულებრივი ხასიათის, მაღალი სულის და იშვიათი ღვაწლის ადამიანი ხდება. „კვალის” შემდეგი შენიშვნა შეეხება ინგილო გოგონას ასაკს, იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია თუ არა თორმეტი წლის ასაკში ასეთი გაბედულება გამოეჩინოს გოგონას. ქალთა გაბედულების თვალსაზრისით შენიშვნას საყურადღებო ისტორიული მაგალითებით პასუხობს ი. გოგებაშვილი „ქართველი ქალი წინედ, როცა-კი გარემოება მოითხოვდა, იჩენდა სწორედ ვაჟკაცურს უნარს და უშიშრობას“. მოიხმობს თეკლა-ბიჭის უშიშრობას, რომელმაც თავისი ჯარით ლეკები დაამარცხა მცხეთასთან; გიორგი მეფის მეუღლის მარიამ დედოფლის გაბედულებას, რომელმაც ხანჯლით მოკლა გენერალი ლაზარევი; 1811 წლის კახეთის აჯანყებას, რომელიც ქალებმა დაიწყეს, როდესაც კახელი ქალს შეურაცხყოფა მიაყენა რუსმა სალდათმა.

ქართველი ქალის ამისთანა გაბედულებით სავსეა ჩვენი ისტორია, მათ შორის საინგილოს წარსული.

ინგილო ქალები წინანდელს დროში სრულიად სხვა სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველობისა. ამისთანა სკოლა ყველგან და ყოველთვის აძლიერებდა მამულიშვილობას და საინგილოშიაც უნდა აეღორძინებინა. საზოგადოდ, შენიშნულია, რომ განაპირა კუთხეები ქვეყნისა, სადაც მტერი უფრო ახლოა, ბრძოლაც ხშირი და ეროვნებას მეტი შიში მოეღოს, მამულის სიყვარული ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე შუაგულს ადგილებში (ივერია 1897, №161).

ხშირად ინგილოებს მარტოს უწევდათ გამკლავება მტერთან. ასეთ ვითარებაში ქალები რომ არ ამოსდგომოდნენ მამაკაცებს გვერდით ქვეყანა განადგურდებოდა:

„თავისი ნამუსის, ოჯახის და ქვეყნის დასაცველად ინგილო ქალი გაუხდა თავის ქმარს მეუღლეთ არა მარტო შინაობაში, არამედ ომშიაც...“ (ივერია 1897, №161).

ქვეყნისთვის ბრძოლამ გამოწვრთნა ნამდვილ მამული-შვილებად ინგილოები განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ბავშვობიდანვე პატრიოტებად იზრდებოდნენ. მოთხრობაც და საპასუხო წერილიც სწორედ ამის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ამ მოტივის გათვალისწინებით არა მარტო ავტორისთვის, არამედ მკითხველისთვისაც მიუღებელია შემდეგი შენიშვნა – თითქოს ნამდვილი მამულიშვილობა მხოლოდ თავადაზნაურობაში იპოვებოდა და გლეხობა კი მოკლებული იყო ამ უმაღლესს გრძნობასა. ი. გოგებაშვილი პასუხობს, ეს პრინციპი წინათაც ასუსტებდა და ახლაც აუძლურებს და მომავალში საფლავს გაუთხრის ჩვენს ქვეყანას თუ ეს პრინციპი არ იქნა მოშლილი და შრომის და პატიოსნების ქვეშ არ გაერთიანდა ყველა წოდება. ყველასათვის ცნობილია თავადაზნაურობის დიდი ისტორიული ღვაწლი, მაგრამ ავტორის შენიშვნით წმინდა მამულიშვილობა გლეხებში მოიპოვებოდა. გლეხობა მაღალი წოდებისგან განსხვავებით, უანგაროდ სწირავდა თავს ქვეყანას, ისე რომ არანაირ ჯილდოს მოელოდა ამისგან. იგი ასრულებდა წმინდა მოვალეობას სინდისის, ქვეყნის და ღვთის წინაშე. ამის მაგალითია სამასი არაგველის თავდადება კრწანისის ბრძოლაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ მათი სახე-

ლებიც კი არ შემორჩა ისტორიას. „აი მაგალითი ჩუმი, შინაგანი, ინტენსიური წმინდა მამულიშვილობისა. ამისთანა მამულიშვილობით სავსეა წარსული ცხოვრება ჩვენი გლეხობისა“.

გლეხთა წოდებას ეკუთვნოდა თევდორე მღვდელიც, რომელმაც თავისი თავი შესწირა მამულსა და მეფეს.

მეფისადმი ხალხის დამოკიდებულება ნათლად იკვეთება ქართლის მეფის სიმონის მაგალითით. ეს არის კავთისხევს ღამის გასათევად გლეხი ქვლივიძის ოჯახს თავშეფარებული მეფის ამბავი. ლაშქრობიდან მომავალ სტუმარს ქმარშვილის ამბავი ჰკითხა, რომლებიც აგრეთვე სალაშქროდ იყვნენ წასული. სტუმარმა არაფერი იცოდა მასპინძლის ოჯახის შესახებ. მაშინ გლეხის ქალმა მიუგო მეფეს, რომელმაც ვერ იცნო უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე: „ოღონდ ქვეყნის პატრონი მეფე იყოს კარგად და ჩემი ქმარ-შვილნი თუნდაც სულ მას ენაცვალნენო. ეს მაგალითი მოწმეა იმისი, რომ მამულის სიყვარული, ქვეყნის პატრონის – მეფის ერთგულება იმდენად ძლიერი იყო ორთავ სქესის გლეხთა შორის, რომ სჭარბობდა საკუთარი სახლობის სიყვარულსა, ამ უძლიერეს პირადს გრძნობას ადამიანისასა. მეორე მხრივ ეს ამბავი გვიჩვენებს, თუ რა პატრიარქალური, მამაშვილური ურთიერთობა და კავშირი სუფევდა ჩვენს მეფეთა და გლეხთა შორის“.

ეს მსჯელობა ი. გოგებაშვილს გაშლილი აქვს იმისათვის, რომ დაედასტურებინა, ისეთ ვითარებაში, რომელშიაც იმყოფებოდა საინგილო, შესაძლებელია გაჩენილიყო და აღზრდილიყო გლეხთა შორის სწორედ იმისთანა უშიშარის ხასიათის გოგო, იმისთანა მამულის მოყვარული, როგორადაც ჰყავს წარმოდგენილი მოთხრობაში ინგილო გოგო. ამასთან კავთის-

ხველი გლეხის ოჯახში სიმონ მეფის სტუმრობის შესახებ ცნობები დაცულია ქართულ საისტორიო ტრადიციაშიც, ბერი ეგნატაშვილისეულ „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ (ჯავახიშვილი 1940: 101-102). მაგრამ აქ საყურადღებოა იდენტობის ისტორიის თვალსაზრისით ის გარემოება, რომ ხალხის იდეალი მეფეა, რომ მეფისთვის თავგანწირვა მამულისთვის თავგანწირვას ნიშნავდა.

შემდეგ შენიშვნას – ქართველი მკითხველი რომ წაიკითხავს ამ ამბავსაო, იტყვისო, ეს ან ზღაპარია, ან მეფე ერეკლე იმისთანა არა ყოფილა, როგორც აქამომდე გვეგონაო – ასევე შესაბამისი არგუმენტით პასუხობს – მართლა და რა უნდა იყოს იმაზედ სასიამოვნო გმირი მეფისთვის, როდესაც იგი თავისი სამეფოს განაპირა კუთხეში, რომლის მოგლეჯას ყოველ დღე ცდილობდნენ მტერნი, ხედავს თორმეტი წლის გოგოში ძლიერს სიყვარულს მამულისას, და ეს სიყვარული იხატება მეტად თავხედურს ბავშვურს გაბედულობაში? იმ კუთხეს რომელიც ზრდის ამისთანა უშიშარს შვილებს, ვერა მტერი ვერ მოჰგლეჯს საქართველოს.

ქალს ეს საქციელი ძლიერ მოუწონა მეფემ, დაასაჩუქრა, დიდი პატივისცა გლეხის ქალის მამულიშვილობას, შემდეგში მზითვეი გაუგზავნა და შვილები მოუნათლა. მეფის საქციელი სრულიად შეესაბამებოდა იმ მამობრივს სიყვარულს გლეხთა მიმართ, რომლითაც გამოირჩეოდნენ ქართველი მეფეები.

აი როგორი მეფეები ჰყავდა საქართველოს.

საყურადღებოა მოთხრობის მოტივი, რომელსაც ასე საინტერესოდ წარმოგვიდგენს ავტორი.

ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში, როდესაც კავკასიის ერთა შორის გაცხარებული ბრძოლა არსებობისათვის ემუქრება ქართველობას საბოლოოდ დაცემას, მიწასთან გასწორებას... ყოველი პოეტი და ლიტერატორი უნდა სწერდეს მას, რაც ქართველს გონებას უნათლებს და უმდიდრებს ცხოველთ ცოდნით, გულს უმაგრებს, უსპეტაკებს, უმხნეებს და უვსებს სასოებით მომავალზედ, ზნესა და ხასიათს უჩვენებს სახელმძღვანელო პრინციპებს და ჰხდის კარგად შეიარაღებულ და მარჯვე მეომრად სასტიკ საარსებო ბრძოლაში (ივერია 1897, №162).

ბოლო წლებში საქართველოს გამოუჩნდნენ კეთილის მყოფენი, რომლებიც აღმოსავლეთის ძმებს ინგილოებს ჩასძახიან, რომ თქვენ ჩამომავლობით თათრები ხართო და არა ქართველებიო, წირვა-ლოცვა თქვენში უნდა სწარმოებდეს თათრულს ენაზედ, იმავე ენაზედ უნდა იბეჭდებოდეს თქვენთვის წიგნები თათრული ანბანითაო და სხვა. ეს უცნაური და უკუღმართი წადილი მარტო საინგილოსთვის არ არის საშიში და მავნებელი... დაასუსტებს სხვა ქართველებსაც, ისე იმოქმედებს ინგილოების განცალკავება და მოწყვეტა ჩვენი ქვეყნის ბედზედ. იგი ღირსია დიდი ყურადღებისა და ჩვენი ლიტერატურა-კი ყურსაც არ იბერტყავს. რუსული გაზეთებიდგანაც ვერ გადმობეჭდავს ხოლმე იმისთანა სამართლიანს მსჯელობას საინგილოს შესახებ, რომელიც ძლიერ სასარგებლოა ამ მხარისათვის. აი რას სწერდა საინგილოს შესახებ გაზეთი „Неделя“, რომელშიაც ავტორი დიდს გულისწუხილს გამოთქვამდა თურმე იმის გამო რომ

ინგილოებს, ჩამომავლობით და ენით წმინდა ქართველებს, ქართულს არ ასწავლიან სკოლებში, მარტო რუსულს ენას

ანდომებენ დროსაო, და რადგან ამ უკანასკნელს ენას, სიძნელის გამო ვერა სწავლობენ ბავშვები, სკოლა გამოდის იმდენად უნაყოფო, რომ არც ქართულის წერა-კითხვის და არც რუსულის მცოდნე აქ არ მოიპოვებაო. ამის გამო მცხოვრებთა აღწერის დროს თვითონ პოლიცია იყო იძულებული სიებში თავისი ხელით ჩაეწერა ცნობანი ყველა ინგილოზედ, რამაც საქმე ძლიერ გააძნელაო... (ივერია 1897, №162).

სწორედ აღნიშნულმა უდიერმა დამოკიდებულებამ გადააწყვეტინა ი. გოგებაშვილს მოთხრობის დაწერა „მოთხრობაში მე მსურდა, თანახმად საინგილოს წარსულისა და აწმდგომისა, ხმა-მალლა მეღიარებინა მათი ნამდვილი ქართველობა, ღვიძლი ძმობა ქართველებთან, სიყვარული საქართველოსი და ერთგულება საერთო მეფისადმი“ (ივერია 1897, №162).

მოთხრობას ცხოველმყოფელი გავლენა უნდა მოეხდინა და ქართველობის განცდა გაეღვივებინა ისტორიულ ქართველებში, ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული წარსულის შესახებ ინფორმაციების მიწოდების ფორმას, რაზეც საგანგებოდ უფიქრია ი. გოგებაშვილს

ლიტერატურულს წერილს ვამჯობინე ბელეტრისტული ფორმა, რადგან ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ეადვილება ხალხს, ბევრად უფრო გასაგებია, უფრო ცოცხლად და ძლიერად მოქმედობს მასზედ და დიდს ხანს რჩება მისს გონებასა და სახსოვარში.

მე ვგონებ, რომ ჩემს გულისწადილს, მიზანს მოვეწიე, რამდენადაც ეს შეიძლებოდა პატარა მოთხრობაში და ამავე დროს არაფერი ვსთქვი იმისთანა, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ისტორიულს ფაქტებს, ქართულს ზნე-ჩვეულებას, ბელეტრისტულს შესაძლებლობას და ფსიხოლოგიას ხალხისას და მოქმედის პირებისას. ვგონებ იმასაც, რომ მოვახერხე მოთ-

ხრობისათვის მიმეცა აღმზრდელი მიმართულება, რომელიც ისე ძლიერ უჭირს ჩვენს აწინდელს მდგომარეობაში (ივერია 1897, №162).

იაკობ გოგებაშვილს სურდა ამ მივიწყებული ქართული მხარის ისტორიული წარსულიდან ცოცხალი ეპიზოდების აქტუალიზაციით ერთიანობის განცდის აღძვრა მკითხველებში.

ი. გოგებაშვილი წარსულის ღირსების გააქტიურებით საკუთარი ვინაობის დაცვისაკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს. ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ვითარება ყოფილა ჩვენში. ავტორის თქმით, ქართველები საარაკო სიბრძნის ყოველი ღონისძიებით მაღავედნენ წარსულ ღირსებას, უარყოფდნენ ყოველივე მის თავისებურებას და ღვაწლს, ამით კი ძირს უთხრიდნენ ჩვენს აწმყოსა და მომავალს... (ივერია 1890, №104).

ამდენად, ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამდა ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობას იდენტობის დღევრძელობისთვის და ეწეოდა წარსული ღირსების აქტიურ რეპრეზენტაციას. ისტორიული პასაჟების ხალხისთვის მიწოდებით ეროვნული სენტრიმენტების გაღვივება-გამლიერებას.

ბოლოთქმა

ნაშრომში ეთნოსიმბოლისტური პარადიგმით გაანალიზებულია ბეჭდური მედიის როლი ქართული ერთობის შექმნაში. ამ თვალსაზრისით გამოკვლევაში წარმოჩენილია ი. გოგებაშვილის სამაგალითო ღვაწლი ქართველობის შენარჩუნებისათვის მისივე პუბლიცისტური წერილების რეპრეზენტაციით.

იმ ურთულეს პერიოდში, როდესაც რუსული მმართველობის შედეგად ქართველთა ეროვნული ცნობიერება მკვეთრად დაცემული, როდესაც ქართველობა პირად ინტერესს ყოველგვარ საზოგადო საქმეზე მალა აყენებდა, ქართველმა სამოციანელებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელსაც მხარში ედგა ი. გოგებაშვილი, ბეჭდური მედია იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად აქციეს. ბეჭდური მედია უხილავი ძაფებით აერთიანებდა და ქმნიდა ნაციონალური გრძნობით შეკავშირებულ მკითხველთა ერთობას. ამგვარად, მედიის საშუალებით ქართული ინტელიგენციის მიერ გაშლილმა აქტიურმა პროპაგანდამ ხელი შეუწყო ეროვნული სულისკვეთების მკითხველთა ერთობის შექმნას. საამისოდ უპირველესად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, ვინაიდან მხოლოდ შესაბამისი განათლებით აღჭურვილ საზოგადოებას შეუძლია ნაციონალური იდეალების განხორციელება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა. ზ. ჭიჭინაძის მართებული შენიშვნით „ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემის და ხეობის მონათესავენი ერთის ქართუ-

ლი ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება...”

ნაშრომის თითოეულ თავში წარმოდგენილი იყო ი. გოგებაშვილის ღვაწლი ქართული იდენტობის – ქართული მიწა-წყლის, ქართული ენის, სარწმუნოების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. რუსული მმართველობის მიერ ქართული ტერიტორიების გახლეჩისაკენ წარმართულ მუშაობას ისტორიული მეხსიერების გააქტიურებით უცხადებდა ბრძოლას. სამშობლო მიწა-წყალი უპირველესად იქ დასახლებულთა საცხოვრებელ ტერიტორიას წარმოადგენს, თუმცა ამასთან აქვს საკრალური მნიშვნელობაც. იგი არის დიდებულ მამა-პაპათა სავანე. ამ უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის საკუთარი მიწა-წყლის, მამულის დაცვისა და მამულიშვილური გრძნობის გაღვივება-გამლიერების მიზნით, ი. გოგებაშვილი ინტენსიურად აქვეყნებდა დიდი წინაპრების ზნეობრივი მაგალითების, სახელოვან მამულიშვილთა სასიკეთო საქმეების შესახებ ინფორმაციას. „სამაგალითო ცხოვრების“ აქტუალიზაციით, მკითხველთა ფართო წრეს და მათ შორის ინტელიგენციას მოუწოდებდა ხალხში აქტიური მოქმედებისაკენ. ამგვარი მსჯელობებით საზოგადოების ჩართულობა განაპირობა მომავალი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად აღზრდის საქმეში. აგრეთვე, ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად კულტურული ცენტრების – სამკითხველოების თუ თეატრის შექმნა-ხელშეწყობის მხრივ გაშლილი მოძრაობა და მასში ი. გოგებაშვილის აქტიური მონაწილეობა.

გამორჩეულია ი. გოგებაშვილის დამსახურება ენობრივი იდენტობის დაცვა/გადარჩენის თვალსაზრისით. მის მსჯელობებში ხაზგასმულია, ქართული ენის ისტორიულ სიდიადესთან ერთად, დედა ენის საკრალური მნიშვნელობა, რომ ეს არის ლოცვის და პოეზიის ენა, რომლის დაცვისკენ მოუწოდებდა მკითხველებს. ხშირი დისკუსიებით აღვივებდა და აძლიერებდა მათში ნაციონალურ სენტიმენტებს და აღძრავდა მოქალაქეობრივი ვალდებულების აღსრულების გრძნობას, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა ეროვნული იდეის გარშემო ქართული ერთობის დარაზმვას. ამავე მიზანს ემსახურებოდა რუსული ენის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული პაექრობა-მსჯელობები მედიაში. მშობლიურ ენაზე სწავლებას მიუთითებდა, არა მარტო განათლების მხრივ წარმატების მიღწევის უპირველეს გზად, არამედ სახელმწიფო ენის შესწავლის წინაპირობადაც.

სწავლა-განათლების წარმატებისა და მოზარდის ეროვნულ ფესვებზე აღზრდისათვის სასკოლო სახელმძღვანელობის სწორი მიმართულებით შედგენის მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა 1876 წელს ი. გოგებაშვილის მიერ ეროვნულ პრინციპებზე და ხალხურ ფესვებზე დაფუძნებული ქართული ენის სახელმძღვანელოს – „დედა ენის“ შედგენა. სახელმძღვანელოს განსაკუთრებულობა მდგომარეობდა იმაში, რომ ი. გოგებაშვილი „დედა ენათი“ აძლიერებდა ხალხში ნაციონალურ სენტიმენტებს და ხელს უწყობდა ქართული ერთობის შექმნას. ამით იყო განპირობებული, რომ როდესაც სახელმძღვანელოს წინააღმდეგობა შეხვდა

მთავრობის მხრიდან, მაშინდელმა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა „დედა ენის“ დაცვა საზოგადო საქმედ აღიქვეს.

რუსული მმართველობის შედეგად, სასულიერო სასწავლებლების სქოლასტიკური (ანუ ფორმალური) – ბერძნულ-ლათინური სემინარიებით ჩანაცვლებამ, ჩვენი სასწავლებლები ი.გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსიფიკაციის და დენაციონალიზაციის ქარხანად“ აქცია. შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ქართულმა ინტელიგენციამ, მათ შორის ი. გოგებაშვილმა სქოლასტიკურ სწავლებას, მის უარყოფით მხარეებს და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა კლასიკური განათლების უსაფუძვლობას. სვამდა საკითხს განათლების ახალი სისტემის შემოღების აუცილებლობის შესახებ, რომელიც ხალხის ეკონომიკური, გონებრივი და ზნეობრივი ამაღლების სამსახურში ჩადგებოდა. მოითხოვდა ისეთი სკოლების გახსნას, რომლებიც მისცემდა რეალურ ცოდნას მოსწავლეებს. ასეთ ცოდნას მისი თვალთახედვით სამეურნეო სკოლა მისცემდა მათ. ვინაიდან სწორედ სამეურნეო განათლების ამაღლება ქმნის იდენტობის არსებობისათვის ეკონომიკურ საძირკველს. ი.გოგებაშვილი თავის მსჯელობებში აქცენტს აკეთებს სამეურნეო ცოდნაზე და ამ მხრივ ხელშეწყობის აუცილებლობაზე. ქართული ინტელიგენციის შეუჩერებელი ბრძოლის შედეგად, საზოგადოებამ მიიღო 1918 წელს პირველი ქართული უნივერსიტეტი.

ქართული იდენტობის ისტორიის ანალიზის დროს, სხვა იდენტობრივ ნიშნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია რელიგიას, როგორც ქართველობის შენარჩუნების

უმთავრეს მახასიათებელს. რუსული მმართველობის რეაქციის პერიოდში განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართული ეკლესია. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ი. გოგებაშვილი აქტიურად მსჯელობს რელიგიურ პრობლემებზე თუ მათი გადაჭრის გზებზე და მის მნიშვნელობაზე იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. კათალიკოსობის გაუქმებამ და ეგზარქოსობის შემოღებამ, სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდა და სწავლა ააცდინა თავის ნამდვილ მიზანს – „ქართველ ხალხისათვის ჭეშმარიტის მოძღვრების მომზადებას და დააყენა გადაბირების გზაზე“. გაუკუღმართებული სწავლების შედეგად კი ეროვნული საუნჯის ცოდნას მოკლებული მოძღვარი ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას. ასეთ ვითარებაში ი. გოგებაშვილი, ერთი მხრივ, ბრძოლას უცხადებს სწავლების უკუღმართ მეთოდს, მეორე მხრივ, ქართულ სამღვდელეობას ახსენებს თავის დანიშნულებას „ვალდებულია შეუწყვეტივ ჰფინოს ხალხში ნათელი სახარებისა, დაუღალავად ავრცელოს საზოგადოებაში განმაცხოველებელი ჭეშმარიტებანი მაცხოვრის სწავლისა“; იგი ცდილობს სამღვდელეობაში აღძრას ვალდებულების გრძნობა და ამ მიზნით უმართავს საუბრებს ისტორიულად სამღვდელეობის დამსახურებასა და ღვაწლზე. როგორ გადაიქცა რელიგია ცხოველ გრძნობად და გახდა ქართველთა დარაზმულობის სიმბოლო ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნებისათვის. რელიგიის დაცვას თან სდევდა იდენტობის დაცვა. ამ დაცვას და ბრძოლას სარწმუნოებისათვის კი საქართველოს არსებობის გაგრძელება მოჰყვა.

რელიგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გამოსწორების ძირითად გზად ი. გოგებაშვილი მიიჩნევს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას. საგანგებოდ მსჯელობს ამ საკითხთან დაკავშირებით. ქართული ეკლესიის განახლება-აღორძინების საკითხმა XX ს. პირველ ათწლეულში ერთიანად მოიცვა ქართული საერო თუ სასულიერო საზოგადოება, რომლებმაც 1905 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პეტიციით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს. ქართული ინტელიგენციის ამ თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად, საქართველომ ეკლესიის დამოუკიდებლობა მიიღო.

იდენტობის ისტორიული ფესვებისადმი მიბრუნება აუცილებელია ნაციონალური ერთიანობის შესაქმნელად. ისტორიული მახსოვრობის გააქტიურება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ ბეჭდურ მედიაში, კერძოდ, ი. გოგებაშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. იგი ილაშქრებდა იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც თითქოს ნამდვილი მამულიშვილობა მხოლოდ თავადაზნაურობაში მოიპოვებოდა და გლეხობა კი მოკლებული იყო ამ უმაღლესს გრძნობას. ყველასათვის ცნობილია თავად-აზნაურობის დიდი ისტორიული ღვაწლი, მაგრამ იაკობ გოგებაშვილის შენიშვნით, წმინდა მამულიშვილობა გლეხებში მოიპოვებოდა. გლეხობა მაღალი წოდებისგან განსხვავებით, უანგაროდ სწირავდა თავს ქვეყანას, ისე რომ არანაირ ჯილდოს მოელოდა ამისგან. იგი ასრულებდა წმინდა მოვალეობას სინდისის, ქვეყნის და ღვთის წინაშე.

იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა ისტორიული წარსულიდან ცოცხალი ეპიზოდების აქტუალიზაციით ერთიანობის განცდის აღძვრას მკითხველებში. იგი ხაზს უსვამდა ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობას იდენტობის დღეგრძელობისთვის და ეწეოდა წარსული ღირსების აქტიურ რეპრეზენტაციას. ამგვარად ებრძოდა ჩვენში არსებულ საწინააღმდეგო ვითარებას – ქართველები ყოველი ღონისძიებით მალავდნენ წარსულ ღირსებას, უარყოფდნენ ყოველივე მის თავისებურებას და ღვაწლს, ამით კი ძირს უთხრიდნენ ჩვენს აწმყოსა და მომავალს. ისტორიული პასაჟების ხალხისთვის მიწოდებით აძლიერებდა ეროვნული სენტიმენტებს და საკუთარი ვინაობის დაცვისაკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს.

ამდენად, ი. გოგებაშვილი იდგა ყოველგვარი ეროვნული საქმის სათავეში. მთელი თავისი ცხოვრება ზრუნავდა ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე, შეუპოვრად იბრძოდა სიტყვით თუ საქმით ქართული მიწა-წყლის, ქართული ენის, სარწმუნოების დაცვა-შენარჩუნებაზე. მომავლის საერთო რწმენის შექმნის მიზნით ცდილობდა წარსული ისტორიული მეხსიერების ხალხში გააქტიურებას. წარსული სიდიადის იდეალიზაციით აწმყოში მომავალს ქმნიდა.

ნაშრომში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი მასალის განხილვის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურმა წერილებმა დიდწილად შეუწყო ხელი ეროვნული სენტიმენტების გაღვივება-გაძლიერებას, ინდიფერენტულ ქართულ საზოგადოებაში მოქალაქეობრივი ვალდებულების გრძნობის აღძვრას და ეროვნული იდეის გარშემო ქართული ერთობის შექმნას.

ი. გოგებაშვილი იყო საზოგადო საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული მამულიშვილი და ჭეშმარიტი ერისკაცი, სამაგალითო ქართველი.

დამოწმებული ლიტერატურა:

აბულაძე 1950: ს. აბულაძე. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა.

ალავიძე 2011: ო. ალავიძე. იაკობ გოგებაშვილი ესთეტიკური აღზრდის შესახებ. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

ახალაძე 2011 (რედ.): ლ. ახალაძე. ჟურნალი „განათლება“. №3. მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილის 170-ე წლისთავისადმი. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

ბლაგიძე 1990: ჟ. ბლაგიძე. ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. თბილისი: თსუ.

ბოცვაძე 1913: იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. ი. ბოცვაძის რედაქციითა და ბოლოთქმით. ტფილისი: გამოცემა ჟურნალ განათლების რედაქციისა.

ბოცვაძე 1991: ზ. ბოცვაძე. იაკობ გოგებაშვილი. თბილისი: განათლება.

ბუხუღეიშვილი, ცუცკირიდე 2011: ი. ბუხუღეიშვილი, ზ. ცუცკირიდე. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ფენომენი. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

გაფრინდაშვილი 1959: მ. გაფრინდაშვილი. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გვანცელაძე 2011: თ. გვანცელაძე. იაკობ გოგებაშვილი და აფხაზური ენა. განათლება. თბილისი-სოხუმი.

გობრონიძე 2000: ა. გობრონიძე. იაკობ გოგებაშვილი და აჭარა. ბათუმი: აჭარა.

გოგებაშვილი 1910: ი. გოგებაშვილი. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები. I. ტფილისი: ს. ლოსაბერიძის სტამბისა.

გოგებაშვილი 1940ა: იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული. გ. თავზიშვილის და დ. ყიფშიძის რედაქციით. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გოგებაშვილი 1940ბ: ი. გოგებაშვილი. რჩეული ნაწერები. 4 ტომად. II. პედაგოგიური თხზულებანი. გ. თავზიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით. თბილისი: სახელგამი.

გოგებაშვილი 1952: ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ერთ-ტომეული. წინასიტყვაობის ავტორი დ. ლორთქიფანიძე. თბილისი: პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

გოგებაშვილი 1955: ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. I. გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძის რედაქციით. ტომი შეადგინეს, მოამზადეს დასაბეჭდად და კომენტარები დაურთეს ვ. ქაჯაიამ და ზ. კიკნაძემ (დ. ლორთქიფანიძის შესავალი წერილით). თბილისი: პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

გოგებაშვილი 1954: ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. II. გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძის რედაქციით. ტომი შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ვ. ქაჯაიამ და ზ. კიკნაძემ. თბილისი: პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

გოგებაშვილი 1965: ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ბიბლიო-გრაფია X. გ. თავიშივილი, დ. ლორთქიფანიძის რედაქციით. შემდგენლები: მ. აბრამაძე, ნ. ბერძენიშვილი, ქ. იოსელიანი და სხვ. თბილისი: პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

გოგებაშვილი 1977: ი. გოგებაშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ერთ ტომად. შეადგინეს და კომენტარები დაურთეს დ. გურგენიძემ და გ. საჯაიამ. თბილისი: თსუ.

გოგებაშვილი 1989: ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებები. ხუთ ტომად. I. შეადგინა და შენიშვნები დაურთო: ვ. გაგუამ, დ. გურგენიძემ, გ. სიხარულიძემ და ლ. ქაჯაიამ. თბილისი: განათლება.

გოგებაშვილი 1990: ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებები. ხუთ ტომად. II-III- IV-V. შეადგინა და შენიშვნები დაურთო: ვ. გაგუამ, დ. გურგენიძემ, გ. სიხარულიძემ და ლ. ქაჯაიამ. თბილისი: განათლება.

გოგებაშვილი 2000: იაკობ გოგებაშვილი და პედაგოგიური მეცნიერება საქართველოში. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი: მოხსენებათა თეზისები. პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. თბილისი. 2000.

გოგოლაშვილი 2001: გ. გოგოლაშვილი. "დედაენა"- წიგნთა წიგნი. თბილისი.

გოგოლაშვილი 2011ა: გ. გოგოლაშვილი. "დედაენა"- ძეგლი სამარადისო თბილისი: დედაენა.

გოგოლაშვილი 2011ბ: გ. გოგოლაშვილი. კიდევ ერთხელ ედიშერ ჭელიძეზე, ამპარტავნებასა და უკიდევანო ამბიციებზე. ჩვენი მწერლობა. №18. თბილისი.

გოგოლაშვილი 2012: გ. გოგოლაშვილი. ღვაწლი და წუთი-სოფელი იაკობ გოგებაშვილისა (1840-1912). თბილისი: ინტელექტი.

გოგოლაშვილი 2014: გ. გოგოლაშვილი. სიბრძნე იაკობისა. თბილისი: თსუ.

გოზალიშვილი 1990: შ. გოზალიშვილი. ერის დიდი მოამაგე. თბილისი: განათლება.

გურგენიძე 1952: გ. გურგენიძე. იაკობ გოგებაშვილი, როგორც საქართველოს გეოგრაფიის სწავლების ფუძემდებელი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

გურგენიძე 1990: გ. გურგენიძე. იაკობ გოგებაშვილი სარწმუნოებისა და სასულიერო განათლების შესახებ. სკოლა და ცხოვრება. N10. თბილისი.

თავზიშვილი 1949: გ. თავზიშვილი. იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება. თბილისი.

თავზიშვილი 1952: გ. თავზიშვილი. იაკობ გოგებაშვილი. თბილისი: ნაკადული.

თავზიშვილი 1960: გ. თავზიშვილი. იაკობ გოგებაშვილი. თბილისი: ნაკადული.

თაყაიშვილი 1968: ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტომი I. თბილისი: მეცნიერება.

თითმერია, ჩილაჩავა 1990: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა (შემდგ.). იაკობის სამრეკლო. თბილისი: განათლება.

იოვიძე 1951: ა. იოვიძე. იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტური მასალები). თბილისი: სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა.

კარანაძე 2010: ზ. კარანაძე. იაკობ გოგებაშვილი და რელიგია. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. N11.

კეცხოველი 1990: ნ. კეცხოველი. ბუნებისმეტყველება იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში. იაკობის სამრეკლო. თბილისი: განათლება.

კვანტალიანი 1990: გ. კვანტალიანი. დიდი ქართველი პედაგოგი ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობაზე მოზარდთა ზნეობრივ აღზრდაში. სკოლა და ცხოვრება. №4. თბილისი.

კვარაცხელია 2011: ბ. კვარაცხელია. იაკობ გოგებაშვილი მუჰაჯირობის შემდგომი პერიოდის აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

კვარაცხელია 2011: გ. კვარაცხელია. დედაენა – დვრიტა ქართული ეროვნული სულისა. დიდნი საქმენი. თბილისი: არტანუჯი.

ლორთქიფანიძე 1949: დ. ლორთქიფანიძე. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. თბილისი.

მალაზონია 2011: დ. მალაზონია. იაკობ გოგებაშვილი როგორც ისტორიკოსი. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

მანია 2015: ქ. მანია. აფხაზეთი და ქართული იდენტობა “ივერიის“ პუბლიკაციების მიხედვით. ცხუმ-აფხაზეთის მეც. აკადემიის შრომები. IX-X. თბ: მერიდიანი. 2015.

მანია 2016: ქ. მანია. ლინგვისტური იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. XI-XII. თბ: მერიდიანი. 2016.

მანია 2017: ქ. მანია. Deda Ena as a symbol of Georgian identity according to Iakob Gogebashvili's Letter. Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Center for East European Studies University of Warsaw. 27. 2017. P.225-238.

მანია 2017/2018: ქ. მანია. მამული, მამულიშვილობა, იდენტობა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით. წყაროთმცოდნეობა. № XIX-XX. თბილისი: მერიდიან/ი. 2017-2018

მეგრელიძე 1973: ი. მეგრელიძე. იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა: სახელმძღვანელოები, გრამატიკის საკითხები. თბილისი: განათლება.

მეგრელიძე 1988: ი. მეგრელიძე. იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა: სახელმძღვანელოები, გრამატიკის საკითხები. მე-2 შეესებული გამოცემა. თბილისი: განათლება.

ნიკოლეიშვილი 2002: ა. ნიკოლეიშვილი. იაკობ გოგებაშვილი და აფხაზეთი. მნათობი. №1-2.

ნიორაძე 1913: გ. ნიორაძე. იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი ს. ლოსაბერიძისა.

ნიორაძე 1958: გ. ნიორაძე. პირველი ქართული სკოლა ბათუმში. თბილისი: ცოდნა.

ნიორაძე 1960: გ. ნიორაძე (რედ.). იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული მიძღვნილი დაბადების 120 წლისთავისადმი. თბილისი: ცოდნა.

ობოლაძე 1977: უ. ობოლაძე. იაკობ გოგებაშვილი – ქართული ხალხური სკოლის ფუძემდებელი. თბილისი.

ობოლაძე, ქაჯაია 1979: უ. ობოლაძე, ვ. ქაჯაია. ბუნება და ადამიანი იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

პატარიძე 2008: ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. თარგმნა ლელა პატარიძემ. თბილისი: ლოგოს პრესი.

რამიშვილი 1982: ვ. რამიშვილი (შემდგ.). იაკობ გოგებაშვილი. საგანძური. შეადგინა, მიმოხილვა და ლექსიკონი დაურთო ვ. რამიშვილმა. თბილისი: განათლება.

რამიშვილი 1993: ვ. რამიშვილი. მოძღვარი დედაენისა: იაკობ გოგებაშვილი. თბილისი: განათლება.

რამიშვილი 2000: ვ. რამიშვილი. დედაენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება. თბილისი: ქრონოგრაფი.

რეხვიაშვილი 2011: ლ. რეხვიაშვილი. იაკობ გოგებაშვილი – ქართული მუსიკის ქომაგი. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

სარიშვილი 1978: ტ. სარიშვილი. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხები. თბილისი: განათლება.

სიგუა 1969: ს. სიგუა. სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში. თბილისი: განათლება.

სპარსიაშვილი 1990: ა. სპარსიაშვილი. იაკობ გოგებაშვილი და ხალხური შემოქმედება. თბილისი.

ტოტოჩავა 2000: კ. ტოტოჩავა. იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი. თბილისი.

ფირცხალავა, ნარიმანიძე 1998: ნ. ფირცხალავა, ნ. ნარიმანიძე. იაკობ გოგებაშვილი საეკლესიო და საერო განათლების შესახებ.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი. შრომები. III. თბილისი.

ფიფია 2011: რ. ფიფია. იაკობ გოგებაშვილის წერის სწავლების მეთოდები და თანამედროვე მდგომარეობა. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

ფოცხვერაშვილი 1940: კ. ფოცხვერაშვილი. ჩემი მოგონება ი. გოგებაშვილის შესახებ. კომუნისტური აღზრდისათვის. № 10.

ქავთარაძე 1956: ი. ქავთარაძე. იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ლლონტი 1913: თ. ლლონტი. იაკობ გოგებაშვილი ლამპარი ეროვნული თვითნებობიერებისა. იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი ს. ლოსაბერიძისა.

ყიფშიძე 1940: იაკობ გოგებაშვილი. საიუბილეო კრებული. გ. თავზიშვილის და დ. ყიფშიძის რედაქციით. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ყორანაშვილი 1999: გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ჩიქოვანი 1975: მ. ჩიქოვანი. იაკობ გოგებაშვილი და ხალხური პოეზია. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. წ.1. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. თბილისი.

ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. შრომები. I. ქუთაისი.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ

მედიასში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო. თბილისი. უნივერსალი.

ჩხეიძე 1997: რ. ჩხეიძე. მზის ამოსვლის წინ. თბილისი: ლომისი.

ძიმიგური 1952: შ. ძიმიგური. იაკობ გოგებაშვილი და ქართული საერთო-სახალხო ენა. თბილისი

ჭამჭურიძე 2001: ნ. ჭამჭურიძე. იაკობ გოგებაშვილის ქრისტიანულ-ზნეობრივი შეხედულებები. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. N4. თბილისი.

ჭელიძე 2011: ე. ჭელიძე. იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ელექტრონული ვერსია.

ჭელიძე 2011: ე. ჭელიძე. ოდეს სამართალმან დაგასამართლოს. თბილისი.

ჭიჭინაძე 1900: ზ. ჭიჭინაძე. იაკობ გოგებაშვილი. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

ჭუმბურიძე 1956: ზ. ჭუმბურიძე. იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენის საკითხები. მნათობი. №10.

ხოჯავა 1990: ზ. ხოჯავა. ფსიქოლოგიური სისწორე იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანა რა ჰქმნა“. იაკობის სამრეკლო. თბილისი: განათლება.

ჯავახიშვილი 2013: ე. ჯავახიშვილი. იაკობ გოგებაშვილი და აფხაზეთის საკითხი. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 2(13), თბილისი: უნივერსალი.

ჯავახიშვილი 2011: თ. ჯავახიშვილი. იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

ჯავახიშვილი 1916: ი. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ტფილისი: ელექტრონით მბეჭდავი ქართ. ამხ.-ისა.

ჯავახიშვილი 1940 (რედ.): ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII ს. დამდ. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაო-

ბითა და რედაქციით. თბილისი: სსრკ მეცნერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/68774/1/Axali_Qartlis_Cxovreba_XVIII%20s.pdf

ჯაფარიძე 2010: შ. ჯაფარიძე. რწმენის და მეცნიერების
ურთიერთმიმართების საკითხი იაკობ გოგებაშვილის ნააზრევში //
ინტელექტი. №2. თბილისი.

Iakob Gogebashvili and Georgianness

With the representation of the Print Media

Second part of the XIX century, when I. Gogebashvili comes out to the sphere of action, it is the time of great ordeal for Georgian identity. The Russian government threatened the

extinction of everything Georgian - language, motherland, culture, tradition. Colonial policy had a profound effect on national consciousness - the self-awareness of Georgians fell sharply so much that it put personal interest above all public affairs, and the formation of unity around a common national issue was the most difficult issue. In such situation, the main concern of the Georgian intelligentsia was to protect their identity. 'The Men of the 60s' led by Ilia Chavchavadze turned the print media into a tool of ideological struggle and through it began active propaganda to create a unity of readers of national spirit.

I. Gogebashvili's rich publicist legacy essentially encompasses all areas of public life. Publications are about history, linguistics, pedagogy. The attention is paid on economic or social problems, as social and economic issues were important on the way to resolving national issues. These publications are published in the print media of the time ("Droeba", "Iveria", "Cnobis furceli", "Moambe", "Kvali", "SaqarTvelo", "Isari", "Ganatileba", "Saxalxo gazeti", "Shroma", "Megobari", "Tifliski vestniki", "Novoe obozrenie"...).

The paper presents I. Gogebashvili's exemplary merit for the preservation of Georgianness with the representation of the print media. The research consists of an introduction, six chapters, and an afterword, in which the analysis of the material is given in a different methodological approach

within the ethno-symbolic paradigm²⁵. The main emphasis is on public perceptions, feelings, symbols, values.

1. From the history of studying the life and work of Iakob Gogebashvili.

Numerous and varied works have been dedicated to a scientific analysis of I. Gogebashvili's life-work, political doctrines, artistic creation, linguistic, moral, religious issues. Publication of Gogebashvili's works in volumes or in separate editions were implemented for several times. Special Collections were published on the 100th Anniversary of I. Gogebashvili's birth (1940) and the publication of the 'Deda Ena' (1976). I. Gogebashvili's personal correspondence and documentary material were also published. In view of the above, the first chapter presents the historiographical discussion of the issue, as a result of which it was found that the existing studies are mainly based on objectivist factors, while the subjectivist factors are left out of attention. The modern scientific approach makes different demands on the researcher when studying identical issues, although it does not rule out the role of objectivist factors, although it prefers subjectivist factors. Exactly, this is the kind of analysis that I offer to the reader in my paper. Attempts to study this issue are presented in several of my Georgian and foreign language publications: *Lingual Identity in Iakob Gogebashvili's publicistic inheri-*

²⁵ One of the founders of ethno-symbolism is the English scientist A. Smith

tance (Tskhum-Abkhazian Academy of Sciences. Proceedings. XI-XII. Tbilisi: Publishing House "Meridiani". 2016. P.172-187); Motherland, Patriotism, Identity according to Iakob Gogebashvili Publicistic Letters (Georgian Source-Studies. XIX-XX. Tbilisi: Meridiani Publishing Ltd. 2017/2018. P. 94-103); Deda Ena as a symbol of Georgian identity according to Iakob Gogebashvili's letter (Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Center for East European Studies University of Warsaw. 27. 2017. P.225-238).

2. Print media and Georgianness according to Iakob Gogebashvili's publicist letters.

Since the 1960s, the main goal of the Georgian print media has been to raise the awareness of readers, due to the state of public awareness and the fact that only a society equipped with the appropriate education can implement national ideals. With this view, active propaganda by the Georgian intelligentsia through the media has contributed to the creation of national unity. Such a special role was played by the media in the history of Georgian identity. The role of the print media in reflecting the process of national unification of Georgians has been the subject of several researches co-authored by M. Chkhartishvili. Our joint research in the form of a book has also been published (Chkhartishvili, Mania 2011). This chapter presents I. Gogebashvili's views on the role of the print media in preserving Georgianness.

3. Motherland, Patriotism, Identity according to Iakob Gogebashvili's publicist letters.

In the second part of the 19th century, Georgia found itself in danger of losing its territory. Possession of a territory is a necessary feature for the existence of identity. In this regard, the third chapter of the paper is dedicated to I. Gogebashvili's merits. By activating historical memory, I. Gogebashvili declared a struggle against the activities on the partition of Georgian territories by the Russian government. Homeland is primarily a residential area for residents, but also has sacral significance. It is the abode of great fathers and grandfathers, whose protection is patriotic obligation. In order to protect his land, homeland and to awaken his patriotic feeling, I. Gogebashvili intensively published information about the moral examples of great ancestors, the good deeds of famous patriots. 'Society lives by examples. He imitates both good examples and bad ones' - he said, urging a wide range of readers to update their 'exemplary life' including calling on the intelligentsia to work hard for the benefit of the people. The involvement of the public in such discussions has led to the upbringing of the next generation as true patriots.

4. Mother tongue as a symbol of Georgianness.

During the reactionary period, the linguistic characteristic of identity was severely persecuted. In the fourth chapter, I discuss linguistic identity as a symbol of Georgianness.

I. Gogebashvili's contribution to the protection/survival of linguistic identity is remarkable. In his discussions, it is emphasized, along with the historical greatness of the Georgian language, the sacred meaning of the mother tongue, that it is the language of prayer and poetry, which he called on readers to protect. Frequent discussions stirred and strengthened national sentiments in them and aroused a sense of civic obligation, which ultimately led to the establishment of Georgian unity around the national idea. The same purpose was served by the controversy in the media over the Russian language textbook. He pointed to the teaching of the native language, not only as a primary way to succeed in education, but also as a prerequisite for learning the national language.

In 1876, Gogebashvili compiled a textbook of Georgian language based on national principles and folk roots - "Deda Ena"²⁶ - in 1876, which was of special importance for compiling textbooks for the success of education and raising the adolescents on national roots.

²⁶ In 1983, the Georgian people erected a monument to 'Deda Ena'. On the right bank of the Mtkvari, in the garden near the Dry Bridge, which was called the 'Deda Ena' garden, the sculptor E. Amashukeli erected a monument to the 'Deda Ena'.

In 1990 on April 14, 'Deda Ena' Day was established.

The uniqueness of the textbook was that I. Gogebashvili's 'Deda Ena' strengthened national sentiments among the people and contributed to the creation of Georgian unity. This was due to the fact that when the textbook was resisted by the government, the representatives of the intelligentsia of that time perceived the protection of the 'Deda Ena' as a public affair.

As a result of Russian governance, the replacement of theological schools with scholastic (or formal) Greek-Latin seminars made our schools, according to I. Gogebashvili's words, "a factory for Russification and denationalization." The Georgian intelligentsia has declared an irreconcilable struggle, including I. Gogebashvili's to scholastic teachings, its negative aspects, and the groundlessness of classical education. He raised the issue of the need to introduce a new system of education, which would serve the economic, mental and moral development of the people. He demanded opening schools that would provide real knowledge to students. According to him, such knowledge would be given to them by the agricultural school. Because it is the raising of economic education that creates the economic foundation for the existence of identity. In his discussions, I. Gogebashvili focuses on agricultural knowledge and the need to promote it. He also took an active part in the establishment of the Georgian University. He pointed out that the university should

definitely satisfy the interest of the people. So, it should have been public. As a result of the relentless struggle of the Georgian intelligentsia, the society received the first Georgian university in 1918.

5. Religious identity according to Iakob Gogebashvili's publicist letters.

When analyzing the history of Georgian identity, religion occupies a special place among other identical features as the main feature of preserving Georgian identity. The fifth chapter is addressed to the analysis of I. Gogebashvili's views on this issue.

During the reaction of the Russian government, the Georgian church with centuries-old traditions was in danger of being destroyed. Due to the current situation, I. Gogebashvili actively discusses religious problems or ways to solve them and its importance in the fight to protect/preserve the identity. The abolition of the office of Catholocos and the introduction of the Exarchate, the upbringing and study of the adolescents, have gone beyond their true purpose. As a result of distorted teaching, a teacher deprived of national knowledge could not fulfill his duty. In such situation, I. Gogebashvili, on one hand, fights against the inverted method of teaching, on the other hand, reminds the Georgian clergy of its purpose 'They are obliged to constantly spread the light of the gospel among the people'; He seeks to instill a sense of

obligation in the clergy, and for this purpose it has historically talked about the virtues and merits of the clergy, how religion has become an keen sense, and has become a symbol of Georgian cohesion to maintain the country's territorial integrity. The protection of religion was followed by the protection of identity. This protection and struggle for the faith was followed by the continuation of Georgia's existence.

I. Gogebashvili considers extraction of autocephaly of Georgian Church as the main way to correct religious situation. He discusses this issue in particular. In the first decade of the XX century, the issue of the renewal and revival of the Georgian Church enveloped the Georgian secular or religious community, who in 1905 petitioned the Vicegerent of the Caucasus to restore the autocephaly of the Georgian Church. As a result of this selfless struggle of the Georgian intelligentsia, Georgia gained the independence of the Church.

6. Historical memory and Georgian identity according to Iakob Gogebashvili's publicist letters.

Returning to the historical roots of identity is essential for creating national unity. Therefore, the activation of historical memory in the Georgian print media, in particular in I. Gogebashvili's publicist heritage, has a special place.

In the sixth chapter I will address the role of historical memory in preserving the Georgian identity according to I. Gogebashvili's publicist letters. It emphasized the importan-

ce of historical memory for the longevity of identity and actively represented the dignity of the past. In this way, he fought against the current situation in our country - Georgians were hiding their past dignity at every effort and undermining our present and future. By providing historical passages to the people, he strengthened national sentiments and called on his compatriots to protect their identities.

Thus, I. Gogebashvili was intensively involved in the national movement. He was in charge of all national affairs: collecting samples of folk literature, publishing children's magazines, translating folk songs on the sheet music, establishing public and agricultural schools, Georgian public universities or reading rooms. I. Gogebashvili is the founder of Georgian national pedagogy and Georgian children's literature. He composed Georgian and Russian language textbooks. He was one of the initiators of the "Society for the Spreading of Literacy among Georgians" and a member of the board of the society since 1879. He greatly helped the society from the income of his sold books. It did not hesitate funds for public education. He helped materially poor students, as well as public figures - teachers, poets, writers, who made a great contribution to public education. Before his death, he donated his property to the 'Literacy Society'.

Throughout his life he took care of the welfare of the Georgian people, fought tirelessly to protect and preserve the

Georgian land, the Georgian language and the faith. In order to create a common belief in the future, he tried to activate the historical memory of the past among the people. By idealizing the greatness of the past, he created the future in the present.

Based on the review of numerous materials presented in the book, it can be noted that Iakob Gogebashvili's publicist letters greatly contributed to the awakening and strengthening of national sentiments, aroused a sense of civic obligations in indifferent Georgian society and created Georgian unity around the national idea. I. Gogebashvili was a true patriot imbued with boundless love for social affairs and a true layman, an exemplary Georgian.



ქეთევან მანია - ისტორიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

მუშაობს სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“.

2005-2012 წლებში კითხულობდა ლექციებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2003 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში XX ს-ის 60-90-

იან წლებში“.

მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ქართული იდენტობის ისტორია.

არის 30-მდე ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე.

60-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 4 წიგნის ავტორი. კერძოდ, 1. „წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში“ (ნარატიული წყაროები). ნაწ. I (2008). 2. „წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში“ (დოკუმენტური წყაროები). ნაწ. II (2009). 3. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო (თანაავტორი მ. ჩხარტიშვილი. 2011). 4. ისტორია თარიღებით (2016).